


შსოე ზააღოძოი



რა კარგები ხართ მეღლიდან

შესიწმინდე



რა კარგები ხართ მაღლიდან

2014 წ.

## **ავტორისაგან**

შეცოდება ადამიანური თვისებაა, დახმარება კი – ღვთიური. ასეთი თვისებითაა დაჯილდოებული ჩემი მეგობარი ბატონი, გოგიტა ბარამიძე. ვისი მეშვეობითაც, ეს წიგნი მოევლინა ამ ცისქვეშეთს. რისთვისაც, უდიდეს მადლობას ვუხდით მას.

**რედაქტორი:**

**ასლან კორძაია**

**მხატვრული რედაქტორი:**

**მალხაზ დათუკიშვილი**

**ტექნიკური რედაქტორები:**

**ირაკლი კორძახია**

**მარიამ გოგიაშვილი**

## რედაქტორისგან

დღეს, ლიტერატურული კრიტიკის უმოქმედობის ჟამს, როცა ოფიციალური ცენზურაც გაუქმებულა, ხოლო ხელისუფლების ყურადღება თითქმის მთლიანად პოლიტაკასა და ყოფით პრობლემებზეა გადატანილი, წიგნის ბაზარი პრეტენზიულ უნიჭოთა და გრაფომანთა ნაკალმარით არის გაჯერებული. ლიტერატურული წუნის არნახულმა მოზღვავებამ და ჭეშმარიტი სულიერი საზრდოს დეფიციტმა მკვეთრად დასცა გემოვნების დონე ახლო წარსულში თავისი წიგნიერებით მოქადულ საქართველოში. ასეთ პირობებში სამწერლო ასპარეზზე ნიჭიერ ავტორთა გამოჩენა ლამის უჩვეულო ლიტერატურულ მოვლენად აღიქმება და მხატვრული სიტყვის ნამდვილ დამფასებელთა ცხოველი ინტერესის საგანი ხდება.

ამჯერად წილად მხვდა პატივი, ლიტერატურის გურმანებს რამდენიმე სიტყვით გავაცნო ამ წიგნის ავტორი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავის ორგანიზაციის წევრი ბესიკ ზაალიშვილი, რომლისთვისაც უფალს უხვად მოუმაღლებია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის აუცილებელი თვისებები: ღმერთთან ნამყოფი და ღმერთადქცეული სიტყვის შეგრძნების, მწყობრი პოეტური აზროვნებისა და შესაშური შრომის უნარი. ბესიკ ზაალიშვილს ხელეწიფება, სათქმელის სრულყოფილად გადმოსაცემად ისეთი ლექსიკური ერთეულის მოძიება უბრალო სამეტყველო ფრაზას პოეტურ სახედ რომ აქცევს ხოლმე. დახვეწილი გემოვნება და საკუთარი შემოქმედებითი უნარისადმი კრიტიკული დამოკიდებულება საშუალებას აძლევს პოეტს, თავი აარიდოს ლიტერატურაში დამკვიდრებულ შტამებს, სხვათა გავლენას და საკუთარი გამორჩეული სტილით წარსდგეს მკითხველის წინაშე.

პოეზიის მოყვარულთა გულისაკენ მიმავალ გზას დავულაცავ უმცროს კოლეგას. მწამს, ბესიკ ზაალიშვილის ეს პირველი პოეტური კრებული მხატვრული დონით სავსებით დააკმაყოფილებს ყველაზე პრეტენზიული მკითხველის გემოვნებას და კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს ავტორს თანამედროვე, ქართველ კალმოსანთა შორის.

ასლან კორძაია

ნაქცეული ხარი ნიქარა

„აგრემც ვალმობდილ, ნაჯაფარ, ბებერ ქედს ვენაცვალეზი,  
სულ ნალვლიანი რადა გაქვს, მჯილა, საცერა თვალეზი?“

შოთა ნიშნიანიძე

ნაქცეულია ხარი ნიქარა  
და დასაკლავად უდევს კისერი.  
ჩვენ კი – ყოველდღე ვირჩევთ იარაღს,  
თან ერთმანეთის სისხლში ვისვრებით.  
დაწყვეტილია აპეურები,  
ადრე რომ გულეზს გვიკავშირებდა,  
არ დაგველია საყვედურები...  
გატეხილია ციხე შიგნიდან.  
რქებზე ნალვენთი სანთლის ღველფივით,  
ნიქარას სახეს ცრემლები სერავს.  
ჭიქაში ჩასხმულ საპნის ქაფივით,  
იმედს ნესტოდან ბუშტივით ბერავს.  
მერე ხრიალით გულს რომ იჯერებს,  
წყლიან თვალეზით მოგვაბჯენს მზერას.  
ჩვენ კი – ტოტებად ქცეულ ხელეზით,  
მხოლოდ მაღლიდან მოველით შველას.  
ვინ ააყენებს, ნეტავ, ნიქარას,  
ვინ დაუდგება ჭირში იმედად?  
ხმა აღმობდება უცეზ ნინაპარს:  
– თქვენ ყველა ერთად!..  
– თქვენ ყველა ერთად!..  
ნაქცეულია ხარი ნიქარა  
და დასაკლავად უდევს კისერი.

1988

სამაჩაბლოური

კარგად იცის ივანემ,  
 რისთვის იბრძვის ვანია.  
 ამ ბოლო ჟამს ვანიაც  
 წერას აუტანია.  
 როგორც გაზაფხულოვით  
 შლეგი ამუ-დარია,  
 ავ ზნიანი ვანიაც  
 მღვრიე და მურდალია.  
 სადაც ჩექმას დაადგამს,  
 ყველგან მისი სახლია?!  
 მას ჰგონია ასე და,  
 აღარ მიდის აქედან.  
 ნეტავ, როგორ ავლაგმოთ,  
 ანდა, რა მოვუხერხოთ?  
 თუკი, დაგვეპატრონა,  
 ზურგი უნდა ვუხეხოთ?  
 მახსოვს, ჭავჭავაძიანთ  
 ქალი რომ გავატანეთ,  
 პოეტსა და სამხედროს.  
 კარგია, რომ ვანიამ,  
 ზოგჯერ უფაღს ახედოს.  
 უფლის წვდომა ძნელია,  
 გაგებაც და მიგნებაც.  
 ტაძრებს ლოთი ვანია,  
 პირჯვრისწერით გვინგრევდა.  
 მთვრალზე მეტად,  
 ფხიზელმა იცის გადამეტება...  
 მისთვის ქალი კი არა,  
 კენჭიც არ მემეტება.

P.S.

ღმერთო! იქ დაივანე,  
 სადაც საიბერიოს  
 ვლოცავთ, მე და ივანე.

2014

## პატარა ლიზის

შორს, ცინცინატში ანათებს ლიზი,  
 ცინცინათელა მამის და დედის...  
 მამამ, რომელიც გაექცა კრიზისს,  
 ამერიკაში იპოვა ბედი...  
 ლამაზია და ჭკვიანი გოგო,  
 თანდაყოლილი ქართული გენით.  
 იგრიკა ამბობს, ჩამოდით ოლონდ,  
 ხელებგაშლილი გურია გელით.  
 სულ სხვა ჰაერი დახვდება ყირმიზს,  
 აქ მამული ხომ ერთიც ღმერთს უდრის,  
 მოკითხვას ახლა თავის დაიკოს,  
 ივერიიდან ექვთიმეც უთვლის.

2014

## ქალს

სიმფონიად ავკინძე მე ნოტები...  
 სულიც გავანამე მწარე ფიქრით.  
 ალბათ, ახლა ისევ მელოდები,  
 აბობოქრებული ქარის იქით.  
 ხედავ რა ლოდინი შეგძლებია?!  
 ისევ დათვლილია დრო წამებით.  
 წვიმა კი არადა ცრემლებია,  
 მაგ ვარდისფერზე მცოცავეები.  
 ნეტავი, შენი რა ღირსი ვარ,  
 ერთი მოპოვეტო მენესტრელი?!  
 როგორ მიგატოვე ასე მარტო,  
 მიწის სურნელივით სანატრელი?!  
 ნალველად გულში დაილექა,  
 ცხოვრება ღვინოსავით ამღვრეული.  
 შენი გულისათვის გაილექსა,  
 ლურჯი ცა, თვალებში ჩატეული.  
 შენთან სიკეთეც კი შეუზღუდავია,  
 ოცნება, ლოცვასავით ზნემაღალი.  
 სიყვარული ღმერთივით უკვდავია,  
 სიძულვილი – მუდამ წარმავალი

2014



\*ღეზიდერატა

შენს გვერდით გავხდები ისეთი ფაქიზი,  
 ამ ხელებს ჰაერსაც შევახებ  
 უეცრად შევარხევ სიჩუმეს წარსულით,  
 მეც მტკივა სამყარო და სული,  
 ხორცამდე დასული.  
 აქა ხარ, თუმცაღა, ყოველთვის დაეძებს  
 პატარა სამშობლოს დიადი განთიადი.  
 აქამდე, ნეტავი, რად დამიგვიანდი?  
 მახსოვს, რომ ქვეყანა ტიროდა  
 მამების თვალებში არეკლილ,  
 დედების ცრემლებით.  
 შემზღუდეს მორალის კედლებით!..  
 ივსება ეს მიწა ბავშვებით, რას ვშვრებით?!.  
 მიწაზე რა გითხრა...  
 ცრემლს შერჩა მხოლოდღა სიმლაშე.  
 ისევე აქაა, ის ვარდი სილაში.  
 მჭირდები, როგორც ბრმას მეგზური  
 და ცოცხლებს – ფილტვებში ჟანგბადი.  
 რჩეულთა ბილიკი ჯვარცმაზე გადადის!  
 ყოველთვის მაკლია მცირედი ნაწილი,  
 ხელიდან ხელისკენ განვდენის მანძილი  
 შემძაგდა სიცრუე, ნათქვამი მკაფიოდ:  
 – გზა ხსნილი ექნებათ ყოვეთვის მდაბიოთ!  
 სჯობია, ლექსივით მოვუხდე ალიონს.  
 მე მიწადა, ავივსო, ან ჩემით შევაავსო სამყარო!  
 იქნება, იმასაც ტაეპად ვაკლივარ?!  
 ოდესმე დაკარგულ საკრალურს ვიპოვი!  
 იმედი ქმედებას მიბიძგებს, მაცოცხლებს,  
 პოეტი ნატკენი გულივით მარტო ძგერს!..  
 პრინცი ვარ პრინციპთა, ჩემ ფიქრთა, ამ ქართა...  
 სიმართლის მარცვალი დაღმართზე დაქანდა.  
 ნეტავი, თუ შეძლებს, ოდესმე იხაროს  
 და სიბნელისაკენ არ გადაიხაროს?  
 ხელოვანთ ფიქრისთვის იმდენი დრო ჰქონდათ,  
 სიტყვაც კი არ თქმულა ფუჭად და ამაოდ!  
 ქალში რომ ყოველთვის ვეძებდი ჯოკონდას,  
 იქნება ამისთვის ვისჯები, საბაოთ?!.  
 ყარიბი, მეც გავძლებ ხანდახან უპუროდ,  
 (გადავდოთ მახვილი, აბჯარი, თუ ფარი).  
 ხშირად რომ ერთმანეთს სახეში ვუყუროთ,

ეგება, ვიპოვოთ უეცრად უფალი!  
 თუმცაღა, სანამდე მამალმერთს მოვძებნით  
 (სისხლშიც ხომ ყივიან წინაპრის გენები?!),  
 ერთუთრი მოვნახოთ, ერთობის ოცნებით  
 და მყარად ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები!

2014

### განშორება

უჭირთ, მიდიან... ცარიელ კუჭით  
 გადაიარეს საზღვრები.  
 ლატაკი, იმათნაირთა,  
 სიაშიც მოვისაზრები.  
 ქვეყანას, შეკონინებულს  
 და შემონახულს განძივით,  
 მეც თანახმა ვარ, დავშორდე,  
 ოღონდ, ტკბილ ძილის მანძილით.

2014

\* \* \*

სამყაროს ოთხი მხრიდან, ძვირფასო,  
 შენ ხარ, მეხუთე...

2014

\* \* \*

მზიან აპრილს მიზანი აქვს  
 მხოლოდ ერთადერთი;  
 ღიმილივით ააფეთქოს  
 ტოტზე, კვირტის კერტი.

2014

\* \* \*

შენ ჩემზე მდიდარი ვერასდროს იქნები, ბანკირო!  
 მე შემოძლია, რამოდენიმე დღე უჭმელი ვიყო.  
 არასოდეს არ მქონდეს სამსახური,  
 მაგრამ მაინც არ გავბოროტდე.  
 შენ ჩემოდენა სიმდიდრე სად გაქვს?  
 მე ძალმიძს, ალებული ჰონორარი არ დავითვალო,  
 გავასესხო, უკანასკნელიც!  
 აუარება განძს გულში ვინახავ.  
 არსადაა დედამინის ზურგზე ისეთი ქურდი,  
 ვინც ჩემგან რიამეს მოიპარავს და მიითვისებს.

2014

\* \* \*

გიმზერ და სივრცის შესაბამისად,  
 სანნახელივით შენით ვივსები.  
 დამენანები სხვისთვის ჭაშნიკად,  
 უცხო ტუჩიდან რომ შეისმები.  
 ცოცხლებში, ალბათ, ნუთისოფელში  
 მხოლოდ დროებით თულა ვითვლები.  
 მთის ჰაერივით დამაქვს ყოველგან  
 შენით ავსილი სუსტი ფილტვები.  
 ამა ცხოვრების ტრფობის და ვნების,  
 სადავეებიც უმაღლ ნამართვი.  
 ო, რა, უეცრად შემომაბრუნე  
 სიყვარულისკენ ძველი წარმართი!  
 ჰოდა, სიბნელის ლაბირინთებში  
 სინათლის ქარმა ჭუჭყი მოგავა.  
 შენც მაღიარებ, თუმცა, ჯერ არა,  
 დიდი ხნის მერე, როცა დრო გავა...  
 ჩამომიქროლებ მადლობის ნიშნად  
 და მომეხვევი ყელზე ქარისებრ,  
 ჩემი ლექსების სინმინდეებით,  
 სხეულს, სულივით როცა აივსებ!  
 მეც ამამალლებს კოცნა ბაგეთა,  
 როგორც მირონის შუბლზე მოცხება.  
 ნება მომეცი, ჯოჯოხეთიდან  
 გადმოგიყვანო ლექსში ოცნებად!

2014

\* \* \*

ათოვს ტყესა და ათოვს ვენახებს,  
 ეს დეკემბერი დადის მარხილით.  
 ნეტავი, სულაც არ დამენახე,  
 ტკბილ ბადაგივით გზაზე დაღვრილი.  
 მზეში გავლებულ ფერით ჩურჩხელის  
 იქარგებიან ზოგჯერ ნისლებიც.  
 როგორც დაცლილი თიხის ჭურჭელი,  
 შენი ნათელი მზერით ვივსები.  
 ჯერ შეურყვნელი, ალალ ბალღივით,  
 რწმენა იღვიძებს ყოველ ცისმარე.  
 ჩამიარე და ტაძრის ხატივით,  
 თვალის შევლების სითბო იკმარე.  
 დროც მიიღია, ალერსიანად  
 ატმის ყვავილი მიწას ათოვდა.  
 ვილაცამ მითხრა: – კაცზე კი არა,  
 გოგონა მძიმე სენზე გათხოვდა.  
 აღმომიცენდა სულში ჭინჭარი,  
 ეიფორიაც დაცხრა, მინელდა,  
 გარდავისახე მკვდარმა პირჯვარი,  
 სოფელიც უმაღ დაცარიელდა...

2014

\* \* \*

ეგ შენი მზეც ათბობს, ნიკო,  
 თუმცა, თვალებს არა ჭრის.  
 ტივზე ტიკით და არღანით  
 გამიქარწყლებ გასაჭირს.  
 შენი ზეცა დამახურე,  
 ეს ცა, უკვე ბაცია.  
 ზეახალი საუკუნე  
 ისევ გასულს აცვია.  
 „კაროუნებთან“ მიმასკუპე,  
 დამსვი, კაკლის ჩეროში.  
 გეხვენები, გადამხატე  
 ყოფილ საქართველოში.

2014

მოხუცი მასწავლებლის ბოლო გაკვეთილი

ნეტავ, რა უფრო გაუსაძლისია,  
 კუჭის, თუ სულის სიცარიელე?!  
 ალბათ, სულისა...  
 ასეთი თვალებით ნუ მიყურებთ, ბავშვებო!  
 ვიცი, ეძიებთ ყოველივე უანკარესს,  
 მე ვერაფერს მოგცემთ, თითქმის, ვერაფერს!..  
 რადგან მთელი ცხოვრების ჭუჭყი  
 ჩემში დაილექა, ღვინის ლექივით...  
 არ ვარ ექიმი!..  
 პოეტიც კი არა ვარ, უკვე!  
 რადგან, სიტყვები მიწიერ საქმეებს ასცდნენ ცასავით.  
 ნუ მიმზერთ ისე, თითქოს გინდოდეთ,  
 ჩემი ბაგიდან გადმოღვრილი სიტყვის დაღვევა...  
 ნუ, ნუ იგემებთ!  
 მწარეა იგი, სიმართლესავით  
 და ნუ ინდომებთ, არ შეტოპოთ, ცხოვრების ზღვაში!..  
 რაც შეიძლება, განელეთ ეგ დრო,  
 სანუთრო თავად ჩაგითრევთ მაინც...  
 გაიხანგრძლივით აქ ბავშვობა, რად ჩქარობთ გაზრდას,  
 რომ მერე, ერთუროს გაუმწაროთ მოკლე სიცოცხლე?!  
 ასეთი ყოფა, ხშირად ჯვარცმაზე უარესია,  
 სიკვდილამდე უდასასრულო!..  
 ვინ ჩაგანვეთათ, პოეტობა რომ უფლის მადლია?!  
 არა! – პირიქით!..  
 გალაკტონსაც ვერ გაუგეს, როგორც ულისეს...  
 ნუ მანათებთ ვარსკვლავა თვალებს!  
 ზოგჯერ თვალდახუჭული უფრო მეტს იგებ!  
 ლამაზ ნიგნებშიც ვერ მიაგნებთ ჭეშმარიტებას,  
 ის ძალიან შორსაა, უკიდევანოდ შორს!  
 ყოველი რელიგიისა და ტაძრების მიღმა,  
 გულში!!!

2014

\* \* \*

იმედი ლატაკის სახლში შუაცეცხლივით ბრდღვიალებს!..

2014

\* \* \*

ვაჰ, სოფელო... მეც უნებურ,  
ჩემებურად ბარიტონით წავიმღერე.  
სულ სხვა იყავ ლექსამდე და  
სულ სხვა ჩანხარ ლექსის მერე...

2014

### ბაცრეცილი ფოტოები

დგანან... მეცხრამეტეს ჰგვანან  
„კაროუნები, მაროუნებით.“  
ხმები მოიტანა ქარმან  
წარსულიდან, მაჟორებით.  
სახეებიც მეტყველი აქვთ,  
სუფთა ზრახვა, განაგისიც.  
კარგია, რომ არა გვჭირდეს,  
დღეს გავლენა არავისი.  
სურათების გმირებს ვამჩნევ,  
წლები გაიარეს გზნებით.  
გაყვითლებულ ფონზე მოჩანს  
ფეხქვეშ გაცვეთილი გზები.  
საუკუნის ხიბლს შეიგრძნობ  
იქ უბრალო გამვლელითაც.  
არასოდეს არ გამოვალ,  
საქართველოს გავლენიდან.

2014

\* \* \*

მიუნვდომელი ანი ედემი,  
სულიერებით სავსე ადამით,  
წარყვნა, ქალაქის გეომეტრიამ.  
ხოლო, ღვინით კი –  
შენც ხომ იცი,  
კოკაც კაია...  
ომარ ხაიამ!

2014

რუსი მოღის!

სიმართლეს კლავენ, ამახინჯებენ,  
თან ისტორიად გვჩრიან არაკებს.  
შეშფოთებული ევროპაც ალბათ,  
მალე, რუსულად ილაპარაკებს!  
შემეცოდები ილიას სულო,  
ცაზე ქართველთა ხსოვნად გაკრულო.  
ვერ მისწვდებიან, თორემ მაღლიდან,  
ჩამოაგდებდნენ დაბლა „ჩაკრულოს“.

2014

\* \* \*

ოცდახუთსა დეკემბერსა  
გადუფრინეს ანგელოზთა  
ტაძრებს, სახლებს, ვენახებს.  
რელიგიას მიაგნეს და  
ქრისტიე ვერსად ვერ ნახეს.

2014

\* \* \*

არ აიძვრე კაბადონო,  
ჯერ ქარები არ ქრიან.  
ლაჟვარდი ხარ სამადონო,  
ფერმწერილა გაკლია!  
მადონები ლუვრს უხდება  
და ბროლიან ერმიტაჟს.  
ო, რა, ძნელად ვეგუები  
ამ რითმების ეპატაჟს.  
და თუ მაინც სამადონოდ  
მხატვარს ელი,  
შობილსა თუ უშობელს.  
ცაო! ლურჯო ქალბატონო,  
მოუხდები ივერიის ღვთისმშობელს.

2014

\* \* \*

რამდენი რამე არ ვიცი...  
 „რაც ვიცი, ისიც არ ვიცი...“  
 ძლიერ გავლენებს განვიცდი  
 გენიოსთა და ტიტანთა.  
 ჯვარედინ რითმად ანათებს  
 ლექსი, ამ გულის ფიცართან.  
 მეცენატებად მოჩანან  
 მიმბაძველები ტირანთა.  
 მძაგს, უნიჭობის ზეობა,  
 უზნეო ზნეთა დროება.  
 გენიოსების ბავაშვური  
 მიზიდავს უბრალოება,  
 თუ გნებავთ, უსაზღვროება!

2014

\* \* \*

არ მინდა ლოცვა, \*ლაჟღავაშს გავყვები  
 უფლისკენ, ოქროსრქიან ხარებით.  
 მხარში მიდგანან ზურგის ქარებიც.  
 ამ გზაზე მყოფნის მწირი საკვები  
 შენი ლოდინი და ერთგულება.  
 სახება იგი, წინ მეგულება,  
 როგორც სპეტაკი ამ მთის ბუნება.  
 თავისუფალი მოდგმის დასტურად,  
 აქ, ბელურაც კი- მედიდგულება.

2014

\* \* \*

ქართველის ქირო! თუ არ მკლავდი,  
 რალად გამიუამრავდი?!

2014



\* \* \*

დაიმსხვრენ... რა ტრაგიკული  
იღბალი ერგოთ საინებს,  
ჩვენ ვინმეს, ეჩხუბებოდა  
ჩამოთრეული რაიმე...  
რაიმეს, რაც არ ერგება,  
რად ითხოვს ნაირ-ნაირებს?  
ცდილობს, ჯიბეში ჩაისვას  
ხონი, ონი და საირმეც.  
ტაეპებს ვემარცვალები,  
სტრიქონიც გულში გავივლე.  
ჩემს ვინმეს ვენაცვალები,  
წიხლზე მკიდია რაიმე.

2014

\* \* \*

ნაგვით, ჭუჭყით რომ ავავსეთ,  
ქუჩები და გაზონები,  
ამისათვის დამნაშავედ,  
მიგვანჩნია მასონები?  
თუმც, რა მიკვირს, რწმენასაც კი,  
არ ვექცევით სასოებით.  
ცის კამარაც მარჩენალის ამარაა?  
ჩვენი კარის მიღმა თურმე,  
საქართველო აღარაა!

2014

\* \* \*

ამ ბალახივით ხასხასა,  
გაზაფხული დგას ქალსახა.  
მსურს, ისევ გადავხვიო,  
მძივად კოცნები ავასხა.

2014

\* \* \*

სამ თავად და სამთავისად  
 ოდა, ღმერთზე მარადისი  
 ისე გაითავისა,  
 გავლენაც კი – არ ემჩნევა არავისი,  
 საკუთარი თავისაც.

2014

\* \* \*

ჩემ გვერდით რომ აღარ დახვალ,  
 უზნეობას ასახელებ მიზეზად?  
 შენ ქართული რთული ზმნა ხარ,  
 მე – მარტივი ზმნისზედა!

2014

\* \* \*

სამშობლოვ! სანამ, ხსოვნის წიგნიდან,  
 ამომშლიდე და გამომრიყავდე,  
 მანამდე ვიტყვი, თუნდაც იქიდან  
 სიცოსხლის მერეც უნდა მიყვარდე.

2014

\* \* \*

მთელი სიბრძნე კოსმიური,  
 არა მხოლოდ ბიბლიური  
     გ უ ლ თ ა ნ!  
     ს უ ლ ი ც –  
 რწმენის ხიდად გადებული,  
 პირჯვარშია ჩატეული.

2014

ნუ დამიტევებ...

ნუ დამიტევებ, გამიჭირდება  
 მერე ხილვა და მერე მოგნება,  
 სულზე ცოდვები ისე ამკვრია,  
 როგორც ტაძრებზე ობი ხორკლებად.  
 ნუ დამიტევებ, გამიჭირდება  
 მერე ვიპოვო ჩემი ცა, მთელი.  
 უკუნეთშიც კი იგულისხმები,  
 როგორც ლოცვა და როგორც ნათელი.  
 თუმცა, რას ვბოდავ... მე მიგატოვე  
 და აღარ მინდა გული ჩავრაზო,  
 ახლა მრცხვენია ეს სიმარტოვე,  
 მეორედ როგორ შემოგთავაზო!  
 ცოცხალ არსებებს ისევ გწირავენ  
 და სისხლის გუბე დგება გუგებშიც.  
 მხოლდ შენა ხარ, მხოლოდ შენა ხარ,  
 დამაშვრალთა და მწირთა ნუგეში!  
 განა არ ვიცი, სულმადლიანად  
 ლოცვებში სიტყვად როცა ხშირდები,  
 ღვთის ბედისწერად, ადამიანად,  
 მცირე ხატივით მეც რომ გჭირდები  
 ვინრო ბილიკით ზღურბლთან მოვედი,  
 კარები იყო და სახლს არ ება...  
 აჰა ჭურჭელი, ჩემი სხეული,  
 მომირთმევია დასავანებლად!

2014

მხატვრის ვედრება

ვხატავ წართმეულ მთა-გორებს,  
 თანამედროვეთ, წინაპარს.  
 უფალო, ცოტაც მადროვე,  
 როგორც დამსხვრეულ მინანქარს,  
 სამშობლოს ისე ვაგროვებ!

2014

\* \* \*

კალმით იბრძვის, თუ გაჭირდა,  
 ხელში თოფსაც აიღებს  
 (თუნდაც, თითი გაიჭრას)...  
 ტაშის ფონზე მზადაა,  
 ბრძოლის ველზე გაიჭრას.  
 ცხრა ძმას ათად დაამრგვალებს,  
 სამასს კიდევ გაკენტავს.  
 დარუბანდს და კავკასიონს,  
 წიგნთა გროვით ჩაკეტავს.  
 ოლონდ, წუთით არ მოაკლდეს  
 ყურადღების ეპიცენტრს,  
 საპარნასო დიდებისთვის,  
 ბელზებელსაც შეჰფიცებს.  
 ნიჭზე მეტად ენა უჭრის,  
 სლიპინა და წინმსწრები.  
 რომ მოკვდება, დაიბარებს,  
 ჩააყოლონ წიგნები.  
 სახლ-მუზეუმს ეყოლება  
 მერე ბევრი მნახველი  
 და ქუჩასაც ალბათ იმის,  
 დაერქმევა სახელი.  
 ამ ყველაფრის დანახვაზე  
 პირზე ღიმი ხანძარივით,  
 უცებ მომეკიდება.  
 აღმოსავლურ ბაზარივით,  
 იყიდება დიდება.

2014

\* \* \*

როცა გარშემო სიღარიბეა  
 და შიმშილით იღუპებიან,  
 ვერ იქნები ბედნიერი,  
 შეიძლება, იყო მაძლარი!

2014

ნიკა ბარსენიშვილი

ამ მთა-ველებს მოუარე,  
გაამრავლე ვაზი, ნიკა.  
შენი ხელით აშენდება,  
საქართველოს ბაზილიკა.

1998

\* \* \*

სამოთხის იერს აძლევენ ქუჩებს,  
ტყეებს, ხან ამ მთებს.  
მე მგონი, ციდან ბავშვების  
დახატული მზე ანათებს.  
უპოვართ აბინავებენ  
ნაირფეროვან სახლებში,  
სიალალის და სინდისის  
უდგათ ნათელი თვალებში.  
უფროსებს სერიოზული  
შუბლები რომ აქვთ კუშტები,  
ლიმილი მიაფერადეს,  
დააჭერინეს ბუშტები.  
პატარებს, როგორც ზღაპრების,  
უფლისაც დიდი ხათრი აქვთ.  
მზესა და მთვარის შუაში,  
პლიუსი მიუხატიათ.  
ვაზით შემოსეს ხიდები,  
თან აქარგავენ ცას მტევნებს.  
გაოცებული ვუყურებ,  
ცივ ლიმონათის შადრევნებს.  
ეს ცივილური ქაოსი,  
მეც მომწყინდა და შემძაგდა.  
დახატულ ქალაქისაკენ,  
ჩემი ბავშვობაც მეძახდა.  
მინევს (თამაშის დაშვებით)  
რიტმიდან რითმში ბანცალი,  
ჯერ უნდა გვნამდეს ბავშვების  
და მერე, მალლა რაც არის!..

2014

\* \* \*

ნალექიანი არ მიყვარს,  
 აძმარებული, ეს ყოფა...  
 იმ თომასავით ეჭვი მაქვს:  
 – ბევრი, ერთობით ერთობა.  
 ჩაივლის ბაირამობაც  
 და მინი მინარეთობა.  
 და-ძმობას, ღვინით შენაფერს,  
 სხვა გენი განა ენდობა?  
 მე, მირჩევნია ყველაფერს,  
 ლექსების ალავრდობა.

2014

\* \* \*

ქარმა, ვნებააშლილმა  
 გემთა თეთრი აფრები  
 წამში დააფეხმძიმა,  
 საით მივექანები?..  
 ეს ცხოვრება მემძიმა,  
 დამენამა თვალები...  
 ქარმა, როგორც მხატვარმა,  
 შემომქმედის უფლებით,  
 ცაზე გემი დახატა,  
 კიპარისტა ფუნჯებით.  
 იმ ჩადენილ ცოდვებს ქარი  
 მერე აღარ კისრულობს,  
 წიგნს ყველაზე უცებ ქვეყნად  
 მხოლოდ ქარი კითხულობს...  
 დაცხრა ვნებააშლილი  
 ქარი – შმაგი ყმანვილი.  
 ღმერთო, რა მემართება?!  
 თეთრ აფრებმა დაბადეს  
 სიმარტოვის სიჩუმე  
 და მზის შორი ნათება.

1998

რა გინდა?..

რა გინდა, არ გევესება,  
 ისევ სამშობლოს მიდამო?  
 ველარ იპოვე მსგავსება,  
 ფირმენტან, ჩემო მადამო?..  
 შეირგე უცხო ქვეყნიდან  
 გადმოგდებული შაურიც,  
 თუმცა, ყველაფერს გერჩიოს,  
 წითელი თურაშაული.  
 ქართულ გენად ხარ მოსული  
 და უტოლდები ზედაშეს.  
 შეხედე! რა ბიბლიური  
 ცა ჩამოსულა ზედაზენს.  
 იცი, რარიგად განვიცდი?..  
 წუხილს ვებრძოდი წუხელი,  
 ომების ამოქუხილით  
 ეს მერამდენედ დავმინდი...  
 ამღერებული ლექსივით,  
 ზეცას უხდება გერგეტი.  
 იგრევე ეგეთი ჯილა ვარ,  
 გაუტეხავი, კერკეტი.  
 რა გინდა, გოგნი გოგონავ,  
 ან ბიჭო, ჩემო აღმასავ?..  
 ლამის გამონვდილ პეშვებში  
 ეს გაზაფხული დავასხა.  
 ახედე! ისევ ცურავენ  
 ღრუბლები, როგორც ნავები,  
 აფრენა გინდა? გაშალე  
 ლალად საფრთევე მკლავები!..

2014

\* \* \*

ო, ეს ჭაბუკი,  
 უძლეველი ღმერთის დამცველი,  
 ბიცებსების გროვავა და, იცი, დენთია!

ცხოვრებაც დიდი ინციდენტია!!!

2003

თევზი

ეს ქალი თევზია,  
 კაბაც ხომ ხელს უწყობს...  
 ჩინურად ვერძია,  
 ფერით – იაგუნდი...  
 მოშურნეთ ვერ სძლია,  
 სულ ახლოს ტრიალებს,  
 ჩვენია დღეიდან.  
 დაუსხლტა ტირანებს  
 შორეულ ქვეყნიდან.  
 დაექებს წყაროს წყალს  
 და სუფთა მდინარეს,  
 რომ ჩამოუჟონავთ  
 ბარისკენ მყინვარებს.  
 ეს ქალი თევზივით ჩუმია,  
 პატარა შლაპა გვერდულად ახურავს.  
 რა უნდა, ნეტავი,  
 ამღვრეულ წყლებში რომ დაცურავს?!

1999

მინიდან ცამდე

ციდან მინამდე მცირე მანძილია –  
 ფიფქები უცებ აღწევენ დაბლა.  
 მწარე დღეები უკვე გავლილია,  
 მაგრამ მოგვიწევს თავიდან გავლა.  
 იქ სამოთხეა – ლურჯი იდილია...  
 იქ, სადაც დაფრინავს ამაყად ქორი.  
 ციდან მინამდე მცირე მანძილია,  
 მხოლოდ მინიდან ცამდეა შორი.

1998

\* \* \*

დღეს ხატობაა (ღრეობა რალა),  
 ყურებს უწევენ თუშნი გარმონებს.  
 მალლა კი დიდი და თმაჭალარა,  
 მთა ფენა-ფენა ნისლებს აბოლებს.

2000



მძივე ლექსი

გული, უნინ მხიარული,  
დღეს დედებმა  
ცხელი ცრემლით ჩაითუთქეს...  
აქ სიცოცხლის ჟრიაშული,  
საფლავებმა ჩაისუნთქეს.

2000

მთეზი

ბარს ფერებით ეხამება  
ბუნება ხელუხლები,  
ხანჯლისპირა მწვერვალებმა  
გამოფატრეს ღრუბლები,  
სამახსოვროდ შერჩენია  
ტყეებს თოვლის კოშტები,  
ლამაზ პიზას მირჩვენია,  
სვანთა კუშტი კოშკები.  
სიამაყით აღმაფრენის  
სურათია თანმხლები,  
ცაში ჩაძირული მთები,  
მთები ცაზე მალლები...

1999

ალპინისტი

ავდივარ მთისკენ,  
უკან დარჩა შარა, ღრუბლები...  
გამოჩნდა შხარა  
ცივ ყინულებით.  
მწვერვალთან ქორმა ამომაცვილა.  
სვლა-გეზს აჩერებს პატარა ქვაც კი...  
ფეხსაცმელს ვიცვლი,  
მალლა არ ამყვეს  
ბარის ბაცილა,  
მ ა რ ც ხ ი.

1998

## ზაფხულის წვიმა

წყალი, ჩასული მიწის ფილაში  
 მოსწონთ გვირილებს.  
 პილიგრიმივით მზე დგას წვიმაში,  
 სხეულს იგრილებს.

1998

\* \* \*

ჰო... ცუდ მშობელსაც უყვარს შვილები,  
 რაღა იქნება კარგი დედა?  
 ალბათ – წმინდანი.

2012

## ბალადა სიყვარულზე

მზემ ორღობესთან ჩამოიარა,  
 ქოჩორა ბიჭმა თვალი მოჭუტა...

2001

## სადღებრძელო

უმტერო კაცი  
 პიროვნება არ არისო,  
 გაუმახვილებია ვილაცას სიტყვა  
 და ამ მახვილმა,  
 ცაზე ღრუბლის კალთა ჩახია.  
 არ ვეთანხმები,  
 კაცთმოძულის მონაჩმახია!  
 უმტერო კაცს გაუმარჯოს! –  
 უდიდეს პიროვნებას,  
 სულით „გრაციოს“...  
 ძალა რომ შესწევს,  
 მტერიც მოყვრად შემოაქციოს!

2001

ბრავო

სულს ხუნდივით ბოჭავს ხორცი,  
სული ვერ ძლებს უგარსოდ.  
ლამე, მიწის შესამოსი  
ნახატია უფასო.  
უანგაროდ იხარჯება  
დედამინის სცენაზე,  
ქარს, ნიავად გარდასახულს,  
ემატება სინაზე.  
ყოველდღიურ პრემიერებს  
განა მუქთად ვესწრები?  
საფასურს კი იმით ვიხდი,  
რომ მისდევენ წლებს, წლები.  
თავის თავს თამაშობს ლექსიც,  
ალალ გულებს აჩუყებს.  
ჩამავალი მზის ალერსი,  
ტაშით დავასაჩუქრე.

2014

\* \* \*

ერთმანეთს ვაბამთ მახეში  
და გადავყევით გართობას.  
მე შევაფურთხე სახეში  
კუჭით გაზომილ კაცობას.

2000

\* \* \*

გაზაფხულმა მინდვრები  
ბროწეულით დანაღმა.  
დაგიკოცნა წვივები  
გაზაფხულის ბალახმა.  
გაიფოთლა შენს სახლთან  
იები და ყენშენი.  
გვიხარია დანახვა  
შენ – ჩემი და მე – შენი.

1999

ტკივილი

როგორც ხელი სახეში  
 უცაბედად განწული,  
 შორიახლო,  
 მისანვდენი მანძილიდან,  
 წყალს ეტკინა  
 ქვა, ნასროლი ნაპირიდან.

2003

ფანჯრის იქით

ჩემს ფანჯრის იქით გარედან  
 მთვარე ანათებს სარკეში,  
 სარკე ირეკლავს მთვარეს და  
 მომჩერებია სახეში.  
 ციდან დამყურებს ამაყად  
 პოეტებისგან ნაქები.  
 ჩემში რად ეძებს შეცდომებს,  
 თავადაც ხომ აქვს ლაქები?  
 ჩემს ფანჯრის იქით ავტირდი,  
 გული მომიღბო ამინდმა.  
 სიყვარულს რატომ დამპირდი,  
 თუკი შეხვედრა არ გინდა?  
 შენ სიყვარულის ცეცხლი ხარ,  
 არც მეტი და არც ნაკლები.  
 მთვარე რომ ახლოს გიცნობდეს,  
 არ ექნებოდა ლაქები.

2001

\* \* \*

ცამდე ვერ აღწევს ჩვენი ვედრება,  
 ცრემლები ცრემლებს მძივად მოება  
 და მაძლარ კუჭზე გაგვახსენდება  
 „მამული, ენა, სარწმუნოება.“

1997

პელიოპოლისის ჩანაწერები

ეგვიპტელ ქურუმს  
თავი აქვს გამოტენილი კერპებით.  
სიამის ფისო  
ძლიერი ფარაონის ფერხთით ამთქნარებს...  
საოცარია,  
ეკლესიასტე ემთხვევა  
წარმართი ანხუს გამონათქვამებს.

1999

ორი შპკითხვა

ტყეში მოვკრიფე  
                        მოცხარი,  
იქ, სადაც იდგა  
                        კედარი.  
მკვდარ თევზს  
                        რად ჰქვია ცოცხალი,  
ზოგ ცოცხალს  
                        კიდევ – ცხედარი?!

2000

სრუტი

ვინრო სრუტეში  
                        მებადურს – თევზი,  
ზღვას – მებადური  
                        დაუჭერია.  
გაბრაზებულა ხმელეთი  
                        წყალზე  
და ყელში ხელი  
                        წაუჭერია.

1998

## გმრობა

საზოგადოებაში  
 სადაც თვალი და ყური ასჯერ ასია,  
 თამბაქოს მიტოვება გმრობაა,  
 ნამდვილი გმრობა კი –  
 ჩალის ფასია.

2003

\* \* \*

ყველაზე მართალ სიმღერას  
 მღერის წვიმა,  
 ზედმეტსახელად შხაპუნა...  
 მცენარესა და თამუნას,  
 წვეთი მირონად აპკურა.  
 მერე კი, როცა ნიავი  
 ყვავილს არხევდა, მოკრეფილს,  
 ვარდმა ფოთლები გაიშრო,  
 თამუნამ კიდევ კოკრები.

1999

## ბავშვობა

ტირიფები ტყიდან გამოსულან  
 და მდინარეში ბანაობენ.  
 საბანაოდ ბავშვებიც ჩამოსულან,  
 ტირიფთა ტოტებზე ქანაობენ.  
 ტყე გააყრუეს სიცილით, ხველებით,  
 ბავშვები ცხოვრებას აშუქებენ.  
 ტოტები უჭირავთ ხელებით,  
 ტირიფებს უკან არ უშვებენ,  
 ისინი ლალობენ...  
 მე ბევრი საზრუნავი გამჩენია,  
 ცხოვრება ხელიდან მიმირბის.  
 ბავშვობა მდინარის ბოლოს დამრჩენია,  
 ტოტზე ირიბი ტირიფის.

2003

მხატვარი და მენატურა

გული თვალებს ემონება,  
თვალები კი-სხეულებს...  
სარეცელი ელოდება  
შენი თმების სვეულებს.  
წამონვები ცისფერ ფონზე,  
ღრუბელს თავქვეშ დაიდებ  
და ბოჭემის სიამტკბილეს  
სალამოხანს გაიგებ.  
შენ ხან სოფლის როსკიპი ხარ,  
ხან-ადამის მეუღლე.  
მაინც ყველა ვარიანტში  
მე ვარ შენი მეუფე.  
ჩემი ფუნჯით მე შეგაბი  
ყელზე ნაღდი აქატი.  
მენატურევე, შენზე ძვირად,  
ფასობს ჩემი ნახატი.

2000

ბრკე

და შეამჩნია პაპამ  
ბრკე ღვინოს –  
პატარა ვიყავ,  
კი არ ვტიროდი,  
უფრო ვხაოდი –  
და ხელის მოსმით,  
ვით პიანინოს,  
ანდა ცხოვრებას,  
ჭუჭყი მოსწმინდა,  
ჭინჭრის ხაოთი.

1999

\* \* \*

პოლიტიკურ ილუზიას პოეტური ალუზია მირჩევნია.  
საქართველოს იარები მტკიცვა, აღარ მირჩებიან.

2014

ოსანა

ყველას თავის წილი ერგოს,  
ჩემო კარგო სოსანა.  
მტერს-მახვილი,  
ფლიდს-მათრახი,  
საქრთველოს-ოსანა!  
გვეყო ცუდი, რაც იხილა  
კაცმა პატიოსანმა.  
ლექსით თვალი აგვიხილა  
დიდებულმა მგოსანმა.  
განათდება, როცა ცაზე  
ჯვარი დაეკიდება.  
ჭირთა თმენით გამოიწრთო  
ჩემი ქვეყნის დიდება.  
საქართველო სახმილია...  
ქარში ვდგავარ უფარო,  
სიტყვა ჩემი მახვილია,  
დამიფარე, უფალო!  
ნეტავ, შიში რა ბიჭია? –  
იბერიას არ უხდება.  
დიდებამდე ნაბიჯია,  
იესომდე-ჩახუტება.  
სული ღმერთის ტაძარია,  
ჩემო ძმაო სოსანა,  
ჩემი გული ხანძარია,  
ეს ლექსი კი-ოსანა!

2001

წრებრუნვა

მე ხის ფოთლიდან ჩამოვცურდი,  
წვიმის წვეთივით  
და მას მერე,  
ცხადად თუ მალვით,  
მინდა ავიხსნა სულზე ხუნდები.  
თუმცა კი, ვიცვი, ფესვების გავლით,  
ისევ იმ ხეს დავუბრუნდები.

2002



\* \* \*

ღამემ დაიპყრო ჩემი ქალაქი,  
 სასონარკვეთა ჰქვიათ სართულებს  
 და მკვდარ ცხედრებად აღვიქვამ ახლა  
 ჭერზე დაკიდულ ჩამქრალ ნათურებს.  
 ბევრმა კი ბოლო წერტილი დასვა  
 იქ, სადაც ისევ ძველი ხიდია.  
 მე მეჩვენება, რომ მთვარის სახით,  
 ქალაქის თავზე ყულფი ჰკიდია.  
 ვილაცა მშიერ ღიმილს დასცინის  
 და ხარბად ითვლის ვერცხლის მონეტებს,  
 ვილაც უნიჭო რეჟისორივით,  
 როლებს ურიგებს მარიონეტებს.  
 მე შემაძულეს ჩემი ქალაქი,  
 გადატვირთული გლოვით, ვედრებით...  
 ჩვენი თაობის ახალგაზრდები  
 ო, რა სასტიკად უცებ ვბერდებთ...  
 და მტკივა გული, ჭაღარა ქალაქს  
 ვილაც რომ უხეშ ხელებს შეახებს.  
 მე ვიცი, ბევრი სახლის კი არა,  
 სასუფეველის კარებს შეაღებს.  
 ქალაქი მაინც ებრძვის დემონებს,  
 თუმც, ბედიწერა საქმეს ართულებს.  
 მზე ქრისტესავით ამობრწყინდება,  
 ჩამოუკოცნის თვალებს სართულებს.

1999

\* \* \*

ცა სისხლისფრად შეღებეს  
 (დილა იყო მზიანი)...  
 წმიდა წინოს ქუჩაზე  
 მოკლეს ადამიანი.

1998

სემირამიდა

ქვევრებს ასტკივდათ უკვე მუცლები,  
 პაპამ მკლავები აიკაპინა...  
 ბებომ აკრიფა კომშის ფურცლები,  
 გასულ წლებივით ძაფზე აკინძა.  
 ყველი და პური, წითელი ღვინო,  
 კეთილი გული, მეტი რა მინდა?  
 და გლეხის გოგო, სახელად ნინო,  
 დღეს ჩემი ბალის სემირამიდა.

1997

შუაკაცი

გოლგოთას მთაზე გააკრეს ჯვარზე  
 უბინო, წმიდა...  
 კაცი, რომელიც შუაში იდგა.  
 ყოველთვის, ყველგან პირველი კვდება,  
 კაცი, რომელიც შუაში დგება.  
 იმ კაცს, რომელიც შუახიდია,  
 ორივე უყვარს,  
 იქით და აქეთ მოქიშვე მტრები!  
 იმ კაცს, რომელიც შუაში დგება,  
 ხანდახან გიჟად ნათლავენ სხვები...  
 ამ შუადგომით და თანადგომით  
 ის დაჭრილია გულში, ან ფრთაში.  
 იმ კაცს, რომელიც შუაში დგება,  
 აუცილებლად წილი აქვს ცაში.  
 და, ღმერთმა არ ქნას,  
 შუაკაცი აღარ იყოს ფაფარაშლილი,  
 ორ კაცს შუა მდგარი ფარივით,  
 ხელებგაშლილი...  
 ჯვარზე გაკრული მაცხოვარივით.

1999

რუსთავს

ღამე ღამურის ფრთებით მოფრინდა,  
 ღამის მტრედები ჰქვიათ ღამურებს.  
 უშნო ქალივით გალახულ ქალაქს,  
 დღეს ჟანგისფერი მთვარე დაჰყურებს.  
 დღეს ტყვიისფერი წვიმის წვეთები  
 ეცემა ჩემი სახლის სახურავს  
 და უპატრონოდ მიგდებულ ქალაქს,  
 ღამით ქურდული კეპი ახურავს.  
 მწვერვალებისკენ ცა მოიწმინდა,  
 მთები არა ჩანს მოჩითულები,  
 მალლა ჯვარია და სულიწმინდა,  
 დაბლა კი – ეშმას მოციქულები.  
 ჩემი ქალაქი უღიმის დილას,  
 იმედის თვალით გაჰყურებს მერმისს.  
 ღრუბლებს კი ქარი მოავლებს ღილას  
 და ცრემლნარევი სიმღერით მღერის.

2001

\* \* \*

მიდიხარ ამაყი და თაფლად გელვრება  
 სიმღერა ჩიტების,  
 მიდიხარ და მხრებით მიგაქვს  
 სურვილი ბიჭების.  
 გალალღებს ცხოვრება და ეძებ სინათლეს,  
 მოგწყინდა გარშემო უვიცთა თარეში.  
 მე გეტყვი, ღამაზო, სად ნახავ სიმართლეს,  
 სიმართლე ეძიე ღატაკთა თვალებში.  
 და თუკი ოდესმე ბედმა გიმუხთლა  
 და თუ დაეცი მტვერში, ან წუმპეში,  
 ჩუმი ქირქილი და ზიზღი იქნება  
 მდიდართა ნუგეში.  
 და როცა ცხოვრება გამოგდებს ქამანდებს,  
 არ ენდო პრინცებს  
 გადმოსულთ წიგნიდან,  
 არ ენდო  
 შენნაირ თავნება ამაყებს,  
 ღარიბთა ხელები აგწვევენ მინიდან!

2003

\* \* \*

ძალლი კოჭლობით არ კვდება  
 (ხშირ შემთხვევაში ასეა),  
 ქვეყანა ავადმყოფი და  
 კოჭლი ძალებით სავსეა.  
 ძალებს ასეთი ცხოვრება  
 სიცოცხლის უნარს უკარგავს,  
 ზოგი საკუთარ თათს ლოკავს,  
 ზოგი – სხვა ძაღლის უკანაღს.  
 თუმც ერთი ჯიშის არიან,  
 ერთურთს უთვლიან ნაბიჯებს,  
 ზოგი ბულდოგი ქუჩაში  
 ველარ ცნობს უკვე ძმაბიჭებს.  
 ზოგი მაძლარი ამტყნარებს,  
 ზოგი დალოღავს მშიერი,  
 ძაღლმა მიიღო კაცის და  
 კაცმა კი-ძაღლის იერი.  
 ვუყურებ განვრთნილ პუდელებს  
 და ჩემთვის გულში ვიცინი,  
 ბევრმა ორ ფეხზე დაინყო,  
 საკუთარ კუდის ქიცინი.  
 ევროპულ სისხლით ნაქები  
 ჯიში მომრავლდა ათასი.  
 უცხოურს ასჯერ სჯობია  
 კავკასიური ნაგაზი.  
 ერთი შეკითხვა გამიჩნდა  
 (ზოგს ჩემი სიტყვა აბრაზებს),  
 მეძებრები და დოგები  
 რატომ უღრენენ ნაგაზებს?  
 ნაგაზმა რა დააშავა? –  
 ადგილობრივი ჯიშია,  
 უპატრონოა და ხშირად  
 მონატრებია ჩიჩია.  
 მეც უპატრონო ძაღლი ვარ,  
 ამიტომ არვის ვჭირდები,  
 სიმართლეს თეთრი ძვალივით  
 კბილებით ჩავეჭიდები!

1999

დულაბი

შიშველ ლოდებს ედება  
 ხავსი ამა ცხოვრების.  
 გაიჟლინთა შეგნება  
 სენით გაუცხოების.  
 სიცხიანი ნათება,  
 მინას როგორც ანთება,  
 ოქროდ გადაადნება.  
 ლექსი, ვით მისტერია,  
 განწირული იკივლებს.  
 თვალები მისტირიან,  
 შეჯერებულ ბილიკებს.  
 გზას ვერ იგნებს ღამეში  
 მტვერის კორიანტელი,  
 რომ არ იყოს სიბნელე,  
 აზრს დაკარგავს სანთელი.  
 კაცის, როგორც კოცონის,  
 ხდება მინად მიქცევა.  
 თბილი ცეცხლი კარგია,  
 სანამ ხანძრად იქცევა.  
 სხეულში ვერ ეტევა  
 ის სუფთა და საწინო.  
 ჩემში უფლის ნაწილი  
 უნდა გადავარჩინო!  
 სიყვარული სიძულვილს  
 გამოუტანს განაჩენს!  
 ელის ძველი მსოფლიო,  
 ისევ ახალ ღამანჩელს.  
 ერის მკვრივი დულაბი,  
 ნინო, შენი თმებია!  
 საუცხოო მხარეში  
 ჯვარს რომ შერითმებია.

2001

რუსები და ქართველები

თქვენც ბევრჯერ ყოფა გეტირათ,  
 თქვენც გიტირიათ დათოფილთ.  
 თქვენ ღმერთმა გადაგარჩინათ  
 და დააბრალეთ კარტოფილს.  
 ჩვენ წინაპართა ბრალია,  
 ახლა რომ ვუმზერთ მსოფლიოს.  
 ჩვენც ზენამ გადაგვარჩინა  
 და დავაბრალეთ ლობიოს.

1999

გიჟი

გიჟი ვარ, გიჟი!..  
 ჩემს სიგიჟეს  
 ვერაფრით ვერ გამოვასწორებ!  
 გიჟს მეძახიან,  
 როცა ქალებს ხელზე ვაკოცებ  
 (ეს ხომ გარდასულ საუკუნის გადმონაშთია),  
 იმ საუკუნის სასმისი არ დამიცვლია,  
 რა ვქნა, გიჟი ვარ!  
 სხვანაირად არ შემიძლია.  
 ზოგიერთ კაცზე დიდ პატივს ვცემ  
 ღვინით სავსე მოხატულ სურებს.  
 მე გიჟივით მიამიტი ვარ,  
 პატარა ბავშვიც კი გამაცურებს...  
 გიჟი ვარ! გიჟი!..  
 რაც უნდა მითხრათ, არ მენწყინება,  
 ბევრი თქვენგანი სიტყვით მკლავს და,  
 ზოგი კიდევ მათეჟვიანებს.

ო, ღმერთო ჩემო,  
 რა გაუძლებს,  
 ამდენ ჭკვიანებს.

2000

ლექსპრომტი ვანო ცინცაძეს

ძია რომ გეკვია ვან-ცინი,  
 იმიტომ კი არ დაგცინი.  
 ბავშვობიდანვე შეგყრია,  
 ღვინის და არყის ბაცილი.  
 ნასვამს რა ეშმა შეგიჩნდა  
 და სიამაყის მაცილი?  
 შენიდანა და მიწამდე  
 ერთი გოჯია მანძილი.  
 ბინისკენ, ძამა, ნამთვრალევს,  
 გაცილებს დოლის ბრახუნი,  
 არ დააბრალო მაგ თვალებს,  
 სახლის კედლებზე ხახუნი.  
 ექიმიც აღარ მოგხედავს,  
 თუ არ მიეცი მას წილი,  
 ავტომანქანა ხომ არ ხარ,  
 გამოგიცვალონ ნაწილი?  
 ამიტომ თავს გაუფრთხილდი,  
 შემოლექსილო ფიქრებით,  
 თუ ყანწით ღვინოს ვერ იტან,  
 დალიე არყის ჭიქებით.

2009

ბანჰიმდუბა

შეკამათდნენ ცა და ქარი,  
 ანყენინა ქარმა ღრუბლებს.  
 ცა ნაზია, როგორც ქალი,  
 ქარის ყვირილს ყურს არ უგდებს.  
 ცამ, მჯდომარემ ღრუბლის ნავში,  
 ზღვაში ნახა ორეული.  
 ცაა გალახული ბავშვი,  
 თვალზე ცრემლებმორეული.

2000

პანო ცინცაძეს

66-ე წლისთავის აღსანიშნავად

დრო შეიცვალა, ბიზნესი  
 თავისი გზებით მიდის.  
 მწერალთა სახლი იუმორს  
 ვანოსთან ერთად ჰყიდის.  
 ხუმრობა არვის ეგონოს,  
 თანხა სულ ექვსჯერ განულდა,  
 სიცილი ყველას იზიდავს,  
 ვანო არავის არ უნდა.  
 რა ვუყოთ, თუა დაბალი,  
 შავგვრემანი და ჩია.  
 წიგნები ბლომად გამოსცა,  
 მაინც მუდმივად შია.  
 ხუმრობა არ აქვს უკბილო,  
 აკლია ბევრი კიჭი  
 და სიბერემდე შემორჩა,  
 მაინც ხუმრობის ნიჭი.  
 წინ მიაქვს დროშა მამულის  
 და პოეზიის ალამი.  
 უფასო კუბოს სჯობია,  
 დღეს მორთმეული კალამი.  
 სამოცდაექვსის შესრულდა,  
 სამოცდახუთად ასაღებს,  
 გურული რა გურულია,  
 რომ არაფერი მოტეხოს...  
 (ზოგნი ტეხავენ ათასებს)...  
 იმათ მუდმივად ლანძლავენ,  
 ვანოს ქვეყანა აფასებს.

2006



## პატიოსანი მრუში

შენ თავად აღწევ ყველგან სანადელს,  
 სიყვარულს განა ვინმე გაძალებს...  
 მზემ ჩაამთავრა ციკლი თავისი  
 და ახლა მთვარეს უშვერ ბარძაყებს.  
 იმიტომ გჭორავს ეზოს ბებრობა,  
 რომ დრო იმათი უკვე დასრულდა,  
 ქალური შურით შემოგციცინებს  
 გასათხოვარი დასი ასულთა.  
 შენზე უამრავ ამბავს ჰყვებიან,  
 ზოგს ტყუილსა და ბევრსაც სიმართლეს.  
 ალორძინების ეპოქის ნაკვთებს  
 ამქვეყნად ბევრი ქალი ინატრებს.  
 ყველაზე უკეთ გიცნობ, ვინცა ხარ,  
 თუ გახსოვს, ადრე რასაც დაგპირდი?  
 შენ სურათს ისევ წიგნში ვინახავ,  
 რადგანაც სხეულს ფულზე არ ჰყიდი.  
 შენი ოცნება, ვიცი ახდება,  
 შვილებს მიუჩენ ალბათ გადიებს...  
 ამ უსინდისო სულით კახკებმა,  
 ერთი შეცდომაც არ გაპატიეს.  
 მიდიხარ, ცრემლებს მალავ წვიმაში  
 მანდილდამწვარი მანდილოსანი,  
 ხორციტ ერთგული მამრის სურნელის  
 და ბევრზე მაინც პატიოსანი.

2000

## მზერა სახლიდან

ცა ჩასმულია ფანჯრის ჩარჩოში,  
 დაჩეხილ ხეებს ხურავთ ნისლები.  
 ვით მიგდებული ჭა უდაბნოში,  
 მეც სისხლისაგან უცებ ვიცლები.  
 მე დაშლილი ვარ ნაწილაკებად,  
 გაორებული სული მანვალებს.  
 სისხლზე დამგეშეს ნაძირალებმა  
 და სიძულვილი კარგად მასწავლეს.  
 მე მიმატოვეს მტერთან პირისპირ,  
 თავად ეძებენ მყუდრო სავანეს.

მეფისტოფელის ბილნი ღიმილით  
 ჩუმად მითხრიან ისევ სამარეს.  
 განთიადივით ვთრგუნავ სიბნელეს,  
 სიჩუმეს ღმერთი არ მაპატიებს.  
 მე დავიბადე თავისუფალი  
 და ამ ქალაქში დამაპატიმრეს...  
 მწარე დროება ითვლის საათებს,  
 იმედინად გულში ვღულუნებ,  
 რკინა-ბეტონის საპყრობილედან,  
 ცაში აფრენილ მტრედებს ვუყურებ.

2006

### შემოდგომა

ქარმა მშიერი დათვივით  
 პანტიოთ გაავსო ტევრები.  
 ამ შემოდგომას ქალივით  
 დახეთქვაზე აქვს მტევნები.  
 მიკვირს და გამკვირვებია,  
 უკეთეს ამბავს მოვყვები:  
 ატამს რომ ტუჩთან მივიტან,  
 რად უნითლდება ლოყები?  
 წითელ-ყვითელი ფერებით  
 მოფენილია ქუჩები.  
 დოქებს მხურვალე კოცნისთვის  
 მოშვერილი აქვთ ტუჩები.  
 ამ შემოდგომამ მომართვა  
 ყურძენი, კომში (ბია რა),  
 რომ დაუძძიმდა მუცელი  
 დანვა და იმშობიარა.  
 და მერე, სანამ ქარბუქი  
 ხეების ტოტებს დალენდა,  
 დანებდა ზამთრის სიცივეს,  
 ადგა და, უცებ გაბერნდა.

2002

რა კარგები ხართ მაღლიდან!..

რა კარგები ხართ მაღლიდან!..  
 მაღლიდან ყველა მიყვარხართ,  
 სუყველას გეთაყვანებით.  
 მაღლიდან არვის გემჩნევათ,  
 შურით ავსილი თვალები.  
 რა კარგები ხართ მაღლიდან:  
 მოხუცნი, ბავშვნი, დიდები.  
 მაღლიდან ვერვინ გაგარჩევთ,  
 ღარიბნი ხართ თუ მდიდრები.  
 რა კარგები ხართ მაღლიდან! –  
 ანგელოზივით სუფთანი.  
 ცაში ღრუბლებად გაშლილან,  
 თქვენი სული და სუნთქვანი.  
 მაგრამ დამთავრდა სიმაღლით  
 გალაღება და ტკობბანი,  
 ახლა უკულმა ტრიალებს  
 მწარე სანუთროს ბორბალი.  
 მალე მიწაზე ჩამოვალ,  
 ცხოვრებას ვიწყებ თავიდან!  
 ღმერთიც არ გვწირავს იმიტომ,  
 რომ კარგები ვართ მაღლიდან!

2003

### სოლფეჯიო

do, re, mi, fa, sol, la, si...  
 si, la, sol, fa, mi, re, do...  
 ჩემი სულის რომანსი  
 ქარებს უნდა მივანდო.  
 mi, fa, sol, la, si, do, re...  
 fa, mi, re, do, si, la, sol...  
 მეჯავრება სიმდორე,  
 მოძრობა მხიბლავსო.  
 si, la, do, re, mi, fa, sol...  
 re, sol, do, mi, la, fa, si...  
 გამიღიმე, ძვირფასო,  
 მოაბრუნე ანფასი.

2004

გული

შუალამისას  
 შენი სახლიდან გამოსულს გამახსენდა,  
 რომ რალაც დამრჩა...  
 ქუდი არ მქონია  
 და არც წიგნი მჭერია ხელში.  
 გული დამრჩა,  
 თურმე უგულოდ გავედი ბნელში.  
 ამოვბრუნდი,  
 ამოვირბინე ტუჩმომტვერეული  
 კიბეები სადარბაზოსი  
 და შენს სართულზე აღმოვაჩინე,  
 შენს სართულზე, იასამნებთან,  
 გამომპარვია,  
 ურჩი ბავშვივით აჰკვრია კედელს  
 და არ მომყვება.  
 რა არ ვუთხარი:  
 შენი სუფრის მაღლიც ვაფიცე...  
 გამებუტა,  
 ზურგი მიჩვენა.  
 მერე ძალით მოვწყვიტე ადგილს,  
 მე როცა გული  
 დავიგულე ისევ საგულეს,  
 ცხარედ ატირდა  
 და გულის კარებს უბაგუნა  
 მწყრალმა მუშტები.

2000

ბაზია და შვილიშვილი

ბებოს მოჰყავს შვილიშვილი,  
 შვილიშვილი არის ბიჭი  
 და ორივეს პირში უჩანს,  
 ორად ორი თეთრი კიჭი.

2003

მღერს

მე მომენატრა შენი სუნთქვა და  
 გაშიშვლებული თეთრი ლოგინი.  
 რას იზამ, ქალის ხვედრია, ალბათ,  
 გარინდება და დიდი ლოდინი.  
 მე მახსოვს, ადრე ფეხით ვსერავდით  
 ზღვასთან პატარა მწვანე კუნძულებს.  
 ყოველთვის ზღვასთან მგონია თავი,  
 ხელს რომ შევახებ რძისფერ ძუძუებს.  
 თუ განწყენინე რაიმე, უმაღ  
 თვალს მომარიდებ და ისევ, ვიცი,  
 საკუთარ თავში ჩაიკეტები.  
 მე შენს მაგივრად შემომხედავენ,  
 მაგ შენი მკერდის შავი კერტები.  
 წამწამებს ნულარ მოიწყლიანებ,  
 ნამეტანს მაინც ნუ გამიწყრები,  
 მე მგონი, უკვე უნდა იცოდე,  
 მე იქვე ვკვდები, სადაც ვინყები...  
 დასაბამიდან ასე ყოფილა,  
 მიდასტურებენ სიტყვას გენები,  
 მამრის სულში რომ შემომქმედია,  
 მიტომ გძერწავენ კაცის ხელები,  
 ნუ გეგონება, პასუხს არ ვაგებ,  
 თავად ვარ ჩემი სიტყვის თავდები.  
 სასიყვარულო ერთი ლექსი ხარ,  
 რომ იწყები და აღარ მთავრდები!  
 შენ უდიდესი სასწაული ხარ,  
 შეგწევს დაბადო ქვეყნად ღმერთები.  
 კაცის სხეულში ნეკნად მაკლიხარ,  
 ამიტომ გეძებ და არ ვჩერდები!  
 შენამდე ბევრი მე მივატოვე,  
 ბევრიც საკუთარ ნებით გამშორდა.  
 ასე მგონია, მთელი სამყარო,  
 შეიქმნა მხოლოდ შენი საშოდან.  
 ო, ბევრს არ ეყო ძალა და ნიჭი,  
 ფაქიზი გრძნობა რომ მოეძია.  
 უჩემოდ მაინც მარტო ლექსი ხარ  
 და ჩემთან ერთად ხარ პოეზია!

მაშ, დარჩი ჩემთან, რომ გამილექსო  
 გაურითმავი ცხოვრების წლები  
 და მეცხრე ცაზე მგონია თავი,  
 ქალის სხეულთან როცა კი ვწვები.

2003

### საქართველოს

დაბლა დედო ზარი ტირის,  
 მალლა – ანგელოსთა დასი.  
 ხმა მოისმის მთაში სტვირის,  
 ხმა აქვს ლამაზ ტოროლასი.  
 ეს მდინარე ისე ყვირის,  
 როგორც განწირული კაცი  
 (ბზარი შეეპარა ხმაში),  
 ადგება და თავს დაიხჩობს,  
 ცივ და უნაპირო ზღვაში.  
 აქ გედები არ მღერიან,  
 აქ გედების ხორცსაც ჭამენ,  
 ნაადრევად ბერდებიან,  
 ახალგაზრდა იმედები...  
 სულ სხვა თვალით ხედავ სოფელს,  
 როცა ცოტა მობერდები.  
 ნაძვის ტოტთა გროვად ყრია  
 მშიერ ბავშვთა ოცნებები,  
 ცაზე ქარის მონასმებით  
 იხატება ფიგურები.  
 ღმერთის ხელზე კიდიხარ და  
 მაინც სხვისკენ იყურები.  
 არა, არა! ვერ გვიშველის  
 ვერც გუთანი და ვერც გრდემლი,  
 სანამ მიწას არ დანამავს  
 მონანიე კაცთა ცრემლი.

2000

რწმენა

ექოდ გადაგორდება  
 ცაზე ხმები ხანძრების.  
 მინარეთის გოდება  
 და გალობა ტაძრების.  
 შედარება არ არის  
 განთიადის ლამესთან,  
 მოციაგე ვარსკვლავის –  
 გაფითრებულ მთვარესთან...  
 ვიყურები მაღლიდან  
 უსასტიკეს რითმებში,  
 გულის კარის ღრიჭოდან,  
 სულის ლაბირინთებში.  
 თოვლზე ჩრდილი ეცემა  
 ქვისგულიან ძეგლების,  
 ფიფქი ცრემლად ედება  
 ხაზებს თბილი ხელების.  
 აღარ განმეორდება  
 დრო, წამი და წუთები.  
 მიტევება არ ფასობს,  
 ფასობს მხოლოდ კუნთები.  
 ჟამი უსასტიკესი  
 რაკი ასე მიმეტებს,  
 ყელს გამოვჭრი განელილ  
 და უაზრო იმედებს.  
 განახლების სურვილებს  
 მზე სხივებად მირიგებს.  
 ხელის ხაზებს ვუყურებ,  
 როგორც ქვეყნის ბილიკებს.  
 სარკემ თავი მოიკლა,  
 გადაემსხვრა რიკულებს.  
 ვერ გაუძლო სიცრუის  
 მოთვალთვალე ფიგურებს.  
 ქარი ბრძოლას აპირებს,  
 ერკინება ბალახებს.  
 დედამინის ნაპირებს  
 ურტყამს ტალღის მათრახებს.  
 სული, როგორც მანესტრო,  
 ახმიანებს აკორდებს,  
 სიძულვილსაც ხანდახან,  
 სიყვარულზე აბოდებს.

ბრწყინავს ბროლის ჩანჩქერი  
 და ვრცელდება ნისლებად,  
 რეალობის ლოდებზე  
 ნამსხვრევებად იშლება.  
 მალლა შუქი გაკრთება,  
 დაბლა მიწა იელვებს.  
 ქართლის დედის მკერდის ქვეშ  
 სძინავს სიცარიელეს.  
 გადავრჩებით უთუოდ,  
 განქარდება გოდება,  
 რწმენა თუკი გვექნება,  
 მდოგვის მარცვლის ოდენა.

2004

### დამსხვრეული ცა

გარინდებულა მიდამო,  
 სახლებს კი თეთრად აბარდნის,  
 გაყინულია ჰაერი,  
 ხმა ისმის ფიფქის დავარდნის.  
 მტრობა კი ოდებს შიგნიდან  
 მინებზე ლოკავს ნამცვრევებს...  
 და ხმა გასროლილ თოფისა  
 ზეცაზე ტოვებს ნამსხვრევებს.

2005

\* \* \*

ადამიანს შვენის სული,  
 ხორცი და სამოსი.  
 შუალამის მთვარესთან ვერ მოვა,  
 მთვარე სალამოსი.

1999



მომხმარეთ

ამ ცხოვრებას მივყვებოდი,  
თან ვმღეროდი გზადაგზა,  
ნაცნობ გზაზე გვერდით მედგა  
გასაჭირი სხვადასხვა.  
ახლა, როცა შემაჩვიეს  
კვარცხლბეკსა და პირამიდს,  
ახლა, როცა პოეზიით  
ავსილი ვარ პირამდე,  
როცა უკვე ილუზიად  
გადაიქცა იმედი,  
ზუსტ დასკვნამდე  
უცებ რალაც,  
მაინც ველარ მივედი.  
ერთხელ მაინც დავიბენი  
და წამიხდა გუნება...  
გამიკვირდა უფლისაკენ  
უცებ შემობრუნება.  
თუმცა, როცა ამატარეს  
გოლგოთასკენ აღმართი,  
ღმერთის ნაღდად დავიჯერე,  
მაგრამ არა ამათი...  
ზოგს ჭადრაკი ვეთამაშე,  
გავუკეთე შამათი,  
ძირითადად უაზროა,  
პაიკებთან კამათი.  
ლელო ველარ გავიტანე,  
დავიღალე ჭიდილით.  
მუხის ტოტზე ჩამოვჯდები,  
დავისვენებ ჩიტივით.  
იმ გლობუსის თეატრივით  
ცხოვრებაა თამაში.  
შავი ფერი შინაურობს,  
ქართულ ფერთა გამაში.  
ბადრი მთვარე გაიბოტა,  
როგორც ლოთი ქუჩაში,  
პატრუქივით ინვის სევდა  
ჩემი ლამფის შუშაში.  
მომავლისკენ იყურება  
ძველთაძველი კედარი,  
ივერიას ვერ უმველის

მარტოხელა მხედარი.  
 საფლავების ჯვრებს ვერ იტევს,  
 საქართველოს მთა-გორი,  
 სისხლის ლაქად მაჩნევია,  
 ჩემი მოძმის ამბორი.  
 მე არ მინდა დაკიდება  
 მკერდზე ბევრი ორდენის,  
 უცხოელთა მტრების რემას  
 ჩემიანიც მოდენის.  
 აღარაფერს არ მოგვიტანს  
 ფიქრი მდიდრულ სახლებზე.  
 ფუჭად ცვდება ენერგია  
 ჩუქურთმიან სკამებზე.  
 ოცდაათი საუკუნე  
 ბილიკს ბრძოლით მივყვები,  
 ხშირად ხმალზე საშიშია  
 ორლესული სიტყვები.  
 და დღეს ვინაც მომავალი  
 დაიკიდა ფეხებზე,  
 სიტყვა უნდა ბებუთივით  
 გადავუსვა მყესებზე.  
 ეგებ ცოტა დავისვენო,  
 იქნებ აღარ ვინვალო,  
 მაგრამ გენი წინაპართა  
 როგორ გამოვიცვალო?  
 სისხლო, სისხლო, იჩანჩქერე  
 გენეტიკურ კოდებით!..  
 ქართველებო, მომეხმარეთ,  
 დიდგორს დაგელოდებით!..

2002

### მამრი

ჩაღვენთილი ვარ მდედრის სხეულში,  
 როგორც სანთელი ღამის წიაღში...

2003

## დროშები

(ხალხურ მოტივზე)

ძლივ შავაგროვე გროშები,  
უნდა მავხატო დროშები,  
ოჯახი დამრჩა უგროშოდ,  
ჯარს ვერ დავტოვე უდროშოდ.  
უნდა შავლებო ოქროსებრ,  
წმინდა გივარგი, თამარი.  
ვალე მამ, უნდა მავირგო,  
პაპათა ხანჯალ-ქამარი.  
მთაში ყოველთვინ ქარია,  
ბარში კი – ნიაწვანწალა...  
მთის სასმელს ვერ შეედრება  
ი, ქალაქური წყალწყალა.  
ყელყელაობენ დროშები,  
ხატობას თავმოყრილები.  
ქალაქს უქაროდ არიან  
და ხელებჩამოყრილები.  
ქვეყანას ბრძოლა დაიხსნის,  
არც სიტყვა და არც მისანი.  
ხევის დროშებთან რას მავლენ,  
დროშები ქალაქისანი.

## ბოლოთქმა

ჩვენ დროშებ ერთ ფერ გადაჰკრავთ,  
ყველას ერთი გვაქ მიზანი,  
მე ყველა დროშებ მიყვარან,  
ბარისაა თუ მთისანი.

1998

\* \* \*

ჩვენს ვირტუალურ რეალობაში,  
სადაც ღიმილიც არ არის ნალდი,  
რა ბუნებრივად იშლება ვარდი...

2005

„რატომ დამცინი, ლელაო“

(ხალხურ მოტივზე)

რატომ დამცინი, ლელაო,  
 გარს შამომეხვა ყველაო,  
 რა ვქნა, მოლექსე კაცი ვარ,  
 ხან მენაც მინდა შველაო,  
 მიწას რად დაეც დაცინვით,  
 ჩემი ზე აღმაფრენაო?  
 იქნებ არ მაგწონს ბარიდან  
 ამატანილი ენაო?  
 ქალაქს გეგულვის მხდალები,  
 ან ქალჩუნა ყველაო.  
 ბარშიც არიან ვოყები  
 და იქაც უყვართ ნენაო.  
 რა ვუყოთ, ყველას არ სწყალობს,  
 ჩვენი შამქნელი ზენაო.  
 ზოგ ქათამს ისევ ჰგონია,  
 რომ გადაარჩენს მელაო.  
 რაც უნდა დაგვანანევრონ,  
 სისხლით ერთნი ვართ ყველაო,  
 ჩვენ უბედობის გამოა,  
 გულამოსკვნილი მღერაო.  
 რატომ დამცინი, ლელაო,  
 ყიპო დავლიე ბევრაო,  
 ამიტომ გიცქერ ცერაო,  
 შენი ზვიადი მკერდია  
 ეგ ჩემი ბედისწერაო.  
 შიგ ძირში მასაჭრელი მაქ  
 ჩემ დამლუპველი ენაო,  
 რალად დამცინი, ლელაო,  
 განა დღისითაც ბნელაო?  
 შავი თოლების ბრალია,  
 შენკენ რომ მინდა ფრენაო.

2004

ღანსჳენი

დიდი ბედნიერება  
 სიკვდილივით უეცრად,  
 როცა მოგიფრინდება  
 და როდესაც დიდება  
 მოგატარებს პარნასებს,  
 ან როდესაც პარასკევს  
 ქრისტე გაგახსენდება  
 და როდესაც ბერდება  
 მზის, ან მთვარის ანფასი,  
 ეს ცხოვრება გწყურია,  
 ვით შემდეგი ნაფაზი...  
 მერე როცა შეაღებ  
 ტაძრის კარებს ჭრიალით  
 და სულს როცა შეახებ,  
 ფრესკებს გულის ფრიალით,  
 როცა დაინმინდები,  
 მოგეხსნება ლოდები  
 და იქიდან გამოსულს  
 ის ახალი ცოდვები  
 ისევ უკან მიგიყვანს,  
 ან „რუმბივით მიკიტანს“  
 ღვინო რაოცა გამღერებს,  
 როგორც ადრე მღეროდნენ  
 სხვა თაობის ხორხები  
 და როდესაც არ იცი,  
 ბოლოს საით მოხვდები,  
 მერე როცა სიბნელეს  
 შეეჩვევი შუადღის  
 და ნაცნობი სხეული,  
 არც თუ მაინც შუა ხნის,  
 წლებთან ერთად და ნდობად  
 შემოგრჩება მადონად.  
 თან, როდესაც ღმერთივით,  
 სული შენი ზის ცაზე,  
 მაღლა რომ გადიღლები,  
 ჩამოჯექი მიწაზე.

2008

ქუდი

ეს ის ქუდია,  
 ვიგინდარებს რომ ესაღმება.  
 ეს ის ქუდია,  
 პეპლიჭერია,  
 პატრონს თვალზე  
 რომ ეფხატება,  
 ბუზს არ დაისვამს!  
 ეს ის ქუდია,  
 ყოველთვის რომ მაღლა ისვრიან.  
 ეს ის ქუდია,  
 უჩინმაჩინის,  
 წყნარად იღებს ისევ ასაღებს,  
 თავს კი  
 კანონის ქუდად ასაღებს!  
 ეს ის ქუდია,  
 სავსე იზმებით...  
 ადრე რაიც ჰქონდათ ტირანებს...  
 ეს ის ქუდია,  
 ბნელ წარსულს რომ  
 თავზე ახურავს.  
 ეს ის ქუდია,  
 ნამუსზე რომ ველარ შეაგდებ!  
 ეს ის ქუდია,  
 რომელსაც მინდა ფეხით შევდგე  
 და დავაფუროხო!

2000

\* \* \*

რად მეუარები,  
 კარგო? ამიხსენ,  
 თვალნი ამივსენ  
 ცრემლით,  
 არ მისმენ...  
 გემუდარები,  
 გული გამიხსენ  
 და მიხსენ!

2007

გადასაღებ პავილიონში,  
ანუ სიზმარისეული

ფეხი დამიცდა,  
გადავეშვი სიზმრის უფსკრულში.  
ხორცი დამინდა,  
მარიამი მომცრო ფუნდუკში  
ძუძუს აწოვებს კაცობრიობას.  
ქარი კი  
მთაში თიბავს ბალახებს,  
ქარი რომ არა,  
ვინ გათიბავდა?  
ტერფები ეკვრის ქვეყნის ტალახებს.  
ოსტატმა უმალ მოძერწა ჯამი,  
შენი ნებაა, გინდ ბადაგი  
და გინდა – შხამი!  
ღრუბლებთან თეთრი მონასტერია,  
ასფალტის ფერი მოსაწყენია.  
ვერცხლის ცრემლებით ტირის საღამო,  
ისმის ყღარუნი ნაცნობ ენაზე.  
გამოჩნდა სახე ნაჭრის ეკრანზე,  
მის თვალებში  
მიტევება მოთავსებულა,  
ამ სიზმარში დაუკარგავს სადაურობა  
და დგას ღმერთივით,  
მსოფლიოზე შეყვარებული.  
მას არ უგებენ,  
ანდერძს უგებენ,  
სისხლის წვეთები მარცვლებია ბროწეულისა,  
ფეხს ნუ დაადგამ!  
სხეული კივის:  
– ეძიე ფერი!  
ფერებს უწოდე თავის სახელი!  
ამ გადაღებას შეესია ბევრი მნახველი,  
კადრში მოთავსდა მასიური სიცარიელე.  
რიცხვობრიობა,  
ბავშვი ნუთიან ეპიზოდშია.  
ფრთებს არ აჭრიან,  
საფრენ მანძილს უმცირებენ  
დოგმის გალიით,  
თან ახელებენ –  
იფრინე ლალად, ჩიტო, იფრინე!

კვერცხისროლია ქრისტეანებს დასცინიან  
 სექტის მსახურნი,  
 შანთო, გახურდი!..  
 ვილაც ქუჩაში ისევ ქადაგებს,  
 შავ ფონზე  
 თეთრი ტიტრი ლაღადებს:  
 განთავისუფლდი!..  
 გამოფხიზლდი!.. გამოიღვიძე!..  
 და ხელმეორედ აახილე,  
 ქუთუთოს ქვეშ მოქცეული  
 ობიექტივი!..

2006

\* \* \*

ხეთა ფოთლებს შეაშფოთებს,  
 როგორც მგზავრი გვიანი,  
 არსაიდან არსაითში  
 მიმავალი ნიავი.  
 ლამაზ ბჟოლებს შეაჟრჟოლებს  
 ნიავექარის თამაში,  
 ხეები კი იმღერებენ  
 ამ ფოთლების მარმაშით.  
 წამითა ვარ და წამწამი  
 სულ არ არის მძინარე,  
 მე მოძმეთა ტყეში ვხარობ,  
 შეუცნობი მცენარე.  
 და ამ სულის მარმაშშია  
 არსი, ალბათ, პოეტის,  
 არსაიდან არაფრამდე  
 დაიჭიროს მომენტი.

2010



დაბნელება

უილეთი...  
 ღიმილი ასხლეთილი,  
 სიმი გამწყდარი,  
 ბოლს ბოლო არ უჩანს...  
 გოდება წყვეტილი,  
 მძიმე და წერტილი მთვარისა,  
 მაძღარი კაზინო,  
 კორდებალეტი,  
 დამა და ვალეტი:  
 ჯოკერი,  
 როკერი,  
 წასული ომში,  
 საფლავი...  
 უმხედრო მოტოციკლი,  
 შარვალი მოტკეცილი,  
 საცოლე,  
 ფოტო ცრემლებით,  
 გამოსათხოვარი...  
 ქუჩაში – მათხოვარი,  
 ტრაგედია,  
 თემა შემოქმედთათვის.  
 ბრძოლა მუზებით,  
 ილუზია.  
 მტრედი ჯვარზე,  
 სისხლი – ხელებზე,  
 ნახატი – კედელზე  
 ასეთი:  
 კაბა და აფრები,  
 მაგიდა, ვაშლები,  
 თვალეზი მწუხრები,  
 მუხლები ხელუხლები,  
 გაზეთი,  
 სტატია.  
 ცაზე ლაქა შავი,  
 სულებშიც...  
 ქვეყანა ბერდება  
 და ისევ გრძელდება  
 მზის დაბნელება საქართველოში.

2003

ემღვნება ჰოეთ, კოტი ცინაძეს

იქ, სადაც კი იდგა მშვიდი  
 ამინდები უქარებო,  
 ერთი ქოხი აგვიშენე,  
 უჭერო და უკარებო.  
 არც კი იცი, ეგ ლექსია  
 ახლა შენი ეკლესია!  
 ლექსისა და დარდის მეტი  
 არაფერი გაბადია.  
 სულის ფიალას რომ ავსებს,  
 შენი სიტყვის ნაკადია.  
 ზომიერი გრძნობა მოგდევს,  
 სათქმელს გვანვდი  
 ოქროს მისხლად,  
 პოეზიის გოლგოთაზე  
 შენი ოფლიც მოჩანს სისხლად.  
 შენი კვერი, დამერწმუნე,  
 პასექივით უფრო არი,  
 გაზაფხულით მთვრალი დახვალ,  
 პილიგრიმი უპოვარი.  
 რუსთაველმა გიქადაგა  
 მართალ სიტყვის ანი-ბანი...  
 შავბნელ ძალებს ეჭიდება,  
 შენი ორი ამირანი.  
 მაგ ლექსების ზართა გუნდი,  
 ძნელია რომ ცას არ ეზას...  
 ყმანვილივით ეზიარე  
 პოეზიის სახარებას.

2000

კორუმპირებულ ჩინოვნიკს

შარვალ-კოსტუმში ჩატენილი ხორცი  
 დევს კაბინეტის მავზოლეუმში,  
 პრეზიდენტის სურთი კი –  
 საპატიო ყარაულშია.

2003

მწყემსი და სტუმარი

მაპატიე, მაპატიე, მაპატიე,  
 არაფერი მაბაღია,  
 ამ ჩემს ქოხში  
 ერთადერთი ნაბაღია.  
 დიდი პაპის ნაქონია,  
 ამის მეტი ქვეყანაზე  
 არაფერი არ მქონია.  
 მაპატიე, ღარიბი ვარ,  
 ჩემი დღენი ველად დავალ,  
 ქრისტესისხლა ღვინისათვის  
 ერთი თიხის ხელადა ვარ.  
 ამ ღრუბლების მწყემსი ვარ და  
 სალამურის ენადა ვარ,  
 მამ-პაპის ჩვევას მივდევი,  
 არ შევცვალე თიხა მინით,  
 არაფერი გამაჩნია,  
 მდიდარი ვარ სიღარიბით.  
 ქართულ მხარის სიალალეს,  
 გადავყურებ იალაღებს.  
 არ მაშინებს თუკი ვინმე,  
 აჟღარუნებს იარაღებს...  
 – ცეცხლთან დაჯექ, ქალაქელო,  
 მთაში ცუდი ამინდია.  
 ცხრა შვილი მყავს და სუყველა,  
 თაფლის სანთლად ამინთია.  
 ძველ დროიდან გიცნობ, მაგრამ  
 დღეს რატომღაც მეახლები...  
 უსწავლელი კაცი ვარ და  
 წყაროს პეშვით გეახლები.  
 – შეხე, დაჭრილ საქართველოს,  
 მთები როგორ ჩახუტვია,  
 მანდ ერთ-ერთი მთა კი არა,  
 ჩვენ წინაპრის ჩაფხუტია.  
 მიყვარს ხინკლის ოხშივარი,  
 საღერღელას რომ ამიშლის,  
 მაპატიე, ღარიბი ვარ,  
 მდიდრულ სუფრას ვერ გაგიშლი.  
 და როდესაც მოგვწყინდება  
 სიტყვა, ცამდე აყვანილი,  
 ლალი ირმებივით ვლოკოთ,  
 მშობელ მიწის ქვა- მარილი.

2002

მეცნიერის დიაგნოზი

მძიმე სუნთქვისას მოვეუსწარი  
 (ხომ კაი დროზე?),  
 დედამინა მზის სხივებით  
 იშრობს იარებს.  
 და ვგრძნობ, რომ სადღაც, ხოკაიდოზე,  
 საცაა ლავას იმშობიარებს...

2003

\* \* \*

სარკის წინ შევხდი საკუთარ პორტრეტს,  
 სარკემ სიმართლე უმალ მახარა...  
 და ალალ-მართალ ასლის წინაშე,  
 ორიგინალმა თავი დახარა.

2001

\* \* \*

მუმლი ისევ აიშალა,  
 მტერი მომრავლდა,  
 ვაშაა!..  
 მუხა ცოცხალია!

2001

\* \* \*

ყამია სულთა გამათხოვრების,  
 გაუტანლობა პოეტს კიდევ კლავს.  
 ის შუაგულში დგას ამ ცხოვრების  
 და სარკესავით ყოველს ირეკლავს.

2004

ამოთქმულსიტყვასასოებრივი

ტაძრის გალაქტიკაში  
 სანთელი ვარსკვლავია  
 და მაცხოვრის გარშემო  
 პლანეტები ბრუნავენ  
 ხორცი ძველი აღთქმაა  
 სული კიდევ ახალი  
 ვიძირები ბავშვების  
 თვალთა ოკეანეში  
 ღმერთი ხელებგაშლილი  
 შინაგანში მომელის  
 ვეხუტებით ერთმანეთს  
 ძველი შეყვარებულნი  
 ბელურების ორკესტრი  
 უკრავს ღვთიურ ფლეიტას  
 ქარები კი უსმენენ  
 უცაბედი დუმილით  
 გული გადაშლილია  
 თეთრფურცელა ლოტოსი  
 შხამიც ჩანვეთებული  
 მირონწყალად იქცევა  
 დედო ზარებს ჰკიდია  
 ენა მამის კვერთხივით  
 ქვეყანაზე მღერიან  
 სიყვარულის სიმღერას  
 სიხარულის ცრემლები  
 ახალნაწვიმარია  
 მიწას ასდის საკმევლის  
 და სიმწვანის სურნელი  
 სულის ეკლესიაში  
 ღვთიური ნათელია  
 და ადამის გარშემო  
 პლანეტები ბრუნავენ

2000

## ჩანჩქერი

ჯერ მდორედ მოდის წყალი მყინვარე,  
 ჯერ არ სცალია ამ სოფლისათვის,  
 გამბედაობას იკრებს მდინარე  
 და ემზადება ნახტომისათვის.

2007

\* \* \*

რა ვუთხრა მოძმეს, მასაც მშიერსო,  
 განსაცდელიდან რომ გამოვრიყო?  
 მეც ღარიბი ვარ, როგრც იესო,  
 მსურს, ქრისტესავით მდიდარი ვიყო.

2003

## ეპრიკა

ვიპოვე!  
 იქ, სადაც გრიგალებს გაჰქონდათ ზმუილი,  
 ამ აღმოჩენის ცეცხლი მაქვს მოდებული...  
 ლექსი-ყველაზე მართალი ტყუილი,  
 ცხოვრება-სიცრუე, სიმართლედ წოდებული.

2004

## პატრიოტიზმი

შემოუბერა ქარმა ჩემს ლექსებს  
 და ფოთლებივით დაბლა დავცვივდი,  
 აღიასკელი რომ ვყოფილიყავ,  
 საქართველოზე ხომ ვერ გავცვლიდი?!

2011

## ხმა დემონისა

ეს ქვეყანა უღმერთოა,  
თეთრი, მრუმემ დაჯაბნა.  
ყველა შენზე უკეთ როა,  
სამშობლოში დაგრჩა, რა?..  
სიყვარულით არვის, გული  
აღარ უძგერს ჩქარ-ჩქარა.  
მოემზადე! ლექსის მეფევე,  
არ ჩაგთვალონ ლაჩარად.  
მუზებივით ჩაიფრენენ,  
წლები და ბელურები.  
ისევ შენ კვალს მიჰყვებიან,  
სხვების ნაფეხურები.  
უცნობ გზების არეალი,  
შავმა მოაარშია.  
ვინც გიყვარდა და უყვარდი,  
აღესრულა... ცაშია.  
გარშემო რომ ბნელი ბრბოა,  
პულსით გიგრძნო მაჯამა.  
გალაკტიონ! უკვე დროა,  
გამოალე ფანჯარა.

2014

## ხანამისეული

საყურადღებოდ იმ მამების  
ზედა ფენიდან,  
გულს ფანატიზმის სიტყვა ყინავს,  
სულნათელად განა ახურებს...  
ლოთებს და მიჯნურთ  
ჩამოართვეს ფიალები და,  
მეჩეთებზე გუმბათებად გადაახურეს.

2004

ილიას

სიმართლე ხარ,  
 შენ რა დაგადუმებს,  
 მამულს სისხლი დასდის ფერდებიდან.  
 მტრებმა დღეს ისე დაგვადუნეს,  
 ისევ გესროლეთ ბერდანიდან.  
 ანმყოში ჩინოვნიკი ჰყიდის ჩინებს,  
 მგელი მგელის ტყავს არ დახევს,  
 ოქროს აკვნად მთანმინდა მიგიჩინეთ  
 და იგლეჯ მინის არტახებს.

2012

ლექსის მეფის

მისტიკოსო!  
 შენი გულის ჯიბიდან უეცრად  
 პოეზია ამოვარდა  
 და მას მერე  
 ყველგან ქარი ქრის...

2004

ბალაკტიონმა მიმზო სიზმრად

მე რომ დავეცი,  
 ო, იცოდე, ეს რომ ცამ მიყო,  
 მითვალთვალებდა ქვეყანა მტრულად,  
 უნიჭობმა დამადგეს თვალი...  
 თუ პოეტობა გინდა, ძამიკო,  
 გაგიჟდი ბრძნულად  
 და სიფხიზლით იყავი მთვრალი!

2004



## ბალაკტიონს

ცივ ქუჩაში ძეგლთან შევდექე,  
პოეტმა გული მზედ დამინვა.  
მის წყნარ მთვარეს უმზერს ისევ  
შერეკილი დედამინა.

2004

## პაჟას

მთის ქარი ბარში ქალაქელობს...  
ლამის სუყველა გალახოს,  
ღრუბელის ფთილას ცას ახევს.  
სალამო ჩარგალში ბალახობს  
და შვლის ნუკრივით ცახცახებს.

1998

## მონუცი მონადირე

არ ეპუება სიბერის  
და წლების სასტიკ განაჩენს,  
ისევ აკვირვებს მნახველებს,  
ულრან ტყის პირას პაპა ქლექს,  
თოფი კი ტყვიას ახველებს.

1990

## ქიიფი იმერეთში

მთვარემ ფიალის დისკო შეავსო,  
გადაიხარა თანაც დასავლით.  
გაგვინათელა მონწული ფაცხა,  
მერე კი მთვრალი თამადასავით,  
ეიზლაზნა და წევიდა საცხა.

2003

## ხატმწერებს

ძე ღვთისაც სვამდა, ნადიმობდა,  
 თამადა იყო,  
 საიდუმლო სერობაზე შეუდარები.  
 მისგან მოწვდილი ფიალები  
 დაგვრჩენია დასალეველი.  
 ო, ერთხელ მაინც დამიხატეთ,  
 გემუდარებით, გაღიმებული  
 სხივნათელი ნაზარეველი.

2003

\* \* \*

ო, უდიდესი ლოდინის შედეგ,  
 კიდევ ერთი პლანეტა იშვა,  
 სახელად ბავშვი  
 და ნურავინ ნუ შეეცდება,  
 მიწას მიაბას დოგმის არტახით.

2005

## ზანგის გოგონა

მისტიურ ცხადში,  
 ცაზე დაგოვარავს ცხელი გორგოლა  
 და იქიდან ყოველს აღწუსხავს...  
 გუშინდელი მზე სანთელივით  
 უკვე წარსულს მიბჟუტებია,  
 შუადღის ხვატში  
 დგას ღამესავით ზანგის გოგონა  
 და ტანთ აუსხამს,  
 ციურ მნათობთა ბიჟუტერია.

2006

\* \* \*

შენ გაიხადე თეთრი სამოსი,  
 მაგ შავ პენუარს ამშვენებდა  
 მობრილიანტო წვიმა ვარსკვლავთა,  
 მოხვედი ჩუმად და ჩამეხვიე,  
 მე ვიგრძენ თბილი გემო შეხების,  
 წამი უეცარ გარდატეხისა.  
 უმავლვე გავქრი, აღარ ვიყავი,  
 ქარები ჰგავდნენ სუნთქვას კოსმოსის,  
 ისინი მცემდნენ სახეში შოლტებს  
 და რა უფლება მქონდა ნეტავი,  
 რომ სიძულვილზე  
 სიყვარულით არ მეპასუხა  
 (სიყვარულზე სიყვარულით ძალღიჯ პასუხობს!)?  
 მეც გეხებოდი ფოთოლივით,  
 როგორც ფუნჯი დასახატ ტილოს.  
 ერთი ამბორით გამიღვიძე სულიერება,  
 შენ იყავ ფრიად საინტერესო,  
 რადგან იდექი ჩემს წინაშე დედიშობილა...  
 და ჩვენ ერთმანეთს შევეთვისეთ,  
 ვით თესლი მიწას.  
 მე შენში ვიყავ,  
 როგორც ორსულ ქალში ნაყოფი.  
 შორიდან ცეცხლი მიყურებდა  
 თვალთ ციკლოპის,  
 ზღვის ტალღებს ქარის მუშტი ლენავდა.  
 ო, ლამევ, ლამევ!  
 ორივე ერთად შევხვდით განთიადს,  
 მზეჭაბუკ დილას,  
 რომელსაც შენი ხილვა ეწადა.

2004

\* \* \*

მთვარე სანუთროს რუხ ფერებს ვერცხლავს,  
 ზღვების ცრემლებით გადაჭედლებს.  
 წვიმა მირონის შხეფებით რეცხავს  
 სისხლით გაპოხილ გზაჯვარედინებს.

2008

\* \* \*

ავტობუსში ქალი ვნახე,  
 ქალი თაფლისთვალემა.  
 ავტობუსში იდგა, როგორც...  
 როგორც ცისკრის ნათება.  
 თუმცა თვალებს რას ვერჩოდი,  
 ტანი ჰქონდა შველისა,  
 კანი გამჭვირვალე ღრუბლის,  
 თმები გიშრისფერისა.  
 არ აკრთობდა ავტობუსის  
 სიბილწე და ჭორები.  
 იდგა, როგორც პენელოპე,  
 სიყვარულის მორევი.  
 დიდ წამწამებს ხუჭავდა და  
 ხან ახელდა ნელ-ნელა,  
 მის წამწამებს მივამგვანე  
 ფრთაფარფატა პეპელა.  
 თაფლისფერში გამოკრთოდა  
 შუქი მნიფე ყურძნისა,  
 სადღაც ვარდები მიჰქონდა,  
 ყველა წითელ ფურცლისა.  
 უცაბედად შემომხედა,  
 მზერა შემომაგება.  
 ხატი იდგა ავტობუსში,  
 ხატი თაფლისთვალემა.

1998

## აღამიანს

ზღვა ისე ზევით მიიწევს  
 მხრებზე შემდგარი წვეთების  
 აკრობატიკის თანხლებით,  
 მალლა ახტომაც არ უნდა,  
 მეცხრე ცას სწვდება ტალღებით.  
 მთა ღრუბლის ოკეანიდან  
 ისეთი მოჩანს უძირო,  
 ღმერთივით უნდა გადმოდგე,  
 ზემოდან ქვემოთ უმზირო.

2007

## სამეგრელოში

მეგრულ ოდაში მე ვზივარ კენტად,  
 გონებით ვზომავ, ვითომ ბრძენივით:  
 ბედს მინდობილ ქართლის საუფლოს,  
 ვინ იცის, კიდეც  
 რომელი დამშეული გადამთიელი დალევს,  
 ან მოხრავს?  
 ჩემთან ერთად კი მასპინძელივით  
 ცეცხლშენთებული ღომი საუბრობს,  
 თან ოხრავს...

2005

\* \* \*

წვიმის წვეთები თამაშობენ დაჭერობანას,  
 თამაშის წესებს ნეტავ იცავდნენ...  
 ეჯიბრებიან ერთურთს სირბილში,  
 ვინ ვის მიასწრებს დედამინამდე.  
 ან ჩამონველილ ღრუბლებს სწყდებიან  
 სწრაფ გამალებით  
 და ანცობით გადაღლილები,  
 მათდა უნებლივ, ცაზე უვნებლად  
 გუბეების გახელილი სუფთა თვალებით  
 მანძილს ზომავენ,  
 ისევ მალლა დასაბრუნებლად.

2003

## ტარიბანა

ცხელი მზე  
 კახეთს ხაშლამად თუთქავს,  
 ღრუბელიც თითქოს კუდია თართის,  
 რკინის შანთს  
 ძლიერ ნაკადად ურტყამს,  
 წინაპრის სისხლი ჭავლია ნავთის.

2006

პრიმიტივი

ზოგს ალბათ გიჟი ვგონივარ,  
ჩემში რომ სიტყვის ეგო ქრის.  
ტილოდან ფერი გადმომაქვს,  
ალორძინებულ ეპოქის.  
ნუ შეგაშინებს, მკითხველო,  
მართალ სიტყვების ნუდიზმი,  
საბავშვო ბალში მასწავლეს  
ლექსი, წერა და კუბიზმი.  
ვიყავი ძლიერ მოძრავი,  
ვით წვიმის წვეთი წყვეტილი,  
შავ კვადრატს შუა დავუსვი  
იმედის თეთრი წერტილი.  
როცა ფიალას მანვდიან,  
სიტყვას ვერ ვიტან არმინდას,  
ნუხელ სადაფში ვუსხედით,  
სულ რეალისტურ მაგიდას.  
ვსვამდით და თანაც ვდაობდით,  
უნინ ვინ იყვნენ გალები?  
ტუჩებზე კოცნას გვისხამდნენ  
გუდიაშვილის ქალები.  
ვერ მაფრთხობს მანერიზმი და  
უკუნ ქუჩაში კრივი მტრის.  
რა შეედრება ამ ლექსის,  
ან ფიროსმანის პრიმიტივის?

2006

\* \* \*

დე გაიგოს,  
ამა სოფლის ღობე-ყორემ,  
ამ ფარეხში თუა კრავი...  
ჩვენ მოცარტი არ გვყავს თორემ,  
სალიერი? უამრავი...

2000

## ამაღლება

ვერც ავსულმა ვერ დასძლია,  
ამიტომაც,  
ბაალები გააგზავნა ჯანდაბამდი...  
ცად ასულმა დაგვიტოვა  
მზის და მთვარის შარავანდი.

2001

## შური

დითირამბებს მარგებენ  
ლიმილიან მიმზერით,  
ლექსს მითვლიან წერად...  
ნიჭის გამო მაქებენ  
და იმავე მიზეზით,  
მიყურებენ ცერად.

2002

\* \* \*

მარტის თვევ, აფრად  
კვირტებს, თუ გინდა, სულაც ნუ გაშლი,  
აპრილი არ დაიწყებს ალბათ მისნობას.  
მაისის თაფლად  
მთვარე ჩაღვრილა ღამის გუგაში  
და ახამხამებს მარადისობას.

2007

\* \* \*

„რაც მტრობას დაუნგრევია,  
სიყვარულს უშენებია“ ათასფერადა...  
ნინოს ჯვარს ფრთები დაუქნევია  
და ემზადება ასაფრენადა.

2008

\* \* \*

უცებ  
 წიგნის მინდორს მოსწყდა,  
 მიატოვა ბალახი,  
 არ ინდომა  
 ზღაპრად მოცდა,  
 გადმოლახა ტალახი.  
 რძე დედისა მოენატრა,  
 მოვლო ამერ-იმერი...  
 ვაჟას ნუკრმა მოიძია,  
 ფიროსმანის ირემი.

2003

### დღე და ღამე

ვგრძნობ,  
 შხამივით რომ მწარდება  
 სივრცე საყვარელი მიწის,  
 დღე ღიმილით მობრძანდება,  
 ღამემ ჩასაფრება იცის.

2004

### თერგი ღამით

ორ ნაპირს შორის  
 ფხიზლობს მდინარე,  
 კავკასიური ნაგაზი...

2005

\* \* \*

არლარაი მაქ ღმერთთან სათხოვარ,  
 წინ სანთელაი მთის სოფელია,  
 ყოილი ჩვილი არის მაცხოვარ  
 და ყველა დედა ღვთისმშობელია.

2004



## ეშაპის მონოლოგი

რწმენასთან ერთად გამომიგონეს,  
 ვერ მშორდებიან, ლამის მიშვილონ!  
 ადამიანთა ცოდვებს ვჭირდები,  
 რომ თითი ჩემკენ გამოიშვირონ.  
 მე ვარ სიმბოლო მათი სიბილწის,  
 თან კანონიკურ ხუნდებს მადებენ.  
 რქებს გაურბიან სავსე ყანწივით  
 და იმავ რქებზე სანთლებს ანთებენ.  
 რას შემომიჩნდნენ ადამის ძენი,  
 სისხლი ხელებზე სცხიათ ლაქებად.  
 წარმოსახვებში თუკი მოვკვდები,  
 ალბათ მინაზე რწმენაც გაქრება.  
 მცურავის ტყავში დამიდეს ბინა,  
 არ ეყოთ, ხალხმა რაც რომ იომა,  
 თუმცა, იგივე ასპიტის შხამით  
 ხომ იკურნება კაცორიობა?  
 რელიგიაც კი, ვერ ძლებს უჩემოდ?!  
 თავად წამართვეს მადლი ღვთიური,  
 ადამიანის ბრალია მხოლოდ,  
 რომ ვარ ღმერთივით მარადიული!  
 ცხოვრება ბრძოლის ველად აქციეს,  
 გონება მტრობის დოგმას მიება,  
 საკვირველია, რატომ? ან რისთვის  
 აკრძალული მაქვს მონანიება?  
 ჩემი ცრემლები მოჩანს ვერცხლისფრად,  
 ვით მოღალატის ხელში ხურდები.  
 მე მივაფურთხებ ამ ილუზიებს,  
 ცას ანგელოზად დავუბრუნდები!

2002

## ბალატიონს

ბევრმა არ იცის, ზუსტად რა მოხდა,  
 ცივი ფაქტები არ კმარა  
 სიმართლის დასასაბუთებად...  
 ის ცაზე იყო, ციდან გადმოხტა,  
 მშობელ მინაზე დასაბრუნებლად.

2004

სიჩუმე

მემდუმარება და ღამეს ვუსმენ,  
 წყალი ფეხაკრეფით მიმდინარეობს.  
 ცდილობს,  
 ძილი არ დაუფრთხოს  
 ნაპირზე მყოფ ქიამაიებს.  
 ძილიც ფიქრია...  
 იალაღებს  
 ბალახების ბუსუსი ფარავს.  
 ხალები შველის ჟრუანტელია.  
 პლანეტა სუნთქავს ტოქსიკურ ჰაერს  
 და გული ამბობს,  
 რა გვეშველება?  
 ღამეს კომეტა სწყდება ცრემლივით,  
 ცად იმალება იდუმალება.  
 ბუნება აგრესორებს ვერ უმკლავდება,  
 ღმერთი განიცდის  
 საკუთარი შედეგების სიკვდილს.  
 უფალიც კი უძლურია, შეაჩეროს  
 მიწის ნაბიღწვა,  
 ეს მხოლოდ ადამს ხელენიფება!  
 გარესამყარო თუ განადგურდა,  
 აზრს დაკარგავენ რელიგიები.  
 ჩვენ სახლთან ერთად,  
 ღმერთიც უნდა გადავარჩინოთ!  
 მთვარე ლოდევით ადევს ამ შუალამეს,  
 დაკვივლებისთვის ემზადება ალბათ სიჩუმე.

2007

ახალი მთვარე

ცა ქრისტეს თვალთა ფერია  
 (ცას ვკითხავ, თავს ვის ევლები?),  
 ერთობას გვიქადაგებენ,  
 ლიდერი ფარისევლები.  
 სიკეთისთვის რომ ვარსებობთ,  
 როგორ ავუხსნა გარეწრებს?!  
 ამ შუალამის კალთაში  
 დედიშობილა მთვარე წევს.

2005

პაემანი

მითხარ,  
სიყვარულის უცაბედი წამი გწამს?  
დიახ,  
ჰორიზონტზე ეხუტება მხოლოდ ცა მინას.

2003

ბატონ ასლან კორძიას

ჟამისთვის ერთი ხმელი ლუკმა ხარ,  
თუმც, შენს წინ თავებს ხრიან ვერხვები.  
ბეჭებზე როცა ხელებს შეგახებ,  
ვგრძნობ,  
წინაპარის ძვლებს რომ ვეხები!

2004

ექვნივა რუსთაველ პოეტს,  
მის აღმატებულებას ბატონ  
ასლან კორძიას

გარეთ ხორცი ხარ და ძვალზე-ტყავი,  
ხორცი კი სულის არის ქვაბული  
(ჯავრის კაცს შიშით გჭვრეტენ სარდლები...)  
შიგნით ხომ ისე გტკივა მამული,  
როგორც ტაძრების კედლებს სანთლები.

2004

\* \* \*

ვისა აქვს, ნეტავ, ბუნების დარდი?  
გაზრდის მეთოდი არის უხეში,  
ნორჩი ბავშვივით დატუქსეს ვარდი  
და მიაყენეს კედლის კუთხეში.

2004

კონცა

ცხადში გნახე აყვავებულ  
 სურნელოვან ბალთა შორის.  
 ვის ეტრფი-თქო?  
 ისე გკითხე,  
 სხვათა შორის.  
 შემომხედე, ეგ თვალები  
 გაოცებით გადაივსო,  
 ხურდასავით გადმომიგდე  
 ერთი სიტყვა:-არავისო!  
 დრო გავიდა,  
 როგორც იქნა,  
 დამავინწყდა იმ დღის სტრესი,  
 საჩემდამო გაგჩენია  
 შენც უეცრად ინტერესი.  
 რა ვქნა,  
 სილამაზისა და  
 სიყვარულის ვარ მორჩილი,  
 სულით ისე მაღალი ხარ,  
 ტაძარი ჩანს ტანმორჩილი.  
 მიდიოდი და ბედ-იღბალს,  
 მლოცველივით დამორჩილდი.  
 ილღიაში შოთი გქონდა,  
 მთვარესავით ამოჩრილი.  
 მეც გესტუმრე,  
 ჩქარა, თორემ,  
 ამ სიჩუმის ჩქამი ქრება,  
 რა შემასვი ამისთანა?  
 ერთი ჩაფი ჩაფიქრება.  
 შენი ხელი მხარზე მეჯდა,  
 (ნოეს მტრედი).  
 დროზე!.. სანამ გამიფრინდი...  
 სად გეძებო ცათა შორის?  
 ლექსიც ისე მოგიძღვენი,  
 სხვათა შორის...

2000

ტუსალი

ყმანვილის სახე, თითქოს,  
 მიხატულია მინას.  
 პანია გული ითხოვს,  
 სითბომ აჯობოს ყინვას.  
 მაგრამ ზამთარსაც თავის  
 აქვს განსაზღვრული ვადა,  
 მხოლოდ გაზაფხულს ძალუძს,  
 მოქარგოს ცივი ფარდა.  
 ბავშვის მხურვალე ცრემლი  
 რაფაზე ყინულს ადნობს  
 და გულისტკივილს ისევ  
 იესოს დედას ანდობს.  
 — ვცივდები ძლიერ ხშირად,  
 მაქვს ორი მომცრო თათი,  
 ერთი დედიკოს ნაცვლად,  
 მყავს დედობილი ათი.  
 მე რომ პატრონი მყავდეს,  
 არ ვიქნებოდი მარტო.  
 არ მეცმეოდა ტანზე  
 გამოხეული პალტო.  
 სახეს დამბანდა ისე,  
 უფალი ვით ბანს მზეს პირს.  
 მეც მომიტანდა დედა,  
 ტკბილ და უამრავ ზეფირს.  
 აქ აღარ მინდა ყოფნა,  
 ვერსად მივდივარ ჩემით.  
 მანდ წამიყვანე შვილად,  
 ჯვარს ვინერ მტკივან ხელით.  
 დაორთქლილ მინას როცა  
 შემდეგ აუშვა თითი,  
 ქარმა გადმოვლო მაშინ  
 ასჯერ ათასი „ვერსი“,  
 რომ წაეკითხა ბიჭის  
 უპირველესი ლექსი:  
 ჩემი დედია,  
 თეთრი გედია...

2001

\* \* \*

შემოდგომას აცვია  
 ფერი ფერისცვალების,  
 წყალს წყლიანი თვალების  
 გასდევს მლაშე სისველე.  
 ცა, ლურჯი ფრინველივით,  
 ჰორიზონტზე ისვენებს.  
 შემოდგომის ფოთლები  
 მთვარესაც მოუხდება,  
 ოქროსფერი დღეები  
 ყოველ საათს რუხდება.  
 აქ სიყვარულს მაღავენ,  
 მაგრამ არა სიძულვილს.  
 ეს ლექსიც კი პროტესტის,  
 უკვე რაღაც ფორმაა.  
 სიყვარულის რცხვენიათ,  
 სიძულვილი – ნორმაა.  
 რელიგია ნამდვილად  
 პოლიტიკის რანგშია.  
 შავ „ლექსუსში“ მღვდელი ზის,  
 – მრევლო, ნეტავ, არ გშია?  
 შემოდგომას აცვია  
 ფერი ფერისცვალების,  
 ხორცს-სამართლის მანტია,  
 სულს კი-გარდაცვალების...

2008

\* \* \*

სიცრუით სავსე სამყაროს  
 ეს გული ველარ შეჰხარის,  
 თუმც მთვარის,  
 ცაზე ჰკიდია კამეა.  
 დღევანდელ საქართველოში  
 რა კუნაპეტი დღე არის  
 და რა ნათელი ღამეა.

1992

ემიე ვარსკვლავი შენი

გონით დაუთვლელ ბროლებსა და ბრილიანტებში  
 როგორ გავარჩიო,  
 რომელია ბედის ვარსკვლავი?  
 ვინ მიმასწავლის ცის ტატნობზე  
 მის სამკვიდრებელს?  
 იგი-ვარსკვლავიც,  
 ჩემდაგვარად მეძებს მალლიდან  
 აურაცხელ კაცთა მოდგმაში.  
 მეც იმ ვარსკვლავის ბედისწერა ვარ,  
 მალალ მთიდანაც არსად მოჩანს  
 ჩემი ციური ციცინათელა,  
 ისე, უეცრად  
 იგი რომ მართლა აღმოვაჩინო,  
 რა ბედენაა...  
 მე მას მაინც ხომ ვერ მივწვდები?  
 და ამიტომაც  
 მინაზე ვეძებ კაშკაშა მნათობს,  
 რომ ერთად ყოფნით გავინათოთ,  
 ჩვენი შავბნელი ყოფიერება!

2005

\* \* \*

მთელი ცხოვრება  
 ტკბილ სიცრუეში ვიყავ ჩაფლული,  
 ჩემთვის ტყუილი  
 სიმართლე იყო.  
 ერთხელ კი, როცა  
 ბავშვის ანკარა თვალებს წავანყდი,  
 მას ჩემი მზერა ვერ გავუსწორე  
 და სირცხვილისგან  
 ისე ძლიერ დავპატარავდი,  
 პეპელას გაშლილ ფრთების ქვეშ  
 დავემალე კაცობრიობას.

2002

ხალხურ მოტივზე

იაბოს თეთრი კუდივით,  
ჩანჩქერ ჰკიდია მთაზედა.  
მამულს მეცხორის ქუდივით,  
ღრუბლები ადევ თავზედა.  
ტაძარი წამამართულა,  
ფერი აქ თეთრი ორბისა.  
მდინარე ყირას გადადის,  
განა დის, უფრო მორბისა.  
გორდასებრ მიჭრის სივრცეებს,  
სიტყვა ივერთა მოდგმისა.  
ვიგონებ წასულ დიდებას,  
ტანზე ჟრუანტელ მომდისა.

2010

მსგავსება

მე მოვიტაცე შენი სიმშვიდე  
ხმამალალი საუბრის ეტლით  
და გავაქანე ჩემი ლოგიკის  
გრძელ შარაგზაზე,  
სადაც სიტყვები სივრცეებში იკარგებიან...  
ასე მეგონა,  
საუბარში შენც ამყვებოდი.  
თუმცა, ამაოდ!  
დინჯი თვალებით ჩუმად მისმენდი,  
ო, რაოდენ განსხვავდება ორი პოლუსი –  
სად შენ და სად მე...  
(მხოლოდ სხვანაირთ უყვართ ერთურთი)...  
ბოლოს კი,  
როცა გავჩუმდი და დავიმდუმარე,  
მივხვდი უეცრად,  
დუმილით მაინც ვგავართ ერთმანეთს.

2000



ზამთრის ლექსი

ნეკა თითზე მკიდია  
 მთვარე-შაქარყინული,  
 მწვერვალები დიდია,  
 პოეზია მაღალი,  
 ჰორიზონტზე აგდია  
 ზღვიდან გამორიყული,  
 მლაშე დისკო დილისა.  
 ისევ მხიბლავს ამბავი,  
 ერთგულ ავთანდილისა.  
 ფრინველებმა მიმღერეს  
 უნინ მწვანე ჯაზი ტყის,  
 ანი აღარ მალეღვებს,  
 ხალხი ჩემზე რას იტყვის.  
 ისევ გაუკვალავი  
 შამბიან გზით მივდივარ,  
 ამ გზებზე კი ურიცხვი,  
 მწარე შეცდომებია...  
 გზა ღვთისკენ მიპოვია  
 მაინც მე, ცოდვებიანს.  
 ბარიტონთა გამები,  
 ცივ ჩანჩქერის ჩქერშია.  
 ბევრი რამე მე სულელს  
 რა ბრწყინვალედ შემშლია.  
 გულზე წყევლა დამეცა,  
 როგორც ხილი მომპალი.  
 ფარისევლის კვერთხს სჯობნის,  
 მენახირის კომბალი.  
 გამჭვირვალე წყლის მთვარე,  
 სიცივისგან ცახცახებს,  
 ზოგი მკვდარი პლანეტა  
 თავს მზის შვილად ასაღებს.  
 მინა წამით შეჩერდა,  
 ყინვისაგან დამზრალი,  
 გაჭირვება მინახავს,  
 ნემსის ყუნწში გამძვრალი.  
 ამის გამო ჰგონიათ,  
 ვითომ აღარ ვარ დენდი?  
 მერე რა რომ არა ჩანს,  
 ჩემი შარავანდედი?  
 მუნჯსაც უნდა დღეს ლოცვით

უფალს ხმა გააგონოს...  
 უსაზღვროა, უაზრო  
 ბებერ ლოდის ლოდინი,  
 ვინმემ გადააგოროს.  
 ბევრი ხავსიც მძიმე ქვას  
 ალბათ ამის გამო აქვს.  
 მე იმ იმედს ვაძაგებ,  
 ქმედება რომ არ მოაქვს!  
 ამერია ცხოვრების  
 მასტებად დანყობილი  
 სანატრელი კარტები.  
 საყრდენ კედელს აუსხამს  
 ცოდვილ ხელით შექმნილი  
 უნმინდესი ხატები.  
 ვიცი,  
 ცივ ზამთარივით  
 ბოლოს გავინირები,  
 თუმც უამრავ სხვებივით,  
 ფსკერზე არ ვიძირები.  
 თეთრზე ვაბობ თეთრია:  
 შავი კიდევ-სულ მუქი.  
 მძიმე ასატანი ვარ,  
 სინდისივით მსუბუქი.  
 მცირე ყავის ჭიქაში  
 ჩატეული ცხოვრება  
 ბოლოს გულს გადამიშლის  
 და სათქმელის ამოთქმას  
 ველარავინ დამიშლის.  
 ავისრულებ სანადელს:  
 გავაჭენებ უბელოს,  
 უნმინდურ ცხენს წმინდანის,  
 უფრო სწორად, იმ თეთრონს...  
 რომ ცივ სულში ამ ლექსმა,  
 გაზაფხულად იფეთქოს!

2001

ღვთისადმი წარმოთქმული,  
გარადიული სათხოვარი

დაძახილზე  
მთვარისაკენ მივიხედე,  
მის ნათებას სასმელივით  
ისევ დავეხარბები.  
შენ ღარიბებს მიმიხედე,  
მე ლექსებით,  
მდიდრებს დავეხმარები.

1999

\* \* \*

ქალბატონო ცისმარი,  
ეს ქვეყანა-სიზმარი  
დღესდღეობით არის ალბათ ცუდი.  
ამ ცხოვრების გაიარეთ პირნათლად,  
წრენირი და მრუდი...  
და ამ გმირობისათვის,  
მე, დამების ვალეტმა,  
ჯენტლმენურად მოგიხადეთ ქუდი.

2000

\* \* \*

მომცრო ჯიხურში სქელი ლინზებით,  
ხანაც ლუპის დახმარებითაც,  
თითქმის ყოველდღე,  
გამყიდველი ხორცმძიძე ბიჭი  
ახალ ალექმას ჩასჩერებია.  
ის მას კითხულობს.  
ჟურნალ-გაზეთთა დასტებიდან კი  
ბელზებელივით იჭვრიტება სექსეგზემპლარი,  
ანუ „ძინ-ძინი.“

1999

პატიმარი

დაჩხვლეტილია სუფთა ჰაერი  
 ეკლიანი მავთულის ხლართით,  
 სივრცეებს ღამის კივილი კანრავს...  
 სატუსალოში ჩაკეტილ სხეულს,  
 უსამართლო სისტემა ბანრავს  
 პატივცემული არამზადები აქაც დადიან,  
 ველარაფრის გამოსწორება რა განცდადია...  
 ღვთისმშობლის მიწას მართავს თრობა,  
 სიცრუე, შური,  
 სხეულებრივი-მხოლოდ ეროსი.  
 ბედნიერებას ვეძებ გიჟივით,  
 პატიმარი თავისუფალ საქართველოსი.

2003

\* \* \*

ზურგს ნუ შემაქცევ, თუ მოგაგენი,  
 არ მამოძრავებს ეჭვი, ან შური.  
 მომნატრებია სველი ბაგენი,  
 როგორც ღვინოში დამბალი პური.  
 როგორ გაუგებ პოეტთ მაღალთა,  
 თუ მე, მდაბალი არ აგტკივდები?  
 შენ შორეული გზებით ნახვალ და,  
 რთული მარტივით გამარტივდები.  
 და სანამ გზები შემოდგომისა  
 მოგიმთავრებენ ტერფთა ამბორებს,  
 დაგალევინებ მირონს ტრფობისას,  
 როგორც ასმევდნენ ღვინოს ამფორებს.  
 ჯერ სიყვარულის ქარი აქ არი,  
 ამ ქარით ვებრძვი უჯიშო ხლისტებს,  
 სულში ჩასახულ ლექსს ისე ელი,  
 ვით მარიაში ელოდა ქრისტეს.  
 ცას ვერ შევერთვი, არ ვარ თაგორი,  
 და არც ვან-გოგი, მოვიჭრა ყური,  
 უნდა შევირგო შენი ამბორი,  
 როგორც ღვინოში დამბალი პური.

2002

ფიროსმანის აბონია

ძველმანები მივიფარე  
 გაციებულ ფერდებზე,  
 ჩემი სული ფრესკასავით  
 გადავხატე კედლებზე.  
 კაცი ვიყავ უბატონო,  
 კაცი ფერთა მგოსანი.  
 ეხლა ვკვდები უპატრონო,  
 მაგრამ პატიოსანი.  
 მივდივარ და არვის ვალი  
 ზურგზე მე არ მედება,  
 იმ ფრნგ ქალზე დამრჩა თვალი,  
 ვიცი, იქაც შემხვდება...  
 გავშლი შვიდფერ მუზას იქაც,  
 ფუნჯით ტილოს მოვქარგავ,  
 იქაც დავლევ მე ერთ ჭიქას  
 და სამოთხეს მოვხატავ.  
 ცრემლებს ღვრიან, გაგონილა?!  
 ჟირაფი და ჩემი შველი.  
 ბედისწერა რა ყოფილა,  
 ღვთისმშობელო, ვერ მიშველი!  
 ვერ გავლენე ჩემი კალო,  
 რთველი უცბად მიიღია,  
 ნახატებში დარჩა მხოლოდ,  
 უკვდავების იდიღია.  
 ღმერთო, ვალიც გაგისტუმრე,  
 სანთელივით ჩავნავლდი...  
 სააღდგომო კრავი ვიყავ,  
 აღდგომა დღეს ჩაგბარდი.

2001

\* \* \*

ვიცი, მე ვერ მიშველის  
 ეუთო, ან გაერო,  
 ისევ შენ გადამარჩენ,  
 ჩემო სოფლის ჰაერო!

1998

მორწმუნეთი

იქ, სადაც ნაზარეთი და იერიქონია,  
 ცას თურმე ლამაზი იერი ჰქონია...  
 თუმცა, ნუ გგონიათ,  
 ვინმეზე ნაკლები ვართ,  
 მალე მივალთ დიდებით,  
 იქ, სადაც ცათა მომენტია  
 (ეს ლექსიც საგზალი და ხმიადია)...  
 ივერია ლოცვაზე ხომ მეტია  
 და სიყვარულზე დიადია!

2000

ეს მეჩვიდმეტე გაზაფხულია

ეს მეჩვიდმეტე გაზაფხულია,  
 თუ ველზე თეთრი ცხენის ჭენება?  
 ლამაზ ხალიჩად მოქარგულია,  
 თუ მაისით მთვრალს მე მეჩვენება  
 მინდვრები ფერად ძაფით ნაქარგი?  
 ეს მეჩვიდმეტე გაზაფხულია,  
 თუ ვარსკვლავების ცვენა მალლიდან?  
 ეს მეჩვიდმეტე გაზაფხულია,  
 თუ დაბადება ისევ თავიდან?  
 შენი მზერაა ასე რომ მთუთქავს,  
 თუ გაზაფხულზე სანთლად ვინთებით?  
 შეხედე, მაისი სუნთქავს,  
 წითელფოთოლა ვარდის ფილტვებით.  
 მთებს ჩამოადნათ თავზე ჭალარა,  
 ჩიტმა იმღერა „ბიჭო გოგია“...  
 მან მოიტანა სიცოცხლის სიო  
 და ღვთაებრივი ფერთა ორგია.  
 რომ გაარჩიო, ო, რა რთულია,  
 მე გამაგიჟებს მისი მშვენება.  
 ეს მეჩვიდმეტე გაზაფხულია,  
 თუ ველზე თეთრი ცხენის ჭენება?!

1998

ქუჩის იუმორი

დღეს ევროპული მოტივი  
 მორთმეულია ტორტივით,  
 ჩამორჩენილთა მოდელი? —  
 ქვეყანა გახდეს ბორდელი.  
 ძლიერ ქვეყნების წესები?!  
 გადაგვავიწყონ ფესვები.  
 ღრუბელი დროშაა დახეული,  
 მამული ხეა დარხეული...  
 აქ რაც არქაულია,  
 ქართულია და აქაურია!  
 მარადიულად უნიჭოთ,  
 როდემდე უნდა ვუკრიჭოთ?  
 საქართველო ვის ხელშია?!  
 საქართველოს ისე შია...  
 მე თუ მკითხავთ, კაი ფია,  
 ბავშვისთვისაც კაიფია.  
 დაიცალა მუზად რატი,  
 ხურავს დაფნის მუზარადი.  
 სულს თურქული მოსდებია,  
 ქართველები ბოზდებიან.  
 ამერიკული ტრანში,  
 კუჭის გავლით გავიდა ტრაკში.  
 სხივმა გაბურღა კარებში ღრიჭო,  
 თუ არა გჯერა, არ დაიღრიჯო...  
 ვინაც ფიქრობს,  
 რომ აფხაზეთს დაგვიბრუნებს ანაკლია,  
 ან მრჩევლები არ უვარგა,  
 ან აკლია...  
 მალე გათხოვდი, ლუჩია,  
 მამამ შვილიკოს ურჩია,  
 გოგონამ არ დაახანა  
 და გააგორა ბალანა.  
 ცხოვრება პაჩი-პუჩია,  
 ზოგგან ომი და პუტჩია.  
 ლიდერია აპათიაში,  
 გადავდივარ სხვა პარტიაში.  
 ჩვენისთანა არიფებს,  
 უმატებენ ტარიფებს.  
 რა უნდა მოხდეს ისეთი,  
 ავითვალწუნო ის ერთი...

ვიცი,  
 რაც უნდა ელიტას,  
 ღარიბულ ფენას ვერ იტანს.  
 საქართველო ყველას ფეხზე ჰკიდია,  
 ის უბრალოდ, სატრანზიტო ხიდია.  
 სამშობლო მუზეუმი,  
 ჯერ არ შეჭამოთ, უმია...  
 რა ხვითოა მეტალისტი?  
 გუშინ ვბჭობდით მე და ლისტი.  
 იკითხე ეპისტოლენი,  
 რად გინდა ეგ პისტოლეტი?  
 ამ გომბეშოთა ყაყანში,  
 ყელამდე ვზივართ ნაგავში.  
 ეს გოგონა მერწყულია?  
 მისი კოცნა მეც მწყურია.  
 საქმეს,  
 ვინც არ უდგება გულითა,  
 მოთრეულია ყურითა.  
 რა ხდება განა ვერ ხვდები?  
 ლობეებზე და ბოძებზე,  
 პოლიტიკოსებს შეხვდები.  
 ისევ ჯუიტიად არ მჯერა,  
 ცრუპენტელათა ოცნების,  
 ნეტავ რა უნდა ვინამო,  
 მკვდრების არჩეულ ცოცხლების.  
 რა კარგია მონარქია,  
 როცა მეფის მონა გქვია.  
 სიმართლე როგორ არა ვთქვათ,  
 როდემდე გვედოს ხუნდები?  
 ფუნთუშის ქურდებს იჭერენ,  
 მილიონების ქურდები.  
 იმიტომ ნავალ სხვა მხარეს,  
 დრომ ჩიბუხივით მაბოლოს,  
 ვერაფრით შევეგუები,  
 დემოკრეტიულ სამშობლოს.  
 გარკვეულ ციკლივით მოგვდის,  
 ჩვენ შეცდომაზე შეცდომა.  
 დღეს ბევრმა ჩაამულამა,  
 უვაზელინოდ შეძრომა.  
 კაცი სირცხვილით ვინ ვები,  
 რომ დაგვანერეს მინები.  
 ძნელია შეჰკრა კამარა,



ბეჩავი ხალხის ამარა.  
 ისე ვიქცევით უტვინოდ,  
 ჩვენი მამული, პუტინო,  
 შენ უნდა გაგაპუტინოთ.  
 როგორც მძორს ჭია-ლუა,  
 მოგვედო იეჰოა...  
 გავიყვანეთ ნავთის მილი,  
 გადავლახეთ ბევრი მილი...  
 ბერლინიდან გვილოცავენ,  
 გამოგზავნეს ფაქსიმილე.  
 თუ იციან ნეტავ ზევით,  
 რომ ამ მილებს გადავყვეთ?!

თავად სულის ფუნჯია,  
 ჯორჯონე და ვაზარი.  
 ამათ ხელში ფუჭია,  
 ამ თემაზე „ბაზარი.“

1998

\* \* \*

თავი რაც მახსოვს,  
 ვალებსა და ბოდიშებს ვიხდი,  
 გაჭირდა ცხოვრება ერთობ.  
 მომაკვდავი მე ისევ ვიტყვი:  
 – ბოდიში, ღმერთო!

1998

\* \* \*

ამბობენ, ქართულ მიწაში  
 არის მადანი, გაზი და ნავთი.  
 მდიდარიაო მხარე ივერთა,  
 ყამირს როდესაც ჩაჩარეს შანთი,  
 იქიდან სისხლმა იფეთქა.

1998

\* \* \*

ზღვა მლაშეა ცრემლივით,  
 ზღვა პლანეტის ცრემლია.  
 მეცოდება სუყველა,  
 ვისაც არ ყვარებია.  
 ვნება სიყვარულისა  
 ვისაც არ განუცდია,  
 ვისაც გულისსწორისთვის,  
 ნვიმაში არ უცდია.  
 ვისაც ქალის ღიმილზე  
 ცუდი სიტყვა უთქვია...  
 ვისაც არ გააჩნია,  
 სიყვარულის ფუნქცია.  
 ეს ცხოვრება არ არის  
 ანარეკლი მონეტის.  
 მეც ამ ქვეყნად თქვენსავით,  
 სიყვარულით მოვედი.  
 სიყვარული უბინო  
 და ლურჯი ფრინველია,  
 რიგითობას ვერ იტანს,  
 ყოველთვის პირველია.

1998

\* \* \*

კიდევ ვსვამ, კიდევ ვენევი,  
 ცხოვრების ჭაპანს ვენევი,  
 სამომში გაჭირვებულებს  
 ქვემოდან ზევით ვენევი.  
 სიამის ფისუნიებს კი  
 სარეცელისკენ ვენევი.  
 წმინდანებსა და სპორტსმენებს,  
 ვიცი, რომ ვერ დავეწევი,  
 აქედან გამომდინარე,  
 კიდევ ვსვამ, კიდევ ვენევი!

2003

აილე რომი!

აილე რომი!

შენ, ივერთა ჩამონასხლეტო...

აილე დროზე!

სანამ იგი გაგვატიალებს...

უნინ ხომ

წმინდა ქალაქს შედიოდი

გაშლილ დროშებით

და დრაგუნებსაც შურდათ, ვიცი,

შენი მერნების?!

სხვა კაბადონი შეედრება,

ნეტავ, ცისა ფერს?

რომაულ ტორსებს მირჩევნია

ტანი ტატანი...

აილე რომი!

აჩხლართული ცათამბჯენებით,

ბაბილონის ძველ გოდოლს რომ დამსგავსებია.

(ცათამბჯენები სივრცეს ზღუდავენ),

აილე ერთი ამღერებით,

მ რ ა ვ ა ლ უ ა მ ი ე რ!..

და ამოდრავე, ამოდრავე სული სიმებზე!

სჯობს ცერა თითზე

ისევ გეჯდეს ჟღალი მიმინო,

ვიდრე

ბაჯალლოს გალიაში იჯდე არწივად!

აილე რომი!

აუღებელი ქვეყნად მხოლოდ სიყვარულია!

სამეთვალყუროდ

შენ გეყოფა შოთას სიმაღლეს...

ნუ შეგაშინებს

მოგონილი დოგმის სიმძიმე,

დიდ წმინდანებსაც

ხომ ცოდვილთა ლოცვა სწყურიათ?

აილე რომი!

ზეზვა ხარ, თუ მზია მზიანი...

ძველი ევროპა

ფესვსებს ეძებს თავის ყოფილ პროვინციაში,

ჰე, გათამამდი!

ალიჭურვე სიბრძნის ჯავშანით

და ამირანის ცეცხლზე დანვი

უდიდესი ცოდვა მიწაზე

სიახლის შიში!  
 შენი კულტურა შემოიჭდე  
 და ტანთ აისხი,  
 აილე რომი!  
 უსწრაფესად გადადე გვერდზე  
 და ჩვენებური \*იყი დამისხი...

2000

### პოეტ მარინე ცხვედიაშვილს

ვინ დაგიამებს ამდენ ტკივილებს  
 წიგნის ჩარჩოში რომ ვერ ეტევა?  
 ყოფიერებაც წამოიკივლებს,  
 არ ემეტები მიწის ბელტებად.  
 გადაგვიშალე წიგნი გულივით,  
 სულის შესძელი აფრად განფენა.  
 ემაგ კალთაში მთვლემარ გაზფხულს,  
 ამ ცივ ზამთარში უნდა აფრენა.  
 მახსოვს, თავნება, დამწყებ პოეტებს,  
 შემოქმედების სიმს რომ უქებდი,  
 ჯვარით მაღალი ცისკენ მიიწევ,  
 მძიმე ლექსების სიმსუბუქეთი.  
 სად გაპარულან ნეტავ ფრესკები?  
 მწვანე ბალახიც ცისფრად ბიბინებს.  
 სასიყვარულო შენმა ლექსებმა,  
 მგონი, ფრესკებიც გადაიბირეს.  
 წითელ მზედ წიგნის აჩახჩახება,  
 ჭილყვავთა ჭახჭახს არ ერიტმება.  
 ბევრი რამ დაგრჩა მაინც უთქმელი,  
 ყველაფერი ხომ დღეს არ ითქმება!  
 შენ, როგორც დედა, სულიერ შვილებს  
 ჩვენ სამერმისო საგზალს გვიმზადებ  
 და კარგად უწყი, რომ ერთადერთი  
 ხელის განვდენა დარჩა მიზნამდე.  
 შენ ხარ ჰაერი ჩვენი ფილტვების,  
 მიწას დაჰყურებ მხოლოდ მაღლიდან.  
 მაგ აჯანყებულ გულს გაუფრთხილდი,  
 არ გადაგიხტეს სულის სარკმლიდან.

2002

\*იყი – (სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, არაყს ნიშნავს)

მსპანეთს პლუს მიქსიკა

ბრუნავს ქარის ნისქვილი,  
როგორც ბედის ბორბალი.  
გალაკტიკას გასჩრია  
დედამინის გორგალი.  
მიტოვებულ ხის სახლებს  
ჭინჭრებით და ეკლებით  
ლობეებად აჰკვრია,  
როსინანტის ნეკნები.  
მატარებლიდან მოჩანს  
ნაბიჯები ჩქარ-ჩქარი,  
გაბზარულ მზედ აგდია  
ბრძენ იდაღგოს ჩაჩქანი.  
ნახატებში ცოცხლდება  
დუღსინეას ტორსი და  
ვაჟკაცური ტორსიდა.  
არ მიზიდავს სხვა მხარე,  
ტუნისი, თუ მაროკო.  
ცაში ლოცვად ასულა,  
მარგალიტი ბაროკო.

**P.S.**

მოსალამოვდა,  
დიდმა მნათობმა თავი დახარა,  
გამოჩნდა თეთრი გვადალახარა.

2002

სუფრასთან

მორჩა და დამთავრდა თამაში...  
ნაღდია ღვინო და  
კარგია საჭმელი.  
ახლა პირდაპირ  
უნდა ვთქვა სათქმელი:  
ლექსებიც კარგია,  
ცაში რომ მიჰყავხარ,  
დაეშვი მიწაზე,  
მიყვარხარ!

2002

ღიმიტრი (ღიკი) რინისთაველს

შენც ეჭვის თვალით უყურებ, მგონი,  
 კაცის ნეკნიდან ქალი რომ შობეს.  
 ღმერთად გიცვნია ქართული გონი  
 და ამისათვის ადიდებ მშობელს.  
 გული აქციე ლექსის ქარაფად,  
 ძველ ქოხში ცხოვრობ, განა რანჩოში.  
 ხაიამივით იქეც შარაფად  
 და ვერ ეტევი დოგმის ჩარჩოში.  
 სიმართლის გიდგას თვალში ნათელი  
 და ღვინით ათრობ ამოებას.  
 მაცხოვარია შენთვის ქართველი,  
 ოჯახი-შენი სარწმუნოება.  
 სამცდახუთჯერ უნდა დავლოცო  
 მთასავით მხრები, ზეცის ტოლები,  
 ტორები მზეებრ წინ გაშლილები,  
 ლექსები შენი ეპისტოლენი  
 და სახარება შვილიშვილები.  
 შენ წამიერი გზიბლავს მომენტი,  
 შუშა არა გაქვს თვალზე ფერადი.  
 გულს ნუ გაიტეხ, რომ ხარ პოეტი  
 და არა ქვეყნის დიდი ბელადი.  
 შენს გულს ხელთაა მაინც მსოფლიო,  
 ლექსი არწივად ბუდობს შენთანა.  
 შემომქმედი ხარ და შეგიძლია,  
 ამ ჯოჯოხეთში სხივის შეტანა.

2000

\* \* \*

ცხოვრება გამოცანაა,  
 მე მის ამოხსნას ვუნდები,  
 ყველა ცალ-ცალკე კარგი ვართ,  
 სუყველა ერთად-ცუდები!

1998

ეძღვნება რუსთაველ ჩოხოსნებს

ბოღმის ლაგამი გაკვნიტეს კბილით,  
 როგორც ქმედება სამაგალითო.  
 რუსთაველაქში ერთ ლამაზ დილით  
 მზე და ჩოხები ერთად აინთო.  
 მიწას შეზრდიან ქართული გენით,  
 წინაპრებივით წამომართულან,  
 მისტიურ მხატვრის უხილავ ხელით  
 რეალობაში გადმოხატულან.  
 გულის გამოა, ჩემო ბატონო,  
 რომ ხართ უტეხნი, ასე კარგები,  
 მამულს კი, დროა ამ უპატრონოს,  
 ტანთ ეხამუშოს ანი ფრაკები.  
 გაიგოს ყველა ეზომ და ჩიხმა,  
 ტკივილი ძველი ქვედა უბნების.  
 ფოტოგრაფიულ სურათის მიღმა  
 ჭიხვინი ისმის ბედაურების.

2004

\* \* \*

მოგონების სურნელს მყისვე  
 იტევს ჩემი ქვეყნის მხარე.  
 შენ თავს გამახსენებს ისევ,  
 ზღვაში განბანილი მთვარე.  
 მზის საყურე შევედრებით  
 გრილი თმების ღამეს ნატრობს.  
 მყინვარები თეთრ კერტებით  
 ეხებიან მაღალ ტატნობს.  
 ალბათ უნებლიედ ვცოდავ,  
 ხორცი სულთან როცა წაწლობს.  
 მაგ თვალების სიღრმით ვზომავ  
 წარსულს, მომავალს და აწმყოს.  
 სიძულვილი ხელს ვერ უშლის,  
 ვისაც სიყვარულის სწამსო.  
 შენმა ერთმა ცრემლმა გულში  
 ოკეანე გადაავსო.

2006

\* \* \*

ყველა მიყვარხართ ძალიან,  
 არ ვარ ცუდი ზნის მომტანი,  
 კარგი მწერლები? არიან,  
 პატიოსნები-ცოტანი.

1999

\* \* \*

დიდი შადრევნის ატრიბუტი –  
 მძიმე, ქვისფრთება ანგელოზი  
 მხარზე შემომჯდარ პეპელასაც  
 ტვირთად აღიქვამს.

2001

### ბედნიერება

ჩიტმა არ უწყის,  
 რამდენ ხანს იცოცხლებს,  
 ეს არც მე ვიცი!  
 სამაგიეროდ,  
 მიჯაჭვული ვარ წარსულს,  
 თითქმის ყოველი წელი  
 მახსოვს გავლილი.  
 მომღერალ ფრთოსანს  
 ჩავლილი დრო ტვირთად არ აწევს  
 და ამითაა ჩემზე ბედნიერი.

2003

### აღამს

სანთელი ჯერ საკუთარ თავს ანათებს  
 და მერე, ვისაც რა უნდა...

ამიკელაპტრდი!

2000



ქარის სიმკაცრე

კბილი კბილის წილ თუა,  
 ბილიკ – ბილიკ მიყყავარ  
 ინერციას ცხოვრების.  
 ჩემშიც მზე არ ამოდის,  
 ღამის გამოსწორების  
 და სურნელიც ამოდ სდის  
 მინას მრავალფენოვანს.  
 ცისარტყელას მივირთმევ,  
 სხივთა მსუყე ფეროვანს.  
 ლექსებს, სულში ამოზრდილს,  
 ისევ ვესათუთები.  
 მთვარისაკენ კუნაპეტს  
 გაუწვდია თათები,  
 მედილება დილის მზე,  
 ღამის მიმთენებელი.  
 მონანიე ბევრია,  
 არ ჩანს მიმტევებელი.  
 უსინათლო ბავშვივით  
 ამ დღის სივრცეს ვინ დალევს?  
 მირონი არ გადმოსდით,  
 ფულზე ნახატ წმინდანებს.  
 ძნელია, შეეგუო  
 სიკვდილს სიცოცხლეშივე  
 (გული როგორ თრთის ბოლოს...)...  
 ხელის ქუჩყზე ასახულ  
 მოხუც დედის სიმბოლოს.  
 ო, რა კარგი იქნება,  
 როცა ვერ მოგისყიდის  
 ბროლი, თუ სარდიონი.  
 ჩვენში გულის მაგიერ  
 ძგერდეს გალაკტიონი.  
 ახლა ჩემთა ტკივილთა  
 მოძმე მოწმედ გადიქცა,  
 გულის კარებს ცა მიღებს,  
 ქარის მოტანილი ვარ  
 და იმავე სიმკაცრით,  
 ისევ ქარი წამიღებს!

2003

\* \* \*

მე რა გითხრა,  
კაბინეტის ოთხ კედელში  
მყარად გამოკეტილო?  
გაზაფხულდა,  
გარეთ გამო!  
კარში გამო, კრეტინო.

2003

\* \* \*

ოფელიობას არა გთხოვ,  
სულშიც არაფერს გიჩითავ,  
არც მე ვარ პრინცი ჰამლეტი.  
კოზირის დამებს ვიზიდავ,  
გულის დაბალი ვალეტი.

2003

### ოცნება

ილია ისე განმრავლდა  
ქართველთა გულში,  
ჩასაფრებულ ბერბიჭაშვილს  
ვერ გადაუნყვეტია,  
მიზანში ვინ ამოიღოს!

2003

### შესშორება

ხელოვნება ბაჯალლოა,  
უმაღლესი სინჯია...  
ჭანტურიას სანიშნედ  
დავატანე ინჯია.  
პოეზიას ვერ გაიგებ,  
თუკი გულში ხინჯია.

2003

ადამიანის სისულელეები, უფალს რომ  
გადავაპრალოთ, დაახლოებით,  
ასეთ სახეს მიიღებს:

ღმერთმა თავისი ძლიერი ხელი  
არალის ზღვაში ჩააცურა,  
მგრძნობიარე თითებით  
შუაგული მონახა და  
საცობი ამოაძრო...

2003

### გარდამავალი სავარძელი

დროშამ-ფერები  
და პროდუქტმა გემო იცვალა...  
რა შეიცვალა?!  
ჩოხაზე მეტად ზოგს უყვარს ფრაკი.  
ბოლშევიკების სავარძელმა გამოიცვალა,  
პატრიოტების ათასი ტრაკი.

2003

\* \* \*

წვიმას გზებზე ქარი შლის,  
ზღვებიც ტალღებს რიყავს,  
შეკრულია წუთისოფლის რკალი...  
სამოცი წლის ქალიშვილს  
შინისაკენ მიჰყავს  
ცამეტი წლის ქალი.

2003

\* \* \*

ვინც არ გეპიტნავენა,  
ჩაიც არ დაუსხა...

2003

ღამისნი

ჩემო მეგობარო,  
სიამოვნებით ჩავიღვრიდი  
შენი ბაგიდან გადმომდინარ  
დაღვინებულ სიტყვებს  
ჩემი შემეცნების ცარიელ ჭურჭელში.  
გისმენ!..

2003

საქველმოქმედო ლექსი  
უპოვართათვის

– ორი ლარი ჩემი...

2003

დაკვირვებული მოხუცი

დავბერდი და დამიჟანგდა ძვლები,  
დამიობდა ეს ხალასი ნიჭი, გონება.  
ახალგაზრდამ მე დავკარგე ძმები,  
მოგონება დამრჩა ძვირფას ქონებად.  
უფროსი ვარ ამ ხავსიან ქვებზე  
(რა ძნელია, ხესავით რომ გახმები).  
თუთუნივით ვფშენეტავ დარდს და ვარამს,  
თავს ვერ დავდებ ნამუსიან სხვებზე,  
ჩვენი ეზოს კახპები კი  
პატიოსნად იძლევიან სალამს.

2003

\* \* \*

ვისაც მწარე ხასიათი აქვს,  
მასთან საქმე  
უცებ უდა მოაკონახურო...

2003

წვიმის ჯაზი

წკაპ, წკუპ, წკაპ!  
 წკაპუნობს... ციდან მოდის სიმღერად.  
 ხელად ხელადებს ავსებს თიხის.  
 თითქმის ცეკვავს კიდეც ქართან,  
 კართან ატყაპუნებს ფეხშიშველი.  
 – ვერ მიშველი, ნეტავ?  
 ამბობს: – შემომიშვი,  
 შენ რომ იშვი, ადამო,  
 შენზე წინ ვიყავი,  
 ენა გამომიყავი,  
 გაიგე გემო ჩემი.  
 გემი ჩემი მიწა და ზღვებია.  
 წკაპ, წკუპ! – ხვდება ზარებს  
 პანანუნებს და ანკარუნებს.  
 წკაპ, წკუპ! – წკაპუნობს,  
 მისით იჟღინთება ვაზი.  
 ჯაზი მოდის სიმფონიად,  
 ვის ჰქონია ვერცხლის ბგერები  
 ასხლეტილი სახლებზე ამოდენა?  
 მზე და ცისარტყელა მიწაზე  
 გამოდენა მან...  
 მანდილი დღის გდია გათენებად  
 ღამის შუა,  
 იეშუა სახელებად მრავლდება,  
 მრავლად, ამინ!..  
 წკაპ, წკუპ, წკაპ!  
 წკაპუნობს, წვიმა მღერის...  
 ყველა ერის გასახარად,  
 იგი მაინც,  
 უდაბნოში უფრო უხარიათ.  
 ბუხარი აქ  
 ამოტყორცნის ბოლს სულივით,  
 შემოდგომა მშობიარობს ორსულივით  
 ბარაქას...  
 ბარად რქა განსხვავებულია...  
 ღვინოს წვიმაც ურევია,  
 ქვეყანა ქველი ურემია,  
 ცის ნამში ბანაობს...

ნკაპ, ნკუპ!  
 და მღერის ასე:  
 ჰარი ჰარალე, ჰარეეე...  
 ჩემი ლამაზი მხარე,  
 ნკაპ!..

2003

\* \* \*

თუ რაიმე საქმეში პირკატა გეცა,  
 სულში მისაკვდომი ძალლი ახსენე და მოგეშვება...

2003

\* \* \*

ჭეშმარიტად კეთილი ადამიანები  
 სამაგიეროს მიზღვას  
 ხუმრობითაც არ ითხოვენ.

2003

## ღამის სურათი

დილით მწვერვალს ახურავს მზე,  
 კანტი-კუნტი  
 ტალღა გულში ბორგავს.  
 რა კარგია, ღამის ცაო,  
 სულის შენთან აშვება...  
 კატის კნუტი სახურავზე  
 მთვარის გორგალს  
 თათით ეთამაშება.

2003

სამვარსკვლავიანი

ვაგლახ,  
 არ არის პაატა პოეტი,  
 სივრცეზე ხატია დღის ავტოპორტრეტი,  
 ჭიებზე ტარანიც ტირანობს ახლა და,  
 სიმართლემ სიცრუეს ფარდა ვერ ახადა.  
 ვერ ამჩნევ, ვინ არის ხანდახან გლახა და  
 გეშლება კეთილში.  
 შიშს იწვევს ამდენი ფეტიში,  
 კეთილად ვარ კეთილში.  
 ვაგლახ,  
 პოეტი პაატა არ არის,  
 ციხეში რომ გალობს,  
 ჩივთა კანარის.  
 ის ისეთ მუსიკას აჟღერებს, ამოსდის  
 მიწიდან, გულიდან,  
 სიყვარულს ამოზრდის.  
 დისკო მზის სულივით ბლანტია,  
 ავ ზრახვებს აქ დაუბარდნია...  
 ვაგლახ,  
 არ არის მამული ზრდასრული.  
 ძილი მეკიდება, ათას ასი რული...  
 ქვეყანა ზღაპარია ასირიული...  
 რად გინდა!  
 გაყიდე ლითონის ლიტონი სიტყვები,  
 აიღე მაყუთი, მაყუთი, მაყუთი!  
 კაპუტი – ფაშისტებს, კაპუტი, კაპუტი!  
 კომპოტი – პატარებს,  
 უფროსებს – ლუდი და თევზი კაპოტი.  
 ფირმენი უფრო ძლებს შუზები,  
 არ მინდა გავრითმო შუზი და მუზები არ მინდა,  
 ამიტომ დისკეტას ვაბრუნებ თავიდან!  
 ვაგლახ,  
 არ არის პაატა პოეტი,  
 არც ნათესავია ლოტის და ნოესი.  
 უყვარს კანოე და ბაიდარები,  
 „ბაიადერა“ სძაგს ოპერა იგი და  
 არ უნდა წამოსვლა აქეთ მას იქიდან.  
 ის თავის საქმეში პოეტობს,  
 კაია იგი რომ არ არის,  
 რაც გვინდა რომ იყოს.

ვაგლახს აღარ ვიტყვი,  
 სულო,  
 რა უცებ გაშავდი?  
 პაატას ცოცხალ თავს დავხვდები  
 ვივა და ვაშათი!  
 რა შანთი, რის შანთი,  
 რად გვინდა სადიზმი,  
 გურჯის ხმა მსოფლიო კოსმოსში,  
 ო, იცით სად ისმის?! სად ისმის! სად ისმის!  
 ისე კი, ცად ის მის საბედოს ვერ სწვდება,  
 ქართველი ასული ღრუბლებზე.  
 ფულებზე დაიძინე, ყველაზე მდიდარო,  
 ბალიშად ქვეყანა დაიდე, დაიდე, და იდე...  
 გულიდან გაჟონა,  
 მოდი და გაიგე, სისხლია, ცრემლია,  
 თუ თქვენგან ჩალვრილი შხამია?  
 მოდი და გაიგე!  
 ქეთევან, იამზე, მამია  
 არმია პოეტთა და პოლკი მწერალთა  
 ცას მიემგზავრება...  
 უფალო,  
 გახსენი ახალი მიმღები პუნქტები...  
 კონტრაპუნქტები მეც ვიცი, რაც არის.  
 გაროკდა აისის დილური საარი,  
 გაბლანტდა მეტეხის ძირძველი ფრონტონი.  
 თევზივით,  
 მტკვარს მოსდევს გონდონი  
 (თუმც სჯობდა გონდოლა),  
 ან ტივი.  
 მარტივი...  
 ჩვენ შემოგვესიენ კულტურის,  
 აზრების, იმიჯის ურდონი,  
 დავრჩებით საკოკაკოლო და  
 საბატობუტონი.  
 ტონი კი ასეთი მქონია ოდითგან,  
 სიცრუე როდიდან გადავა მოდიდან?  
 როდიდან? როდიდან?  
 რომ დიდ ტანს ზნეობის,  
 განიბანს ადმი?  
 ამ დამის, ნამუსის ხათრითურთ.  
 ვაშა! რომ სიგლახეს სიკეთეს ადრიან,  
 სიცუდე ვაშავოთ ამ დილა ადრიან,



ადრიან!

სახელი გიხდება, თუმცალა,  
 სახელებს ყველაფერს არქმევენ,  
 ფრინველს და ცხოველსაც,  
 ნივთებსაც, რომანებს.  
 რალაცით ვილაცა რომ მავნებს, ვშორდები.  
 აქ ნალექიანი ჰავაა და ყავა,  
 დავყავი საათი რადიომიმღებთან,  
 ამორჩეული, გამორჩეულად მღეროდა აჩი...  
 სიხარულის წამო, წამო,  
 წუთით ჩემთან დარჩი!

2003

### კალენდარი

ნათელია, უქარო, დღე ზამთრის.  
 არ ქრის და ოცნებაც ფანტელია,  
 დნობადია,  
 თრობადია სან უთრო ესე...  
 ისე, ლექსიც ამოდ თხრობადია.  
 ბინდი გაიფანტა... ცა მრთელია,  
 სანთელია ბნელში... ადე, მიდი!  
 ხიდი ვერ გახდები სხვათა,  
 მიზანი თუ არ გაქვს სუფთა, სადა...  
 მადა არ დაკარგო აღმაფრენის!  
 არაფერის მწუხარება რა მძიმეა,  
 მღვიმეა ხორცი სულის.  
 მოწიფულის იერი აქვს შემოდგომას.  
 შემდგომად დგომას არ დაჯერდე,  
 გადაჯეგე შამბი უვიცობის,  
 უმი ცომის პური უგემურია.  
 უფერულია ყოფა ასეთი...  
 გაზეთი ვერ შეგივსებს, რაც გაკლია...  
 არ ყრია მარგალიტი უპატრონოდ!  
 უპატონოდ ვერ ძლებ, ადამ!  
 გამომდინარე სიბნელიდან.  
 ნათელია, ნათელია სინათლისა,  
 ასახევი დამრჩენია მწარე დღე  
 წინა თვისა.

2003

სიმღერა

მიყვარხარ! ტუჩთა ზედაშეს,  
 – ვის უნილადებ, ლომგულავ?  
 გულს მოგცემ, თუმცა დედაშენს,  
 რაში სჭირდები ორგულა?  
 რაში სჭირდები ასეთი,  
 ას ერთჯერ მოსაფერები?  
 ჩემთან გერჩიოს დარჩენა,  
 გამომინოდე ხელები.  
 არ მომწყინდება ალერსი,  
 მარადიულად მე რომ მრევს,  
 შენ პირველი ხმა იყავი,  
 მე კი ვიმღერებ მეორეს.  
 ბაგეთა ახლოს ღიმი წევს,  
 სახე მამდიდრებს ღარიბის.  
 სული ღმერთისკენ მიმიწევს,  
 თვალი კი შენსკენ გამირბის.

2003

\* \* \*

მე მაინც შევამჩნიე,  
 დავინახე შეუმჩნეველი,  
 ობმოდებული კაცი ქუდის ქვეშ,  
 პანანუნა კაცი, კაცუნა...  
 ტკაცუნა სოსისი და ლუდი წინ ედო –  
 ერთი დღის ბედნიერება.  
 ასეთებმა, კარგად უწყიან,  
 თუ რა ხდება ყოველწამიერ,  
 თავის ქუდს ქვემოთ.  
 თუმცა კეპს მაღლა  
 ახედვის სურვილიც კი არ გააჩნია.  
 ო რა ძნელია, გულისამრევი,  
 შენი ცხოვრება გაატარო,  
 იყო უბრალოდ  
 კაცი ქუდის ქვეშ  
 და არა ქუდით!

2003

მერი რა...

ფარისევლებიც ანთებენ სანთლებს,  
 კაცის მკვლელებიც იწერენ პირჯვარს.  
 ხშირად მამებიც ცდებიან თურმე,  
 რომ გასცდებიან საზღვარს და მიჯნას.  
 მტრად გეკიდება ხანდახან მოძმე,  
 გაყოფის საგნად აქცევენ კვართებს.  
 მდიდარ მევახშეს, ღმერთია მონშე,  
 მშიერ ბავშვების ვალები მართებს.  
 მოედო სულებს ობი და ჟანგი,  
 ცბიერნი გთხოვენ დადებას ფიცის,  
 გონებას, კანის ვით ათაშანგი,  
 ჩააღპობს მალე ცოდვები მიწის.  
 ფერი აქვს ზოგჯერ ღამესაც თეთრი,  
 მართლებს კეთრივით თვალს არიდებენ  
 და ორგულები, როგორც განძს ძვირფასს,  
 ერთგულებს შავი მიწის ქვეშ დებენ.  
 შემწყნარებლობა კუზივით გვაზის,  
 არ გაგვჯდომია ჯერ იგი გენში.  
 ყელის გამოჭრა სხვანაირ აზრის,  
 პატრიოტიზმად ითვლება ჩვენში!  
 დღიდან შექმნისა ფაქტია, მგონი,  
 კაცის ცრემლებიც იქცევა ცვრებად.  
 ვითომ ეშმაკის ბრალია მხოლოდ,  
 სულ რომ ირღვევა ათივე მცნება?  
 ტვირთი, რომელიც გვარგუნა ზენამ,  
 სიბრძნე, რომელიც გვიბოძა გველის,  
 არავის უნდა თავად რომ ზიდოს  
 და ხალხიც მხოლოდ მესიებს ელის.  
 ერთმანეთს ვესვრით შურსა და ტალახს,  
 შერიგება კი არ მოგვდის აზრად.  
 ლიდერი ახლა ბლომად ჰყავს ქალაქს,  
 მამულიშვილი არა ჩანს არსად!  
 ვერ გამოვარჩევთ მტყუანს, ან მართლებს,  
 თუნდა ჩავხედოთ ამ ყავის ფინჯანს...  
 ფარისევლებიც ანთებენ სანთლებს,  
 კაცის მკვლელებიც იწერენ პირჯვარს.

2003

გამსოლოებული ლექსი  
ქლიერთა ამა ძვეყნისათა

ომია, ომი!..  
აქ ჩატეხილი გვერდზე ხიდია,  
ახალ შენობას ადგამ ფესვებზე...  
ქრისტეანობა მკვერდზე გკიდია,  
საქართველო კი  
ასწილ-ფეხებზე.

2003

მისტიური მეგობრობა

ის, რასაც ღმერთი გულისხმობს,  
ადამის ბაგით უნდა გაჟღერდეს.  
მუსიკას, კაცობრიობა რომ ქმნის,  
უფალმაც ჩუმად უნდა უსმინოს.  
ერთმანეთს ვავსებთ ამ მეგობრობით,  
ღმერთს მიწისაკენ და ჩვენ კი  
ცისკენ მიგვიწევს გული.

2003

„შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა  
იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.“  
დაბადება, თავი პირველი

მიზიდავს უფრო ცა, რაც ბაცია,  
კაცი კაცისთვის არ არის მგელი.  
ყველა ჩვენგანი ხატის კაცია,  
როგორ ავწიო ხატებზე ხელი?!

2003

\* \* \*

ამ დილის ფერად ერთი ნახატის,  
ზღვისმოქცევა და მზევი ფონია,  
კალამზე, როგორც მთაზე მახათის,  
სხივად იღვრება ეიფორია.  
აისვრის აისს მაღლა ხმა მამლის,  
ბნელი ღამე კი ისევ მაყუჩებს  
და ვიიონივით ვუშვერ ყელ-კისერს  
ქალბატონების მკლავთა მარყუჟებს.  
მაინც მუზებად ჩანან ჩემს თვალში,  
გულგადახსნილი მესიძველები.  
ბიბლიასავით გადაშლილ ქრისტეს  
ზეცა უჭირავს სუსტი ხელებით.  
მეც ჩემში მხოლოდ ვალზევებ სინდისს,  
თუნდა შეჭამოს ბუამ კანონი.  
პოეტნი ისევ მარტოდ დადიან,  
სახლკარიანი, უსახლკარონი.

2003

## დედას

ყველაფერ იმ კარგს, რაც დედებზე ითქვა,  
ერთს დავუმატებ:  
და, როდესაც ნემსი და ძაფი უჭირავს ხელში,  
მთელი არსებით ცდილობს,  
ჩემი სავალი ბილიკებიც მოაგვირისტოს.

2003

\* \* \*

ჩემო ძველო ნაცნობო,  
თავში რა გიდევეს,  
ის უფრო კარგად ვიცი,  
ვიდრე გულის ჯიბეში.

2003

\* \* \*

„თუ ძმისა ვაჟაკცოზანი  
 შენთან შეხედვით მდარება,  
 არ დაამცირო ის ხალხში,  
 ვაჟაკცსა დააღარა“  
 (ხალხური)

უნდა ვუგანო ჭორების ჭინკებს,  
 რომ მოვისროლო შორს შურის ბნელი.  
 იარაღით მოშვერილ ჭიქებს,  
 სჯობს ალალ გულით განვდილი ხელი.  
 ცხოვრების სიბრძნეს გზადაზა ვიგებ,  
 წყენა წარსულში უნდა დავგმანო.  
 ყველა შეცდომას ჩემს თავზე ვიღებ,  
 რათა მეგობრის ნაკლი დავმალო.

2014

### შემოდგომის სურათი

მდორე მდინარის მოძრაობას  
 ხაზს ხის ფოთლები უსვამენ,  
 ხოლო  
 ნაპირთან ჩაფიქრებულ ხავსიან ლოდებს  
 მთვარე ანათებს.

2003

\* \* \*

ღმერთო, ჩემო მეგობარო,  
 ჩემო მესაიდუმლევ,  
 მეც ცოდვილი მცირე ტაძრად,  
 ლოცვად, მესად მიგულე.  
 ლალადისი ამ ბაგეთა  
 რაკი ცამდე ასწიე,  
 საქრთველო იბერიად,  
 ისევ შემოაქციე!!!

2003.

არქიმოლოგს

ერთი აზრი არ მასვენებს  
და შეკითხვად ყალიბდება:  
(მეც ვითვლები წმიდა უფლის სამწყსოში),  
კითხვებს არ აქვთ სასრული...  
როგორ აღმოაჩინე,  
ამ უბადრუკ ანმყოში,  
დიდებული წარსული?!

2003

\* \* \*

ჩამძინებია,  
ჩემი ხელი ნაკადულზე გადახიდულა,  
რომელზეც ახლა,  
ჭიანჭველების ჯარი გადადის.  
ამ ქვეყნად  
ამათ მაინც გამოვადექი,  
მაშასადამე,  
ცხოვრება ღირდა!..

2003

\* \* \*

მოლალატე ვარ, მოლალატე!  
დასამარცხებლად განწირულ-გაყიდულ ომში  
არ წაველ და ჯარისკაცებს  
ჩემი ლექსებით ვამხნევებდი  
მხოლოდ შორიდან.  
მტერი ვარ ახლა ჩემი მამულის,  
სხვანაირად მოაზროვნე, ანდა სექტანტი.  
ერთი კაციც არ გამილახავს,  
მოლალატე ვარ!  
აბა რა...

2003

ისტორიანი

ნაგვემია...  
 უგემნია,  
 სიმწარენი  
 ფლოქვთა ცხენთა,  
 მცხეთას.

2003

პოეტის ფილოსოფია

ქართულო სიტყვავ,  
 ჩემში ცასავით გაზვიადდები!..

2003

\* \* \*

ბუდას ცივ ქანდაკებას კალთაში  
 პატარა ბავშვი ჩაუსვეს,  
 იგი იცინის  
 და იმდენად მიმზიდველია,  
 ლამისაა, გაუტამამ  
 თავზე გადაუსვას  
 მარმარილოს ხელი.

2003

\* \* \*

ვარსკვლავებით კაბადონი  
 შემოქმედმა გადაჭედა,  
 ღამე ბაგად გადაიქცა ქარავნის...  
 ყველას უნდა სხვისი სულის გადარჩენა,  
 საკუთარის-არავის!

2005



ხილვა

სავალდებულო კომმარით,  
 ბრძოლებით, გადანახადით,  
 დავითითა და თამარით,  
 შოთაის სიტყვით, ფრთამაღლით...  
 თევდორეთი და სულხანით,  
 ან აგერ ველით მუხარანის,  
 უნინ კი ექვთიმეთი და...  
 სპა, უკან არდანეული,  
 სულ ცოტა, ერთი მეტრითაც.  
 ერთგული, არმოსყიდული  
 ვერცხლისნაირი გროშებით,  
 ლაშქარი იბერიელთა  
 ბაგრატიონთა დროშებით.  
 მტრის მგმობი, სტუმრის მოყვარე,  
 ქალაქელნი თუ გლეხები,  
 აპრილი, გულში დაჭრილი,  
 ჭადრებითურთ და ვერხვებით,  
 ილია, ვაჟა, აკაკით  
 და თუდაც გალაკტიონით,  
 ნადილი,  
 რომ ჩაჰყოლიათ ჯავრივით,  
 ქვეყანა  
 ევროაზიულ რუკაზე,  
 გადახიდული ჯვარივით.  
 ერი მომრავალყამური,  
 ჭირის ამტანი, ამ ტანით,  
 სულით, სრულიად მაღალი,  
 მოძმე, მოძმეთა გამტანი...  
 ძილში ვიხილე ძლიერი,  
 გაბრწყინებული მამული,  
 ზეგარდმო მამით, მამადან.  
 ვერ შეველევ ვი ამ სიზმარს,  
 წყალს არასოდეს გავატან!

**P.S.**

კეთილს ძმასავით ვეპყრობი,  
 ავს ხვედრი ისევ ავი ხვდეს,  
 შენლა გენდობი, უფალო,  
 ეგებ, სიზმარი ამიხდეს!

2003

პაშლის ხე

ტოტი შეირხა, ეჭვი გაჩნდა,  
 არ ვართ მართლები...  
 შეშფოთებული ფოთლებივით  
 თრთიან სანთლები.  
 რწმენა შეირყა,  
 ახლა ძლიერ გეჭირდება რაიც.  
 ეკლესიები სავსეა მრევლით,  
 სიძულვილი ბატონობს მაინც.  
 რალაც შეირყვნა,  
 ნაწილი ვართ ჩანგრეულ ხიდის,  
 ათეისტი და მორწმუნეც  
 სინდისსა ჰყიდის.  
 სილაზე სახლი,  
 საკითხავია, როდემდე გაძლებს?!  
 აქ სიყვარულის უფლებასაც  
 კანონი გვაძლევს.  
 ქვეყანას სძინავს,  
 სამწუხაროდ, ის ცუდ დღეშია.  
 ჯოჯოხეთი აქ არის და  
 ჩვენი შექმნილ სიცრუეშია.

ტოტი შეირხა, ეჭვი გაჩნდა,  
 არ ვართ მართლები...  
 აქ შემოდგომის ფოთლებივით  
 თრთიან სანთლები.

2003

\* \* \*

პოეზია ნაკრებია  
 რომანტიულ სიტყვების  
 და რითმის.  
 სიყვარულზე  
 ყველაფერი ნათქვამია,  
 თუმცა,  
 მხოლოდ თითქმის.

2003

ბაიათი

თავს იწონებს მაისი მაიათი, რეალურად.  
 ამინწონეს, საპირწონე სიტყვა და ასოები.  
 ბაიათი ისევ ჟღერს სასოებით,  
 წარსულიდან ვერბალურად.  
 შარი ათი რას გავნებს,  
 ერთ-ერთი შვილი ხარ უფლისა  
 და კიდევ ოჯახისა.  
 მაგ სურიდან სხეულისა დამარწყულე...  
 ურწმუნო რა უცებ დამარწმუნე  
 სიყვარულში.  
 ბაგიდან ის გადმომდის,  
 რაც დევს სიტყვად გულში.  
 ვიცი, გტკივა მოჭრა ხისა,  
 ვით ტანისა, სატატანო...  
 ლექსი ამბორივით,  
 საგზლად უნდა გაგატანო,  
 გადამტანო ამინდების საქარეთა!  
 ქალაქი შენით ცხოვრობს,  
 მიმტევებლად, დამტევი ხარ სავანეთა...  
 ნიშატი შენი ახლა ამ თვეს ადევს,  
 ლექსებს შეგპირდი  
 სამკაულად, მოირგებ, ნეტავ, რამდენს?  
 დააკაკუნებ და  
 რომელი ზეციერი არ გაგიღებს  
 კარებს სასუფეველის,  
 ღიმილს ხომ შენგან იღებს ბევრი  
 და მერე ცას უმღერის.  
 სუფევის აქაურობა,  
 რა ვუყოთ, რომ არ ბრჭყვიალებს,  
 ისევ სულელი ვგონივარ ამ ჭკვიანებს.  
 პოეზია ხომ უფალივით უბრალოა,  
 თუმიცა კი,  
 დიდებული და დიადი.  
 მწვერვალთა ქიმებზე მიდებული მზე  
 და განთიადი  
 მე დავხატე შენთვის.  
 თან ერთვის, ხერთვისს ისტორია,  
 ერთი თვის სავარდოდან, საბალნაროდ.  
 ქალო, ალვისტანიანო...  
 არვისთან არ იარო!

მამრი ვარ და ეგოისტი –  
 სხვისთვის ვერ გიმეტებ,  
 ნატიფო მდედრო და ასულო,  
 სიყვარულის თამაში  
 ჯერ არ დაასრულო,  
 ჯერ არ დაასრულო!  
 ქალბატონო, სურვილო ჩემო,  
 ჩემით უნდა იამაყო,  
 გვეყო, ვინაც ენა გამოგვიყო,  
 შევიგრძნოთ რევანში ევაში..  
 მაშინ ის ხიდია,  
 ის იდეა ერთობისა მისგან მოდის.  
 მომდის ერთი აზრი ისევ,  
 მინდა სიმღერად გიხილო და მეუღლითურთ,  
 თანაც პატარა ბაიათი...  
 აუ, რორგორ კოპნიაობს  
 მაისი ამ მაიათი.

2003

\* \* \*

შემოგველე,  
 ისევ ვალად გამატანე ყველი,  
 ერთი ლარისა,  
 ჩემო კარგო ლარისა,  
 ამოდენა გამაძღრებში,  
 სული გამძვრეს ლამისა.

2003

\* \* \*

ვერ შემაშინებს ცოდვის პირქარი,  
 მტრის დაფდაფების ისევ ცრუ ბუკი,  
 გულზე ქართლის ცა მადევს ფიქალი,  
 ასე მძიმე და ასე მსუბუქი.

2003

სულთანა

ლოცვებს ატარებ შენს სულთანა,  
 დაგაქვს სევდა ქვეყნის  
 შენში,  
 დაკარგული სიყვარულის  
 ეძებ ნიშანს.  
 ნიშატი რწმენის გადევს,  
 დაგდევს ჯავრის ლანდი,  
 უფროსებმა რომ დაგიტოვეს წარსულიდან.  
 შავი ფერის ფანდი,  
 ფინტად, ფინტად არ გამოგდონ,  
 მეშინია,  
 შეშლილია, მოშლილია  
 პლანეტარიუმი, ანუ მინა.  
 რინა მოგიხდება საზაფხულო,  
 დაზაფრული არ იყო,  
 პოეტო გოგონავ, გაზაფხულო!  
 რას ეძებ ცათა შინა?  
 არ მოსპო ცოდნისა და სიბრძნის სწავლა.  
 მთვარეს შენსავით  
 მინაზე უნდა გავლა.  
 გვალვა უვიცობის გადაგახმობს,  
 ნორჩო ნერგო,  
 არ მოერგო ნიღაბს არავისას.  
 ქარავნისა გქონდეს  
 სწრაფმავალი სწრაფვა წინა...  
 წიგნად გადაშლილა  
 შენს წინ ეს კოსმოსი.  
 ასულო,  
 გურჯი ხარ და არა შორი ესკიმოსი.  
 დღეს კი მოსავეს მასას მცნება ათი.  
 ჩაიბეჭდე გულში.  
 გუშინ ერთი დღით მცირე იყავ,  
 ხედავ? გაიზარდე!..  
 კარგია!  
 სოდომ-გომორი რომ გადაშენდეს,  
 არავინ განიკითხო,  
 თუმცა, გულგრილობაც არ დაგჩემდეს!  
 სიმღერას ვამთავრებ,  
 ასეთია ჩემი ბანი, ანი, ოშკი  
 და ბანა ტანად.

შვილივით ლოცვებს ატარებ,  
გულთან დაგაქვს,  
შენ სულ თანა...

2003

\* \* \*

ვენაცვალე წარმართ ქართველებს!  
არმაზის კერპის სათაყვანებლად მიმავლებმა  
გზად წმიდა ნინოც გაიყოლიეს  
და არ ჩაქოლეს!  
შემოვევლე წარმართ ქართველებს,  
ქრისტემდე  
კაცთმოყვარე ქრისტეანებს!

2003

### პედრეზა

ქართველო, გემუდარები,  
არ დაახვიო არმატურის ჯვარს,  
ნინოს თმებად „კატანკა“,  
დროა, მიხვდე, რომ ასეთი საქციელი,  
რელიგიის პაროდირებაა!

2003

\* \* \*

აირია? ჰაერია, მუსონები,  
ვერ გვშველიან ვერსალები,  
ვერ უპოვი გარსს ამ ქარს.  
ჟამია მთვარის ამინდების,  
გული გაგინყალე,  
ქუჩაში გესალმები,  
არ გაძლევ გასაქანს  
თვალის არიდების...

2003

მარიამ ჭანტურიას  
დაკადეპის დღის აღსანიშნავად

ამ დღეს  
ისრაელში მარიამმა მიიძინა...  
ქართველში კი თურმე  
მეორე დაიბადა  
და სანამ მზე პირს დაიბანდა,  
მან ანგელოზს გაუცინა და  
გაიბადრა...  
თვალნი ალაპრო კაბადონსა,  
ისე, ვით ცისკენ იწვდიდა  
მოსე ხელებს.  
დიდი დედის გაჩნდა მოსახელე.  
აღიქვა მტკვარი ივერთა იორდანედ,  
ეზიარა ნაყოფს ვაზის ჯვრისა  
და პირჯვარისაც შეითვისა გადასახვა,  
გარდა, სხვათა სინმინდეთა...  
რადგან  
ნათელ დღეთა ხილვა უფრო სურდა.  
დაქალდა და  
იგიც დაორსულდა.  
(ღვთისმშობელთან სათაყვანოდ,  
ვიციტ, რომ მოგვი ვლიდა),  
დიდმა მარიამმა იესო გვაჩუქა,  
პატარამ  
ჩვილი საბა მოგვივლინა.

2003

\* \* \*

ახლა დროა სარფიანი მშენებლობის,  
აღშენების ტრადიცია გადაგვარდა  
და ჩაიხა შუა ფარდა...  
ვხედავ ბალახს, ცრემლით ნამიანს.  
რუსთავიდან ხალხის გარდა  
ცხენებიც კი გარბიან.

2003

ლოცვა

შეიმოსა ზეცა მწუხრით,  
ქარში მოიკლა მიმოზა,  
მინას დავანეჟი მუხლით,  
სულმა მოილაკრიმოზა.

2003

\* \* \*

ეს მინა სისხლით მორწყულია,  
რა გითხრა, მარიამ, უბინო ქალო?  
საქართველოში ბევრი მორწმუნეა  
და მაინც ცოდვის ტრიალებს კალო.

2003

\* \* \*

უნდა მოვკლა იმედი,  
იმ ზომამდე მივედი...  
გულზე სევდა მედება.  
რა კარგია ქმედების,  
დიდი შემოქმედება.

2004

\* \* \*

ძველ ძმაკაცს რომ ნაანუდები, რავარია?  
ბედ-იღბალი განა რამეს დაგიდევს...  
სახარება ჯიბით დაგაქვს, მეგობარო?  
მთავარია,  
ე, მაგ გულში რა გიდევის.

2003



ერთადერთი სხვაობა

მომღერალი ჩიტები ადამიანებივით  
პარტიტურას არ იყენებენ.

2003

სამოქალაქო ომის ეპიზოდი

ბრმა ტყვიის შიშით  
ღრუბელი მთვარეს გადაეფარა...

2003

\* \* \*

ზოგს მედლებიც ეკუთვნის და  
ალბათ-დედლებიც...  
თუ მხედველობაში არ მივიღებთ,  
ქვეყანა რომ დაემგვანა  
ვეება ბორდელს.  
კმაყოფილ სახით,  
უღირსები გვანიჭებენ  
ღირსების ორდენს.

2003

\* \* \*

მთვრალი ხიდზე მივდიოდი,  
მტკვარი ისევ დუდუნებდა...  
მთვარეს მიყრდონობოდა სახლი.  
საბრალობლად ნკმუტუნებდა  
პატრონდაკარგული ძაღლი.

2004

უზანგი მენაფირას

ბერიკაცო, დაისვენე!  
 მოიხსენი უმძიმესი ტომარა,  
 სვეტიცხოველს ვერ შევექმნიდით,  
 შენი მხრები რომ არა.  
 უფლისწულიც ახსოვთ მხართა,  
 ბევრ წმინდანთა სხეულიც.  
 კაცი ლამის დედაბოძად  
 გახდე გადაქცეული.  
 რა ვქნა, მინდა მოგეფერო,  
 ვერ ვაჩერებ ამ ენას.  
 შენ ხან მეფის სისხლი გქონდა,  
 ზოგჯერ ჰგავდი არსენას.  
 საქართველოს ბალავრისთვის  
 ქვები ზურგით მოზიდე  
 და მტრის მიმართულებითაც  
 პაპის მშვილდი მოზიდე.  
 კაცის ვალი მოიხადე,  
 როგორც ქუდი დაღლილმა.  
 ეჰ, რას იზამ, ჩაიქროლა  
 უკვე შენმა მარხილმა.  
 სამოთხისკენ ხელებს იწვდი,  
 მომომიწყვიტო რომ ხილი,  
 მხრებით ქართლის ცა გიჭირავს,  
 ამიტომ ხარ მოხრილი.  
 წვერში თოვლი შეგრეგია,  
 გულზე სევდა გედება.  
 ნება მომეც, მოგიგვერდდე,  
 შეგეშველო ეგება!  
 ბერიკაცო, დაისვენე,  
 მოიხსენი, უმძიმესი ტომარა...  
 ა ემ ლექსსაც ვერ ვიტყოდი,  
 შენი მხრები რომ არა!

2004

პოეტ იური ჯინჭარაძეს

უერთგულესი კაცი ხარ,  
 ქართულ წყობის და წესების.  
 შენ სიყვარულის ხათრი გაქვს,  
 მე კიდევ-შენი ლექსების.  
 განა არ ვიცი, ბებერო,  
 მამულზე ფიქრი შენც რომ გჭამს...  
 დიდხანს იცოცხლე, ოსტატო,  
 შენ არ მოუკვდე შენს ოჯახს!  
 მაგ შენს გზას შემოქმედების,  
 პერიოდებად არ დავყოფ,  
 შენ ქართველობას იკვებნი,  
 მე ახლა შენით ვამაყობ!  
 დრო მოვა, ყავლი გაგივა,  
 ხენიც კვდებიან მალღები.  
 შენს პოეზიის ტაძარში  
 მე ლოცვად მოგეახლები.  
 ცხოვრება ისე ტრიალებს,  
 უტიტრო ფილმი, ვით კინო,  
 ნამთვრალევეს გვერდით მოგყვები,  
 რომ არაფერი იტკინო.  
 ტყვილად რომ გლანძლო, შემდგომში  
 უნდა შეგაქო რა პირით?  
 ბევრი მდედრია დაჭრილი,  
 მაგ შენეული რაპირით.  
 ეთერი დანაღმულია  
 შენი ლექსების მუხტებით.  
 ამ ქალაქს ხსოვნად კი არა,  
 ცოცხალი უფრო უხდები!

2004

\* \* \*

ცაზე ანთია  
 ვერცხლისფერი მინანქარებით  
 მთვარის ვეება მედალიონი.  
 ორივე თავქვე მივექანებით,  
 მე და რიონი.

2004

## ბზოზბა

პალმის რტოთი და ბზით,  
 რწმენის ამ გზით,  
 ქვეყანაში და სახლებში  
 ქრისტეს მოსვლას ვეგებებით.  
 ხოლო მოყვასს მამულიდან  
 სულ წიხლისკვრით ვერეკებით...

2004

\* \* \*

ამ ქვეყანაში ფლავის კერძივით  
 ყველაფერი მორევაზეა...

2004

## ბაზაფხული

აპრილმა კაზა გაიხადა და გაიფურჩქნა...

2004

## პოეტი იური ჯინჭარაძის

ქვეყანაზე არაფერი გაგაჩნია,  
 ბედმა იარები დაგამჩნია.  
 გიცნობ რა ხანია, არ აშენდი...  
 „მომწყდი თავიდან, გადაშენდი!“  
 მარტოდ დარჩენილხარ არენაზე...  
 ისე, როგორა ხარ დაღევაზე?  
 ნუ ნალვლობ,  
 ყველას თავის წერა მოენია...  
 ჯიბეში ჩალა გიდევეს,  
 გულში კი-პოზია.

2001

სიყვარული

ვერ გეტყვით, ქალმა  
იმ კაცის დითირამბს  
რად მოაყოლა ცრემლი და,  
გულამომჯდარმა იტირა.  
ვერ გეტყვით, კაცმა მდუმარემ  
რატომ ასნია წარბი და,  
სახლიდან რატომ წავიდა...  
ვერ გეტყვით,  
ვინ ვის დაუგო მახე და...  
ანდა, პირველად სახედარს  
ვინ შეადარა ყმანვილი,  
სახეში სილაგანწული.  
არ ვიცი,  
ჩალით დანწული კალათა  
ქალმა ქმარს რატომ ესროლა?  
მე შემძლია გიამბოთ,  
ამბავი როგორ დასრულდა,  
ორი დღის მერე ის კაცი,  
ოჯახში რატომ დაბრუნდა.

2004

\* \* \*

აფრიკაში  
კანონი და კანონიკა ცივილური  
ევროპელმა შეიტანა,  
ცივი ლულით.

2004

\* \* \*

მინდა ჩავენერო მაიას ტომში,  
ანუ რომანში...

2004

ქარი ნაზარეთში

მარიამს ხელთ უპყრია პირმშო მისი,  
 პირმშვენიის ბაია კოსმიური...  
 ქარმა აუნენა კულულები.  
 რა ვიცოდი,  
 იგიც თუ თავს მას დაადრიდა.  
 უცებ, ჩვილი მოიღრუბლა  
 და ცა ატირდა...

2004

\* \* \*

ო, ეს ქარი მე კი არა,  
 შენ მოგდევს და  
 ყელ-კისერზე,  
 თან ნაზ მხრებზე გეჭიდება,  
 კაბას აგიალქანებს...  
 სიყვარული ჰაერივით შენც გჭირდება!  
 ქვეითს ზენა მიგაქანებს,  
 მე კი მისი შემობერვა,  
 ფთილებს მაყრის,  
 ამოგდებულს ტალახიდან.  
 ეგებ სადმე ნახვიდე და,  
 ყუანივით ყინიანი  
 გაიტყუო ქალაქიდან.

2004

\* \* \*

ცხოვრების წიგნს წაგაკითხებ,  
 სანამ სიბრძნე გვერდითაა  
 არსით, გენით, ბუნებით.  
 მიდი, ფრთხილად გადაშალე  
 დედის ხელისგულები.

2004

ცოდვილი წინაპრის მონოლოგი

ვერ გავექეცი ცოდვის ცდუნებას,  
 ვერ გაგინიე, ძეო, მე ძმობა.  
 ეს ბინიერი მიწის ნაგლეჯი,  
 თილისმასავით აღარ მეთმობა.  
 შენ ჩამოხატდი, ძეო, ზეციდან,  
 ჩამოიტანე სული მიწამდე.  
 ვერ შევიყვარე მტერი შენსავით,  
 რადგან ღვთისმშობლის მიწას ვიცავდი.  
 მომწარო სვე ვსვი და სარეცელად  
 არც ღრუბელი და არც ცა მიგია...  
 კოლხი ქალების ალები მწვავდა,  
 ცოლი არვისთვის არ წამიგვრია.  
 მრავალჟამიერს ამოვაბგერებ,  
 მინდა, ქართულო სულო, სულ იყო!..  
 ლორი ეფენდის ტუჩებსა ჰკოცნის,  
 საშვილთაშვილო ჩემი „სულიკო“.  
 მტრების წინაშეც კი ვამაყობდი,  
 ამ ჩემი ბროლი საქართველოთი,  
 ივერთა ლაშქრის მხედრულ ყიჟინას,  
 როგორც მეორედ მოსვლას ველოდი.  
 ცივ ჯაჭვის პერანგს სისხლით ვანრთობდი,  
 დრო არა მქონდა, ლოცვად მედინა...  
 მეფე ერეკლეს მცირე ბანაკში  
 თუში მჭედელის ხმალზე მეძინა.  
 მარხვის მაგიერ, ხშირად ვღრეობდი,  
 „ორერა-რეროს“, სცვლიდა „დიელო“...  
 ძმასავით ხელი გამოგინოდე,  
 ადგილობრივო გადამთიელო.  
 თუ ჩემი გორდა ველარ მოგწვდება,  
 ეს ლექსი იყოს სამაგიერო.  
 სამშობლოს, ვითარც დაჭრილ მეომარს,  
 თავსასთუმალთან ღამეს ვუთევდი  
 და იბერიის ვეება ტაძარს  
 სანთლის მაგიერ შვილებს ვუნთებდი !  
 მკერდში ცხარე გულს ვერ დაიჭერენ,  
 თხელი ხალათის რკინის დუგმები.  
 დღეს ვაღიარებ ხალხის წინაშე,  
 დამირღვევია ყველა დოგმები.  
 საქართველოც ხომ სწორი არ არის,  
 ბევრია მხარე კლდე-ღრე-მთიანი,

ანათემასაც არად დაგიდევ,  
 ოღონდ, მამაული იყოს მთლიანი!  
 მე შევეწირე ქვეყანას ისე,  
 როგორც სიმართლეს ადრე იესო.  
 ცოდვით უსანთლოდ ინვის შანდალი  
 და ჯოჯოხეთის ღია კარებთან  
 ვდგავარ ამაყად, ცამდე მართალი!

2004

\* \* \*

სანაულია ამოუცნობი  
 ტბა, როგორც სარკვე  
 მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და  
 კაბადონსაც მუდამ ირეკლავს.  
 უამრავი რამ ეტევა მომცრო აუზში,  
 ხოლო დიდ ცაზე,  
 ოკეანე კი არა და  
 პატარა გუბეც არ დამინახავს.  
 ო, რა ღვთიური თავმდაბლობაა,  
 იყო დიადი  
 და სულ მცირედში ირეკლებოდე!

2004

\* \* \*

აღესილი ვარ ქალის აღერსით...  
 მე გალექსილი თხემით ტერფამდე.  
 მთაც, მთვარის შუქით გადანაღესი,  
 უნდა ეომოს ნეტავ მტერს რამდენს?  
 პაციფისტური ცრუ იმედები  
 ქარტეხილებმა უმალ მოცელეს.  
 აღესილი ვარ ქალის აღერსით  
 და ვერ ავიტან გვერდით მოცილეს!

2004



მაჰათმა

ქარმა ენერგია  
 აფრებს შეალია,  
 სულის ელეგია  
 რითმად ალაგია.  
 ნაპირს ემუქრება  
 დღეთა შემუქება.  
 ჩვენი ისტორია  
 შავი ზღვის ტოლია.  
 სადაც ყვარელია,  
 იქვე სხვიტორია.  
 დღეს ვინც რიტორია,  
 ყველა ლიტონია  
 და გულის მაგიერ  
 ცივი ლითონია.  
 ამ ლითონს მოალობს,  
 მჯერა, ლიტანია...  
 თუ გულთან  
 მიმტანია სრულიად  
 ლექსის ვინმე, ცოცხალია!  
 დიადი სულია,  
 ვინაც მონყალეა.

2000

\* \* \*

ამ ცისქვეშეთში, ჩემო ძმობილო,  
 თავზე დაგკყურებს  
 რა მზე და რა ცა...  
 უაზრობაა ქექავდე ნაცარს.  
 რა ადვილია, ნიღბით იარო  
 და რა ძნელია იყო ის, რაც ხარ!

2004

\* \* \*

შემოსავს არეს სინათლის კვართი,  
ფრინველთა ისმის გარეთ არია,  
ახალ დღის ლოცვად ამოდის მნათი,  
ცისა და მიწის AVEMARIA.

2004

### დაბვიანებული რომანტიზმი

დაგიგვიანდა, ჩემო ლიანა,  
მაგ მონოლოგის მოლოგინება...  
ცამდე აგასწრეს ჭრელსახლიანმა,  
ხეზე მცოცავმა ლოკოკინებმა.  
ამ გეორგიის მიწაზე იშვი  
და გეორგინის სინაზე გშვენის,  
შენ ის ქალი ხარ, რომელმაც უკვე,  
უხარირემოდ გაზარდე „შველი.“  
მეც ამერია ანი და ჰოე,  
ჩემს ნაცნობ ტუჩებს სხვა ბაგე ჰკოცნის.  
ვერ მოვრჩი კენტად წანწალს და ძუნძულს,  
ზენამ გარგუნა მიწაზე იდგე  
და ახალ მთვარეს აწოვო ძუძუ.  
რას იზამ, ისევ გაუვალია,  
ამ რეალობის ჯუნგლი, გვიანა,  
(ბედმა შაყირი როგორ ინება!)...  
დაგიგვიანდა, ჩემო ლიანა,  
მაგ მონოლოგის მოლოგინება.

2004

\* \* \*

ოჰ, ეს მუსიკა რა ნელია,  
ყოველ მინორში ხომ გრანელია.

2005

## მერაბ ელიოზიშვილს

როგორც თქვენ, ჩემი კაცობაც  
 მხრებით ვატარე, მე ვზურგე.  
 წართმეულ ველზე ჯოგს ეძებს,  
 ქარი, ბებერი მეზურნე.  
 გავიხედავ და სასწაულ,  
 ლამის ვიყვირო ოსანა!..  
 მტრის ჯიბრზე ხარებს მოდენის  
 მკვდრეთით აღმდგარი სოსანა.  
 მწამს გამარჯვების სიხარულს  
 გამოიმეტებს შამქმნელი.  
 იმ თეთრ ქარავანს ავკიდოთ,  
 ჩვენი შავბნელი საქმენი.  
 ერთგულ მსახურობ ერს და ღმერთს,  
 თან ცისკენ გაგყავს ბილიკი.  
 თაობებს შორის ხიდი ხარ.  
 მეც წამიყვანე აქედან,  
 თუ კარგ საქმეზე მიდიხარ.

2005

## ბედი კაცისა

ჩემი გზები გორგალივით  
 აიხლართა, აიბურდა...  
 სევდამ გულში, ჩიტმა-ტოტზე,  
 ბუდამ ხის ქვეშ დაიბუდა.  
 თავზე შარავანდად ადგას  
 უძველესი აბლაბუდა.  
 ირგვლივ მტერმა გაიხარა,  
 რაი მეთქმის მათ ხითხითზე?  
 ქრისტემ წყალზე გაიარა,  
 მე გავდივარ ბენვის ხიდზე.

2005

გეძებ

გეძებ...

ხეთა კენწეროებს  
 მთიდან აფრთხოვს ჩემი ექო.  
 სადღაც აქვე, შორიახლო,  
 თაფლის სანთლად უნდა ენთო.  
 ქარი ფოთლებს ააზვირთებს,  
 ვინ გაიგებს ყვირილს ქარში?

გეძებ,

გული აღარ ითმენს,  
 ვიცი, გნახავ, ოღონდ მთაში.  
 ჯიხვს მივყვები ფიცხელ კვალში,  
 ცისკენ ახედვასაც ვბედავ.  
 არნივის ბუდეს ჩავხედავ,  
 ხომ არ ჩაუვარდი კლანჭში.

გეძებ,

მაინც არ დავლილვარ  
 და არც მუხლი მეკვეთება,  
 ვიცი, თბილი ხიბლი ახლავს  
 უცაბედად შეფეთებას.  
 იქნებ სულ სხვა ბილიკებით,  
 ან სხვა გზებით

სამყაროში უნდა გევლო?

მოდით, ვიცი, შენ გექნება  
 ბროწეულის და ველური თაფლის გემო.  
 მოდი, სანამ იმედი ჩამოიხრჩობს თავს,  
 მოდი, სანამ დავკარგავ მეგობარს, ან ძმას.

მოდით ჩქარა!.. ჩქარა!.. დროზე!..

თორემ ნავალ და მოვკვდები,  
 მენამული ზეცის ფონზე,  
 გეძებ!..

1998

შენ...

**ყველა ჭამადმავალს**

ქარი ჰამაკიდან გადმოვარდა,  
 გაისმა გამა...  
 გააყრუა რა ცა და რა მზე...  
 შენ დიდხანს უნდა იცხოვრო, ძამა,  
 მხოლოდ პოეტებს აკრავენ ჯვარზე.  
 ყოველი მეფის სიტყვას და ქადილს  
 ეშმას ჩრდილივით სიცრუე ახლავს.  
 შენი აკლდამის ადგილი იცი,  
 მხოლოდ პოეტის ეძებენ საფლავს.  
 ადამზე მეტად ბანკნოტი ფასობს,  
 ასეთი ყოფა ჭკუიდან შემშლის.  
 შენ მაძღრად უნდა იგულო თავი,  
 მხოლოდ პოეტნი უძლებენ შიმშილს.  
 ხშირად უჩივი საკუთარ იღბალს,  
 გინდა, მოერგო ტიტანის ხალათს.  
 შენ ყველას უნდა მიუზღა ასნილ,  
 მხოლოდ პოეტი პატიობს ლალატს.  
 არ გავიწყდება, სალამი მისცე,  
 თავი დაუკრა მონურად ზემდგომს.  
 შენ ახლა უნდა გერგოს დიდება,  
 პოეტს კი ალბათ-სიკვდილის შემდგომ!  
 შენ უნდა სვამდე ამ ქვეყნის ბადაგს  
 და მოერიდო განსაცდელს მწარეს.  
 შენ ზოგი ბრძენის ტიტულით გამკობს,  
 სულელ პოეტებს უთვლიან ნამებს.  
 ცხოვრება ზღვაა და თანაც შავი,  
 სადაც გემს უჭირს, იქ გავა ნავი.  
 შენ ლოზუნგები უნდა ისროლო,  
 პოეტმა მამულს შესწიროს თავი.  
 სქელკედლა შუბლებს ვერ ანგრევს სუსტი  
 სიმართლისა და სინათლის ჭავლი,  
 შენ შინისაკენ ნავაჭრი მიგაქვს,  
 პოეტს – ორმაგად ნახადი ჯავრი.  
 და გიკვირს მაინც, რატოა ასე,  
 მე და შენ ახლა, არა ვართ ერთად?  
 მარტივ მოკვდავზე ამ მიწის ტკივილს  
 პოეტი სამჯერ განიცდის მეტად.  
 ნეტავი ძალგვიძს, მხარს მივცეთ მხარი?

ხელი გავიკრათ ღიბზე კი არა,  
 არამედ ხმალზე?!  
 შენ რომ კომფორტი შეიქმნა მყარი,  
 პოეტი უნდა გააკრა ჯვარზე!..

2005

\* \* \*

ხანდახან მეჩვენება,  
 რომ მელის შეჩვენება  
 შენგან და სევდა სერობს  
 ჩემი პოეზიის მაღლობებზე.  
 არ გთხოვ, მოახდინო სასწაული,  
 იყოს ყოველთვის შენი ნება.  
 რა ადვილია სიძულვილი  
 და რა ძნელია შერიგება.  
 თავნება ხარ,  
 ზღაპარი დაუსრულებელი...  
 დაორსულებული შემოდგომის თვეში გაჩენილი...  
 ბევრი რამ გითხარი,  
 მთავარი სათქმელი გულში მაქვს დარჩენილი.  
 დღეები გადიქცნენ  
 ტირან და უხილავ დრაკონებად.  
 დიადი პოემაა  
 ჩვენ ტუჩთა მხურვალე დაკონება.  
 ო, რა ვქნა, ვერ შევძელ უეცრად  
 შენზე ფიქრთა ნაკადის შეჩერება.  
 გულმა მითხრა, უყვარხარო,  
 იცი, მეც ასე მეჩვენება!

2005

\* \* \*

გულმა ველარ გაუძლო და  
 საქართველოს ტრაგედია  
 წამნამებზე დაგვეტია.

2005

მთავსვლის სიმღერა

გავქვავედებოდი ბუდასავით უკვდავ ლოტოსში,  
 თუკი კოსმოსი ამ ნიჭსა და სიბრძნეს მარგუნებს.  
 მხოლოდ შენ დამრჩი ერთადერთი,  
 ვინც მწვერვალიდან უკან მაბრუნებს.  
 ბევრი დავლაშქრე სალი კლდენი, აუღებელი,  
 იქ, სადაც ლაჟვარდს რწმენა ება ციურ კარებად.  
 ყოველ აღებულ სიმაღლიდან,  
 შენ დამრჩი მხოლოდ მიუკარება.  
 და თუ არ მოხვალ დათქმულ ადგილს,  
 სოფლის ბოლოს, იმ ძველ ბოგირთან,  
 ჩამოვალ ქალაქს და გულის ჯიბით,  
 მთის ყვავილებს მაინც მოგიტან!

2010

\* \* \*

მონყენილი იყავი და მე გართობდი,  
 გიჟი ხარო! – ასე მეძახდი.  
 მე ვიცინოდი,  
 პურის საყიდლად მოდიოდი,  
 ფულს არ გართმევდი.  
 გიჟი ხარო! – ამას მეძახდი,  
 მე ვიცინოდი,  
 უბნის ბიჭებს კბილებს ვუმტვრევდი,  
 გიჟი ხარო! – ამას მეძახდი.  
 ყვავილებს სხვისი ხელით გჩუქნიდი,  
 ის ვილაცა გიჟიანო, აბარებდი.  
 მე ვიცინოდი,  
 არ წახვიდეო ომში, ამბობდი,  
 მაინც წავედი,  
 ჩამოვედი ნერვებდაჭრილი.  
 გიჟი ხარო! – ისევ მითხარი.  
 მე როგორც უნინ, გამეცინა,  
 როცა გათხოვდი, მაშინლა მიხვდი,  
 მე რომ მიყვარდი.

2010

შეიძლება...

ფლეიტას უკრავს  
 ტრნსცენდენტულ ნეტარებაში,  
 შეყვარებულთ ეალერსება  
 ჭაბუკი კრიშნა.  
 არა სცალია,  
 ადამიანთა მწუხარება გაიზიაროს.  
 ამ წუთისოფლის გასაჭირი  
 ბუდას ერთ ნაკვთსაც ვერ შეუტოკებს,  
 ველარც მოჰამადს აუჩუყებს გულს  
 ტრაგედიები განშორებისა  
 და ამ ყველაფრის დანახვაზე,  
 ხატს შეიძლება თვალებიდან  
 ცრემლები წასკდეს.

2005

\* \* \*

ნუ ჩადგები, ვითა სხვები,  
 სიყვარულის ამ დიდ რიგში.  
 იმიჯნურე, ნუ დაცხრები,  
 სიტყვა არ მაქვს ნართაული.  
 წუთისოფლის ფერად წიგნში  
 შენ ლექსი ხარ,  
 მე კი – ლექსის სათაური.

2004

\* \* \*

მანქანებით გადაჭედნილ ქუჩაზე  
 ბავშვი გადარბის...  
 ნეტავ,  
 მშვიდობით მიაღწიოს თავის სახლამდე.

2010



ნიკალას

როგორც გული, ხელიც გითრთის,  
 წვიმს და ცაა იყისფერი.  
 ჟირაფისთვის მოგიხატავს  
 მშვენიერი ყელ-კისერი.  
 მაგ შენ მთვარეს მოუვერცხლავს  
 სახლები და რიკულები,  
 მტაცებელთა ტყეში ხარ და  
 ირმის თვალით იყურები.  
 გრძნობ, რომ გაუსაძლისია,  
 მარტოხელა გენად გდება...  
 ქალაქს ხატავ, გულით ისევ  
 მირზაანი გენატრება.  
 ამ წუმბედან სული ცამდე  
 მიკვირს, როგორ მიიტანე?  
 წუთისოფლად არა გწყალობს  
 ბედი-ძუნწი მიკიტანი.  
 თუმც კარგია, ერის სისხლში  
 შენისთანა გენი რომ ზის.  
 ხალხი სახლში უნდა იყოს,  
 კიბის ქვეშ კი-გენიოსი.

2010

\* \* \*

არც მოძმეს მინდა ვემტერო,  
 არც სისხლი მინდა დავღვარო,  
 უბრალოდ მინდა ვიცხოვრო,  
 ვეტრფოდე გარესამყაროს.  
 უბრალოდ მინდა, მიყვარდეს  
 ჩემი მცხეთა და შინდისი.  
 სულაც არ მინდა დავკარგო,  
 მიწებთან ერთად სინდისი.  
 მტერმაც კი იცის, ბრძოლაში  
 ვინ ნაკლებია, ვინ მეტი?  
 სამას არაგველს და ცხრა ძმას,  
 ხომ მიემატა ჩვიდმეტი.

2010

\* \* \*

არ მაქციო მასის ხასად,  
 სულ არ მხიბლავს რემა.  
 არ მიზიდავს ფანატიზმი  
 და არც თავის გვემა.  
 არ გამრიო მე მასაში,  
 არ მიგანო გვერდი.  
 ღმერთო, გვედრი, მერგოს მწარე,  
 პიროვნების ხვედრი!  
 ვვედრი კოსმოსს, მუდამ მქონდეს  
 ისეთ გრძნობის განცდა,  
 ვითომ სიტყვა ტყვიასავით  
 მილიმეტრში ამცდა.  
 რომ ფხიზელი მქონდეს მუდამ  
 გონი, სული, მზერა.  
 რომ შემეძლოს სრულ სიმართლის  
 გამოთქმა და წერა.  
 ვინატრებდი, მერგოს ხვედრი  
 ნათელივით რომ ვანათო ბნელი  
 და მოყვარეს, ზოგჯერ მტერსაც,  
 გავუნოდო ხელი.  
 ვისურვებდი, არ შემეძლოს  
 ცრუ პროფილის აღქმით  
 ერთი ვთქვა და სხვა ვიფიქრო,  
 სულ სხვა ვიყო საქმით.  
 აღარ მხიბლავს ციფრთა ჯოგი,  
 მოედნებზე გამოსული ბევრი.  
 ეგებ ვნახო  
 მოაზროვნე, ღმობიერი ერი!  
 მსურს პლანეტას ვეთაყვანო,  
 ვიმარტვილო სადმე,  
 აწი ლოცვად ჩამითვალეთ  
 ყველა კარგი საქმე.  
 და ბოლოჟამს, როცა სხეულს  
 შეეცვლება ფორმა,  
 დე, გათელოს ჩემი ხსოვნა,  
 უვიცობის ჭორმა.

2010

ქება იუდას

„ცხოვრება თამაშია, ხოლო ჩვენ მსახიობები.“  
 უილიამ შექსპირი

პეტრე, მათე, ლუკა და თომა –  
 ღვთიურ სცენარის ერთი რგოლია  
 და გარიყული გვერდზე იუდაც,  
 მისტერიაში მძიმე როლია.  
 ის კარიოტის წიაღში იშვა,  
 არ დაამძიმა მიწა გაჩენით.  
 სხვა პერსონაჟად ყოფნა ერჩივნა,  
 რომ ყოფილიყო როლი არჩევით.  
 ვერ გაუბედა მთავარ რეჟისორს,  
 ნუ აკეთებდა მასზე არჩევანს.  
 რელიგიური კაცი იყო და,  
 მის ნება-სურვილს, ალბათ, ამჩნევდა.  
 დაჰყვა ღვთის ნებას იგიც სხვებივით,  
 ბედს ვერ შეცვლიდა მუხტით ვედრების.  
 თავი გეენის ლუკმად გადადო,  
 სხვას რომ ეგემა სიტკბო ედემის.  
 მამის საკრალურ მისტიურობას,  
 ნეტავ, დავინჩის გახსნის რა კოდი?  
 ქება იუდას!.. რომ მაცხოვარის  
 წარმოაჩინა ბოლო აკორდი!  
 დიდება უფალს!.. ქება იუდას!..  
 ჩვენში რომ აღძრავს სურვილს დანდობის.  
 თავის ამბორით შანსი რომ მისცა  
 იესოს, ქრისტე ღმერთად გახდომის.

2011

\* \* \*

ალილოს მივალ, ბაცია  
 თეთრი ღრუბლები მაღლით.  
 ეზოში ავი კაცია,  
 კეთილშობილი ძაღლით.

2010

\* \* \*

წვიმა შეწყდა და დაიწყო განა მირონი?  
 ნაცნობ მდინარეს ველარ ცნობენ სანაპირონი.  
 ეამბორება წითელ ფუნჯით მხატვარი ჭილობს,  
 მზე ორ მთას შორის გაძრომას ცდილობს.  
 გაზაფხული ყვავილების სურნელებს აკმევს,  
 აქ კუბოები სჭარბობენ აკვნებს.  
 აქ ბატკნებივით შეუწირავთ ხალხის მასები,  
 სისხლის გუბეში იზრდებიან ახლა ვაზები.  
 ეშმა იცინის,  
 ადამის ძენი, რა ხანია, რომ დაიმონა,  
 ტაძრებს აშენებს რწმენა,  
 რეალურად მაინც მამონა.  
 ვუყურებ პროგრესს,  
 ფარასავით ავტოდ განფენილს.  
 შეღებილ ქუჩებს ანათებენ აუტოდაფენი.  
 ქარო, დაჰბერე!.. ფესვიანად შემაზანზარე!..  
 ეს მერამდენედ გარდაცვლილა უკვე ლაზარე.  
 წვიმა შეწყდა და დაიწყო განა მირონი?  
 ერთობის წყურვილს განიცდიან სანაპირონი.

2011

\* \* \*

ველარ მიაგნო საფლავს მოხუცმა,  
 თუმცა იარა ნაცნობ ბილიკით  
 და სასაფლაოს კარამდე ზიდა,  
 ხალხის მზერა და მათი ქილიკი.  
 ხოლო ქარმა კი, როგორც სჩვევია,  
 აუშრიალა ფეხქვეშ ფოთლები.  
 ყველაზე მეტად მაინც ძნელია,  
 როცა კარგავენ ცოცხლებს ცოცხლები.

2011

სამკალიფსი

როცა ადამიანებს აღარ ენდობი...

2010

თვალის გარეშე

ედღენება დევნილებს

ჩემი თვალის შევლება  
 პალმებს მოენატრება,  
 ღმერთო, რა მეშველება...  
 ზღვა ცრემლების ფერია.  
 კლავენ ათასწლეულებს  
 ზარბაზნების მეხები.  
 დედამიწას აღვიქვამ  
 სურნელით და შეხებით.  
 ამ დალოცვილ მხარეში  
 სანაული თუ ხდება,  
 ვგრძნობ, ზღვის პირა კაფეში  
 სადღაც ყავა დუღდება.  
 სადღაც ისევ გაისმის  
 მაფშალიას ჰანგები.  
 ბევრი რამე ამქვეყნად  
 ხდება ციურ განგებით.  
 ჰოდა, ადამიანთა  
 ბედი მისტიურია,  
 სულის სიღრმეებიდან  
 ნაპირს გამომრიყავი.  
 ერთი გოჯი სამოთხე  
 ძმებმა ვერ გავიყავით.  
 ახლა მივდევთ ოცნების  
 უიალქნო ხომალდებს.  
 მძიმე ტვირთად უჩინი  
 და სასტიკი დრო გვადევს.  
 თოლიები კივიან,  
 ნაპირებიც ებრძვიან  
 უცხო ქართა თარეშებს.  
 მშობელ მიწის შეგრძნება  
 ძამლიძს თვალის გარეშეც.

2009

\* \* \*

ვინსენტ ვან-გოგის ძმას თეოს,  
ავუშენებდი პანთეონს.

2010

### რეინპარნაცია

ყველას მაინც ლოგოსი და  
ზოგს კი თავის დაო უნდა...  
იეშუა ძლიერია,  
სხეულიდან გავიდა და  
ისევ სხეულს დაუბრუნდა.

2011

\* \* \*

ამქვეყნად ბევრი გზებია,  
ვინ მოთვლის სწორს და ირიბებს?  
სად არ მივლია, ვერ ავცდი  
შენსკენ მომავალ ბილიკებს!  
და მინდა სწორად ვიარო,  
არ ამერიოს გზა-კვალი,  
ბედი ისეთი უნდოა,  
მომლიმარი და მზაკვარი...  
ცხოვრება ქვაა დოლაბის,  
წრეზე მავალი კევრია,  
შენი ღიმილით გამთბარი,  
მომნატრებია კერია.  
ამ ქვეყნად არ დაიღევა  
ჭორი, ღვარძლი და ქილიკი.  
ჩემს შარას შემოუერთე  
შენი ეული ბილიკი.

2001

\* \* \*

უკანალქვეშ თქვენ მანქანა  
 „ბენტლი“, ანდა „ოპელი“,  
 მე იაბო – თოვლისფერი,  
 ფეხქვეშ – ბელტი სოფელის.  
 თქვენ – ბაჯალლოს „ცეპოჩკები“  
 უჯვროდ, ჯვრებით, აქატიით,  
 საპირფარეო საქართაველო  
 მე – უფლისგან ნახატი.  
 თქვენ – კანარი, მაიამი,  
 უნგრეთი, ან ვლახეთი,  
 მე – ირმების სიმალლიდან  
 დანახული კახეთი.  
 თქვენ – ბანანი, კივი, მანგო, ტანგო...  
 მილიონის გზავნილიც,  
 მე – პატარძლის ხელით, კარგო,  
 მოკრეფილი მწვანილი.  
 თქვენ – ქვეყნიდან მივლინება,  
 რომ ედება ხარჯს-ხარჯად,  
 თქვენ – ფრანგი და მე – ქართველი  
 ქალი, ლოყებლაჟლაჟა.  
 თქვენ – ხამანნიკი, ლოკოკინა  
 და გომბეშოს ფეხები.  
 მადამ იცის, დამიჯერეთ,  
